

საქართველოს
იურიდიკა


1239
2010

ISSN 1512-0880

№3 2010

(40)

საქართველოს



ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 36-09-51

ქურნალის რედაქცია:
ადექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
გუდნარა სჭურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორექსონდენტებთან მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი



ინფორმაციის „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის იდია ქავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.



საქართველოს ბიბლიოთეკა № 3 (40) - 10
შინაარსი

| | |
|---|-----------|
| ჩვენი ჟურნალის განვლილი გზა | 4 |
| ღირსეული წინაპრები | |
| გურამ თაყნიაშვილი - „დედა ენა“: პირველი გამოცემა, პირველი კრიტიკოსები“ წერილი 2 | 8 |
| დარეჯან კოტეტიშვილი -იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა | 11 |
| გიორგი სარაჯიშვილი — სახელოვანი მგოსანი და დავით სარაჯიშვილის ოჯახი | 13 |
| თეა იოსავა — „ნაკადულის“ დედა“ | 19 |
| იური სიხარულიძე — მთაწმინდის პანთეონის ბინადარი | 23 |
| ფილოლოგიური ძიებანი | |
| ირა ხვიჩავა -- მცირე რამ სახის მეტყველებაზე | 24 |
| კვირეული-2010 | |
| გურამ თაყნიაშვილი- ბიბლიოთეკები საზოგადოების სამსახურში | 25 |
| კორესპონდენციები | |
| გულნარა სტურუა — დიდი შრომა და 40 სიხარული | 34 |
| ნესტან კეკელია, მზია ბურდული-“ მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“ | 35 |
| მოგონება | |
| ოთარ ოსაძე — ახლანდელი გადასახედიდან: პედაგოგიურ ინსტიტუტში | 37 |
| პარტნიორული ურთიერთობა | |
| „კოლორი“ -- ჩვენი პარტნიორი | 41 |
| გვესაუბრება მკითხველი | |
| ც. გოგიჩაიშვილი -- წერილი რედაქციას | 42 |
| ენის სინონიმისათვის | |
| მიხეილ რეხვიაშვილი — ენას მეტი სიფრთხილით უნდა ვეკიდებოდეთ | 43 |
| ღირსეულთა დაფასება | |
| დიდი საქმის დიდოსტატი | 44 |
| წიგნის მეგობართა წინამძღვარი | 45 |
| ინფორმაციები | |
| ნაშრომი ქართული მწერლობის თვალსაჩინო მოღვაწეზე | 46 |
| სიტყვა თბილისსა და თბილისელებზე | 46 |
| პირველი წარმატებული მცდელობა | 47 |
| ერთი თემის წარმოჩენა | 48 |
| ექსპანსია ძველ საქართველოში | 49 |
| ჩვენი შემოქმედება | |
| ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით | 49 |
| პოეზია მისი-სულიერი საზრდოა | 51 |
| პოეტური გულისთქმით | 52 |
| პროფესიული მოღვაწეობა და შემოქმედებითი გატაცება | 54 |
| ჩვენ გვილოცავენ | 54 |
| კონწარას კლუბი | |
| განუკითხაობა თუ თვითნებობა | 56 |
| ლია კობალაძე — მე და კომპიუტერი | 57 |
| რას წერდნენ ძველი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალები და კრებულები | 57 |



БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №3 (40) -10



Содержание

| | |
|--|----|
| Путь, пройденный нашим журналом | 4 |
| Прославленные предшественники | |
| Гурам Такниашвили – „Деда ена“: первое издание, первые критикую Письмо 2 | 8 |
| Дареджан Котетишвили - Дружба и деловые отношения Якова Гогебашвили и Нико Цхведадзе | 11 |
| Георгий Сараджишвили – Выдающийся поэт и семья Давида Сараджишвили | 13 |
| Теа Иосава – „Мать „Насадули“ | 19 |
| Юрий Сихарулидзе – Похоронен в пантеоне на Мтацминда | 23 |
| Философские изыскания | |
| Ира Хвичава – Несколько слов об обрзной речи | 24 |
| Неделя библиотеки - 2010 | |
| Гурам Такниашвили - Библиотека на службе общестственности | 25 |
| Корреспонденция | |
| Гульнара Стуруа – Большой труд и 40 радостей | 34 |
| Нестан Кекелия, Мзия Бурдули – „Солнце и после захода остается светилом“ | 35 |
| Воспоминания | |
| Отар Осадзе – Взгляд из настоящего – В педагогическом институте | 37 |
| Партнерские отношения | |
| „Колор“ – наш партнер | 41 |
| Беседу ведет читатель | |
| Ц. Гогичайшвили – Письмо в редакцию | 42 |
| О чистоте языка | |
| Михаил Рехвиашвили – Мы должны бережнее относиться к языку | 43 |
| Ценить достойных | |
| Мастер великого дела | 44 |
| Предводитель друзей книги | 45 |
| Информация | |
| Труды о видном деятеле грузинской письменности | 46 |
| Слово о Тбилиси и тбилисцах | 46 |
| Первая успешная попытка | 47 |
| Об одном селе | 48 |
| Экспансия в древней Грузии | 49 |
| Наше творчество | |
| С большой любовью к детям | 49 |
| Поэзия - его духовная пища | 51 |
| С поэтическим стремлением | 52 |
| Профессиональная деятельность и творческое увлечение | 54 |
| Нас поздравляют | |
| Клуб Концары | |
| Непредусудительность или самовольничество | 56 |
| Лия Кобаладзе – Я и компьютер | 57 |
| О чем писали старые грузинские сатирические и юмористические журналы и сборники | 57 |

Georgian Library, 3 (40) - 10

Table of content

| | |
|--|----|
| The Life Path of Our Journal | 4 |
| Praiseworthy Ancestors | |
| Guram Takniashvili – Deda Ena: First Edition, First Critics. Essay 2 | 8 |
| Darejan Kotetishvili – Iakob Gogebashvili and Niko Tskhvedadze's Friendship and Business Relationship..... | 11 |
| Giorgi Sarajishvili – A Renowned Poet and David Sarajishvili's Family | 13 |
| Tea Iosava – Mariam Demuria | 19 |
| Iuri Sikharulidze – The Dweller of Mtatsminda Pantheon | 23 |
| Philosophical Explorations | |
| Ira Khvichava – A Little on Tropology | 24 |
| Library Week 2010 | |
| Guram Takniashvili – Libraries at the Service of People | 25 |
| Correspondence | |
| Gulnara Sturua – Hard Work and 40 Joys | 34 |
| Nestan Kekelia, Mzia Burduli – And After the Sunset Does the Sun Remain a Light | 35 |
| Recollections | |
| Otar Osadze – Looking Backwards: at the Pedagogical Institute | 37 |
| Partnership | |
| “Color” – Our Partner | 41 |
| Reader's Opinion | |
| T. Gogichaishvili – A Letter to the Editorial Board | 42 |
| On Language Purity | |
| Mikheil Rekhviashvili – The Language Should Be Dealt With Carefully | 43 |
| In Appreciation of the Worthy | |
| The Great Master of the Great Cause | 44 |
| A Leader for Book Lovers | 45 |
| Information | |
| A Paper on a Renowned Georgian Man of Lettres | 46 |
| On Tbilisi and Its Dwellers | 46 |
| The First Successful Attempt | 47 |
| Bringing Out | 48 |
| Expansion into Ancient Georgia | 49 |
| Our Works | |
| With Great Love for Children | 49 |
| Poetry as Spiritual Food | 51 |
| With Poetic Craving | 52 |
| Professional Activity and Creative Fad | 54 |
| Felicitations | |
| Kotsara's Club | |
| Misrule or Arbitrariness | 56 |
| Lia Kobaladze – Computer and I | 57 |
| What They Used to Write in Old Georgian Humour and Satire Magazines | 57 |




ჩვენი ჟურნალის განვლილი გზა (დაარსებიდან 10 წლის გამო)

ჟურნალმა წინ უნდა წაიმძვაროს მეს- ნიერების სინათლე და ხელონების კალამი

ივლია

ათი წელი გავიდა, რაც ჟურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკამ“ დაიწყო გამოსვლა. მისი პერიოდულობა იმთავითვე კვარტალში ერთი ნომრით განისაზღვრა. ჟურნალისათვის უმძი-

აგრეთვე საქართველოს ბიბლიოთეკების საკოორდინაციო საბჭოს გადაყვეტილებასაც, რომელმაც მოინონა საქართველოში პროფესიული ჟურნალის დაარსების იდეა. ამ პერიოდში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და საკოორდინაციო საბჭოს სათავეში ედგა პროფ. ლევან ბერძენიშვილი. ის თავად ზრუნავდა ჟურნალის გამოცემაზე და პრაქტიკულადაც ეხმარებოდა მას. მისი პირადი მონდომების შედეგად ეროვნულმა ბიბლიოთეკამ „მინი პოლიგრაფიული“ დანადგარი შეიძინა და საქმეც დაიძრა. გამოიყო საჭრო მასალა, შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, რედაქციას ბიბლიოთეკის შენობაში გამოეყო შესაფერისი ადგილი. აღსანიშნავია, რომ პირველი ორი ნომერი მისი უშუალო ტექნიკური დახმარებით გამზადდა. ტექსტის აკრეფა, დაკაბადონება, დასურათება, დიზაინი, აკინძვა, დაყდავება, გვერდების ჩამოსწორება და სხვა – რედაქციისა და ბიბლიოთეკის მუშაკთა ხელით ხდებოდა, რასაც უშუალოდ ბ-ნი ლევანი ხელმძღვანელობდა.



მეს პერიოდშიც კი ეს პერიოდულობა არ დარღვეულა.

ჟურნალის დაარსება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივითა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მხარდაჭერით განხორციელდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

დასაწყისში რედაქციის ყველა წევრს საკმაოდ შრომატევადი ტექნიკური პროცესების ჩატარება უხდებოდა. ესენი იყვნენ: ალექსანდრე ლორია (მთავარი რედაქტორი), გურამ თაყნიაშვილი (მდივანი, რედაქტორის მოადგილე), მზია რაზმაძე (კომერციული დირექტორი), გულნარა სტურუა (სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და კორესპონდენტებთან მუშაობის კორდინატორი), ნანა ქავ-

თარაძე (საქმის მწარმოებელი და კორექტორი. ჟურნალს ჰყავდა თანამდგომთა დიდი ჯგუფი, რომელიც გამოჩენილი მეცნიერების, მოღვაწეებისა და დარგის სპეციალისტებისაგან შედგებოდა.

დროთა განმავლობაში – ამ ათი წლის პერიოდში რედაქციამ და თანამდგომთა საბჭომ საგრძნობი ცვლილება განიცადეს. მისი რიგები თანდათან მცირდებოდა, მაგრამ იმდენად მყარად ჰქონდა ჟურნალს საფუძველი, მასზე ამან არსებითი გავლენა არ იქონია. ჟურნალმა მალე მოიპოვა მკითხველთა მხარდაჭერა, მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მის დაარსებას ცნობილი მეცნიერები და მოღვაწენი მიესალმნენ: საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნოდარ ამალაშვილი; კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე; განათლების მინისტრი პროფ. ალექსანდრე კარტოზია; პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი პროფ. ლევან ბერძენიშვილი; აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ვახტანგ სართანია, თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი თეიმურაზ ჟღენტი.

ჟურნალის ბეჭდვის დასაწყებად თანხა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და სოროსის ფონდმა გამოყო. დასაწყისისათვის ეს დიდი დახმარება იყო, მაგრამ შემდეგ ჟურნალს თვითონ მოუხდა ზრუნვა დაფინანსებაზე, რამაც საგრძნობლად გაართულა მისი გამოცემა. დღემდე მისი თანამშრომლები მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ საკუთარი ინიციატივით. გამოცემისათვის საჭირო ხარჯები ჟურნალის რეალიზაციით მიღებული თანხებით იფარება, რაც მეტად უმნიშვნელოა.

ჟურნალის დაარსების წინაპერიოდში ბევრი კოლეგა ეჭვს გამოთქვამდა, შეძლებდა კი ის თავის შენახვას. ფიქრობდნენ, ნომრები არ გავრცელდებოდა; მეორეც, არ იქნებოდა საკმარისი მასალა და ხარისხიც ვერ იქნებოდა სათანადო დონეზე.

დაფინანსებასთან დაკავშირებით ეჭვი არც თუ უსაფუძვლო იყო; ვერ ვახერხებთ მოვიძიოთ საჭირო სახსრები. ერთხელ კულტურის სამინისტრომ თავის თავზე აიღო ერთი ნომრის დაფინანსება, დახმარება მივიღეთ საბიბლი-



სარედაქციო კოლეგია: გ. თაყნაშვილი, გ. სტურუა, მ. რაზმაძე, ა. ლორია

ოთეკო ასოციაციისაგან და ამით ამოიწურება ჩვენი ჟურნალისათვის ფინანსური მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში გადამჭრელ როლს თამაშობს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა (გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე) რომელიც ჩვენი ყველაზე თანმიმდევრული მომხმარებელია, ის საკმაოდ დიდი რაოდენობით ავრცელებს ჟურნალს.

აქვე გვინდა მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ის რაიონები, რომლებიც სისტემატურად იძენენ ჩვენს ჟურნალს, ესენია: ქუთაისი, წყალტუბო, სენაკი, ლანჩხუთი, თელავი, რუსთავი, საგარეჯო, ბორჯომი, კასპი, მცხეთა, გორი, ზუგდიდი, დუშეთი და სხვ.

რაც შეეხება ეჭვს მასალის ნაკლებობასა და ხარისხიანობაზე – არ გამართლდა. მასალა საკმაოდ დიდი რაოდენობით მოდის, თანაც საკმაოდ მრავალფეროვანი და საყურადღებო.

როგორც ცნობილია, ჩვენი ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ მრავალთემატური ორგანოა, მაგრამ განსაზღვრული, სპეციფიკური მიმართულებით: ბიბლიოთეკა – წიგნი – ბიბლიოგრაფია – ინფორმატიკა – საგანმანათლებლო საქმე – კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა – ხელოვნება და ლიტერატურა; ადგილი ეთმობა ისეთ დარგებს, როგორცაა კითხვის ფილოსოფია, კითხვის ფსიქოლოგია, კითხვის კულტურა და ტექნოლოგია, აგრეთვე ბავშვთა

ნიგნიერების საკითხები და კითხვის სწავლების პედაგოგიკური პრობლემები. ცხადია, მთავარი ყურადღება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, მეთოდური მუშაობის, ინფორმაციის წარმოების საკითხებს ეთმობა. ამ სფეროში ჟურნალში მრავალფეროვანი მასალაა წარმოდგენილი.

ჟურნალში მრავალი ქვერუბრიკაა თავმოყრილი ისეთ განყოფილებებში, როგორც არის: მეცნიერული კვლევა-ძიება, ოფიციალური დოკუმენტები, ღირსეული წინაპრები, პროფესია და პროფესიონალები, ჩვენი ბიბლიოთეკების წარსული და აწმყო, უცხოეთის ბიბლიოთეკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ურთიერთობები, საბიბლიოთეკო კონტაქტები, წიგნი და მკითხველი. საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზაცია, საძიებო საშუალებები, საბიბლიოთეკო მენეჯმენტი, ბავშვთა კითხვის თავისებურებანი, საბიბლიოთეკო კადრები, კორესპონდენციები, მეთოდური სამსახური – გზა მოდერნიზაციისაკენ, მოგონებები, იუბილევები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, მწერალი ბიბლიოთეკის სტუმარი, სტუდენტური სიტყვა, რეცენზიები, პუბლიკაციები, ინფორმაციები, ჩვენი მხატვრული შემოქმედება, ქრონიკა, საცნობოდ საკითხავი და სხვადასხვაგვარი სოციალურ-ყოფითი საკითხები.

არსებობის განმავლობაში მასალები ამ განყოფილებების დაახლოებით 130 ქვერუბრიკის ქვეშ იქნა გამოქვეყნებული. ადგილი ეთმობოდა ლიტერატურათმცოდნეობის, ლინგვისტიკის, ენის სინმინდის, ისტორიის, პედაგოგიკის, სამართალმცოდნეობის, ეკოლოგიური განათლების, სოციალური ორიენტაციის, ხელოვნების, კულტურული გაცვლის საკითხებს, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის სფეროს ინტერესებში შედის.

ბიბლიოთეკების დასახმარებლად ყოველი წლის ბოლო ნომერში ქვეყნდება მომავალი წლის საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი. უმრავლეს ნომერში მოცემულია მეთოდური მითითებები და კონსულტაციები, სტატიები ეძღვნება თითქმის ყველა საიუბილეო თარიღს, უხვად იბეჭდება მასალა საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებისა და გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ, განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა კორესპონდენციებს რეგიონებიდან და საბიბლიოთეკო კვირეულების მიმოხილვებს. მრავალი ბიბლიოთეკარი გახდა ჟურნალის თანაავტორი. ისინი გვიზიარებენ გამოცდილებას, გვაცნობენ სიახ-

ლებს მათ ბიბლიოთეკებში, იძლევიან წინადადებებს, გამოთქვამენ მოსაზრებებსა და თავიანთ შენიშვნებს.

ჟურნალის ყოველ ნომერს ერთვის ქრონიკა, რომელიც საქართველოს საბიბლიოთეკო სამყაროში მომხდარ ამბებს აცნობს მკითხველებს. შემოღებულია რუბრიკა – „ჟურნალის გამოფენა“, რომელშიც მოცემულია ამა თუ იმ ბიბლიოთეკის ამსახველი ფოტომასალა.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და რთულ განყოფილებას წარმოადგენს ის ნაწილები, რომლებშიც მოთავსებულია სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციები. ამ სფეროში მოღვაწეობდნენ როგორც საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული დარგის თეორიაზე მომუშავე სპეციალისტები, ისე მეთოდისტები: ფ. ყურაშვილი, ნ. გურგენიძე, ო. ოსაძე, ნ. მუსერიძე, გ. თაყნიაშვილი, ი. ფილაური, მ. ტოგონიძე, ლ. ყაულაშვილი, მ. სურმაგა, ნ. მელქაძე, ნ. მჭედლოშვილი, ნ. ჩხენკელი, თ. ჩხენკელი, ი. ლარიბაშვილი, თ. იოსავა, ც. წერეთელი, ნ. ქავთარაძე და სხვანი. თავიანთ ნაშრომებს აქვეყნებდნენ ცნობილი მეცნიერ-მკვლევარები-ფილოლოგები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, მუზეუმთმცოდნენი, არქივმცოდნენი, პედაგოგები, პოლიგრაფები, მწერლები, ჟურნალისტები, ხელოვნებათმცოდნენი, კულტუროლოგები, მენეჯერები და სხვ.

სამეცნიერო-კვლევით სტატიებს ყოველთვის ახლავს ბიბლიოგრაფიული მასალა – გამოყენებული თუ ციტირებული ლიტერატურა, რაც საკმაო დიდი მოცულობითაა წარმოდგენილი. ჟურნალმა გამოაქვეყნა აგრეთვე არაერთი სტატია უცხოელი მეცნიერებებისა.

დიდი ადგილი ეთმობა ჟურნალში მეცნიერული ლიტერატურის ინფორმირებასა და რეცენზირებას. ამით ჟურნალი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის.

ჟურნალი ყოველთვის ითვალისწინებდა ჩვენი მკითხველის მოთხოვნილებებსა და თავისებურებებს. მართალია, ის პროფესიულია, მაგრამ, ამასთან ერთად, ანგარიშს უწევს მკითხველთა ინტერესთა მიმართულებებს. შუქდება ზოგადმეცნიერული საკითხები, სოციალური თემატიკა, სახალისო და საცნობოდ საინტერესო სტატიები, კროსვორდები, პოლემიკური და დისკუსიური გამოსვლები. მკითხველები ეცნობიან გამოჩენილ საბიბლიოთეკო მოღვაწეებს, როგორც იყვნენ: დ. ყიფიანი, ზ. ფალავანიძე, ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის

პირველი ხელმძღვანელები – გ. ტოკარევი და ა. ბერჟე, ახლანდელი ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორები: გ. გეხტმანი, ნ. ჭელიძე, პ. კანდელაკი, ა. კავკასიძე, ა. ძიძიგური. ბევრი სტატია მიეძღვნა საბიბლიოთეკო დარგის თვალსაჩინო მოღვაწეებს: ვ. ბროსეს, ი. ციციშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, ვ. უზნაძეს, ნ. აკერმანს, თ. მაჭავარიანს, ო. კასრაძეს, ბ. რუდენკოს, თ. თოთიბაძეს, ე. გორინას, ნ. გურგენიძეს და სხვ. ჟურნალს უყურადღებოდ არ დარჩენია ამჟამად მოღვაწე ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმით გამოირჩევიან საბიბლიოთეკო დარგში.

ჟურნალში ნახავთ ჩვენი პროფესიის სპეცი-ალისტა მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს – მოთხრობებს, ლექსებს, ესეებს, მოგონებებს, ნახატებს. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ყოველი ნომერი საკმაოდ მიმზიდველი დიზაინით გამოირჩევა და მრავალი საილუსტრაციო მასალა ახლავს.

ამგვარი მრავალფეროვნება ჟურნალის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს.

ამ ხნის განმავლობაში შეცდომაზე ბევრი იქნა დაშვებული: განსაკუთრებით მტკივნეულია ის, რომ ზოგი რამ, რაც ასახვის ღირსი იყო, ყურადღების მიღმა დარჩა. აქა-იქ იპარება კორექტურულ-სტილისტური ცდომილებანიც, ზოგჯერ ბეჭდვის ხარისხი არ არის სათანადო დონეზე, განსაკუთრებით ეს ითქმის საილუსტრაციო მასალის შესახებ; ბევრი ნომრის გაფორმება მეტს მოითხოვდა. სხვა ნაკლოვანებების დასახელებაც შეიძლება, მაგრამ მთლიანად, შესაძლებლობის ფარგლებში, ჟურნალი სავსებით დამაკმაყოფილებლად გამოიყურება. თვალს თუ გადაავლებთ განვლილ პერიოდში გამოქვეყნებულ ნომრებს, დავრწმუნდებით, რომ ჟურნალის ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსწორების ფაქტი თვალნათელია.

ახლა ჟურნალი ყველაზე მძიმე სირთულეებს განიცდის, რაც კი მას ამ ათი წლის განმავლობაში ჰქონია. ცნობილია, რომ მას თავიდანვე არ გააჩნდა ოთახი, შეკედლებული იყო ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს და კუთხეც არ ჰქონდა გამოყოფილი. ასეთი ვითარება დღემდე გრძელდება.


მიმდინარე წლიდან ჟურნალი გამოწვევითაც შეიძლება მიიღონ ხელისმომწერებმა, თუმცა ჯერ არ არის ცნობილი, რა ეფექტს მოიტანს ეს.

თავდაპირველად, როცა ჟურნალი მხოლოდ რედაქციის ძალებით მზადდებოდა, პოლიგრაფიული თვალსაზრისით, დაბალ დონეზე გამოიციემოდა, მაგრამ შემდეგ, როცა რედაქცია გამომცემლობა „კოლორის“ დამკვეთი გახდა, ამაღლდა ჟურნალის ხარისხი, დაიხვეწა დიზაინი, შემცირდა შეცდომები, ჟურნალი გარეგნულად შედარებით მიმზიდველი გახდა.

იმედი გვაქვს, ჟურნალი კვლავ წარმატებულად გააგრძელებს გამოსვლას და ყველა პარამეტრით გაუმჯობესდება. ამის სანინდარია ის გამომხმაურებები, რაც წერილობით თუ ზეპირად გამოითქმის ჟურნალის მისამართით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველი საკმაოდ დიდი მოცულობით ჟურნალის ნომრების შესახებ გამომხმაურება გააკეთა გაზეთმა „ჩვენი მწერლობა“ (2002, 18–15 იანვ.), გამოაქვეყნა გოგოლა მდივნის რეცენზია „ამ ჟურნალს თაობები ელოდნენ“. მართლაც, არაერთ გამომხმაურებაში აღნიშნავენ ამას დარგის სპეციალისტები. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ ჟურნალი მაღალ დონეზე აშუქებს მათთვის საინტერესო საკითხებს და ეხმარება მათ არა მატო გაცნობიერებასა და ინფორმაციის მიღებაში, არამედ პროფესიულ დაოსტატებაში.

ყოველივე ეს სანინდარია ჟურნალის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისათვის.



ღირსეული წინაპრები

იახობ გოგებაშვიდი - 170

გურამ თაყნიაშვილი


„დედა ენა“: პირველი გამოცემა, პირველი კრიტიკოსები

წიგნი 2*

„დედა ენის“ პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1876 წელს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებლის გიორგი იოსელიანის

გავრცელდა სახალხო სკოლების ქსელში. მისი გავრცელების შემდეგ, ცხადია, დაინერა მრავალი გამომხატურება, რეცენზია, შეფასებები და მოსაზრებები. გ. იოსელიანმა მოხსენებითი ბარათი და რეცენზია პირველი გამოცემის შესახებ მოგვიანებით დაბეჭდა, „დედა ენის“ მე-2 გამოცემის შემდეგ (1).

პირველი გამოცემის შესახებ ვრცელი მასალა გამოაქვეყნა გაზეთმა „დროებამ“ (2); უავტოროდ გამოქვეყნებულ მასალაში ვრცლად არის მიმოხილული „დედა ენის“ სტრუქტურა, ცალკეული მხატვრული თუ ისტორიული მასალები. რეცენზენტი სინანულით აღნიშნავს, რომ „ისეთი წიგნი, როგორც ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, ამდენ ხანს გაურჩეველი და დაუფასებელი დარჩენილა“ ი. გოგებაშვილის მთელი სახელმძღვანელო, – აღნიშნავს ავტორი, ვერ აკმაყოფილებს ყველა იმას, რასაც ნამდვილი პედაგოგიური სწავლა თხოულობს“. ავტორი განაგრძობს მსჯელობას „დედა ენის“ ცალკეული ნაწილების შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს ნაწილები „არამც თუ სამაგალითოა“, არამედ სხვა უცხო ენაზე ამისთანა სავსე სხვადასხვაგვარი მასალებით სახელმძღვანელო არ მოიპოვება“. ეხება რა „დედა ენაში“ ხალხური სიტყვიერების ნიმუშების წარმოდგენის საკითხს, მიმომხილველი წერს, რომ ამით ი. გოგებაშვილმა „გადაარჩინა პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები კიდევ ერთი ოცი წლის განმავლობაში „კრუხობას“. შემდეგ ავტორი ეხება „დედა ენაში“ ცხოველებისა და ბუნების საგნებისათვის მეტყველების ფუნქცი-



დადებითი რეცენზიისა და ვრცელი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. გ. იოსელიანმა ეს მასალები წარადგინა კავკასიის სასწავლო ოლქში. „დედა ენა“ დამტკიცდა სახელმძღვანელოს გრიფით დაწყებითი სკოლებისათვის. წიგნი

* ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში (2010 წ., №2) დაიბეჭდა სტატია „დედა ენა“, პირველი გამოცემა, პირველი კრიტიკოსები“, ნაწილი 1, რომელიც ეკუთვნის გურამ თაყნიაშვილს (ავტორი მითითებული არ იყო).



ების მინიჭების საკითხს და აღნიშნავს, რომ „ამ წიგნში პირუტყვებსა და ცხოველების სამეფოს ბევრი იმისთანა თვისებას აწერს ავტორი, რომელნიც არ ეთანხმებიან არც მათს ბუნებას და არც დანიშნულებას“. ასეთი სახის შენიშვნა გამოთქმული იყო ადრეც, როდესაც ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა „საყმანვილო კონა“.

„ეს შენიშვნა, – აღნიშნავს წერილის ავტორი – მხედველობაში უნდა მიეღო ი. გოგებაშვილს, როგორც ერთადერთს ბეჯითს მოღვაწეს ჩვენი ახალთ-ახალი მოზარდი ყმანვილებისათვის“. ავტორის აზრით, ი. გოგებაშვილმა არა თუ მხედველობაში მიიღო ეს შენიშვნა, არამედ „ის ახლა ამ პირველ საკითხავ წიგნში უფრო მეტს შვრება, არამც თუ პირუტყვს, არამედ უსულო და უმოძრაო საგნებსაც იმისთანა თვისებებს აწერს, რომელნიც არაფერს არ ჰგავს“. ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შესახებ ავტორი წერს: „პირველი საკითხავი წიგნი იგავ-არაკებით აუფსია, რომელნიც ზოგი ეზოპესაგან და ზოგიც კრილოვიდან უსესხებია, განა არ შეეძლო ი. გოგებაშვილს ბავშვებისათვის მხოლოდ ზოოლოგიური ცნობებით შეემკო და განემარტა“, შემდეგ რეცენზენტი ეხება „დედა ენის“ დასურათების პრობლემას და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სურათი უხარისხოა. საერთო შეფასება ავტორისა „დედა ენის“ მიმართ დადებითია, შთაბეჭდილება ძლიერია, რამაც საშუალება მისცა ავტორს, მადლობა გადაეხადა „დედა ენის“ ავტორისათვის, იმის გამო, რომ „ამდენს კეთილმოსურნე ჩვენებურ ახალგაზრდობაში მარტო ის ერთი გამოგვიჩენია, რომელიც მართლა რომ გულდასმით და უშურველად შრომობს იმ საქმისათვის, რომელსაც ის ეტყობა სულით და გულით მონდომებია“ (2, 126).

ამ წერილის შემდეგ იმავე გაზეთმა „დროებაში“ დაბეჭდა ქუთაისელი პედაგოგის ე. მარჯანიძის წერილი (3) „დედა ენის“ შესახებ. ავტორი ეხება „დროებაში“ ადრე გამოქვეყნებულ წერილს და შესავალშივე მიმოიხილავს დიდაქტიკის ძირეულ კანონებს. „უნდა დავიწყოთ მონაწილისათვის ცნობილისაგან, – წერს ავტორი, – მასთან უახლოესისაგან, ნივთიერისაგან, მარტივისაგან და ხარისხულად გადავიდეთ უცნობთან, მოშორებულთან, უფრო რთულ და ძნელთან“. ე. მარჯანიძე საყვედურს გამოთქვამს წინა წერილის ავტორის მისამართით და აღნიშნავს: „თქვენ ტყუილად აყვედრით გოგებაშვილს სქოლასტიკისადმი მიდრეკილებას“. შემდეგ წერილის ავტორი მიმოიხილავს სწავლების დიდაქტიკურ მეთოდებს გერმანიაში და

აღნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში მიღებული მეთოდები სწავლისა, ხელს უშლის ბავშვის დამოუკიდებელი ხასიათის გახსნას. ი. გოგებაშვილმა „დედა ენაში“ შეაერთა „სასიამოვნო სასარგებლოსთან“. ი. გოგებაშვილი არ აძალებს მოსწავლეს სწავლას.

ეხება რა სავარჯიშოებზე მუშაობის საკითხებს, ე. მარჯანიძე აღნიშნავს, რომ „მასწავლებელმა გარკვეული მიმართულება უნდა მისცეს მოსწავლეს ამა თუ იმ ცნების განმარტებასა და დახასიათებაში, „წინააღმდეგ შემთხვევაში. – წერს წერილის ავტორი, – მასწავლებელი ხომ საჭირო არ იქნებოდა“. „დედა ენაში“ ხალხური სიტყვიერების სწავლების შესახებ ე. მარჯანიძე აღნიშნავს, რომ „ზღაპრები მაღლა დგანან ყოველგვარ მოთხრობებზე, რომელნიც განგებ არიან დაწერილი ყმანვილთათვის“. ე. მარჯანიძე სინაზის გრძობით აღნიშნავს, რომ „არა მარტო „დედა ენას“, არამედ ი. გოგებაშვილის მარგალიტებივით ნაწარმოებებს ჩვენი საზოგადოება ვერ მიეგება იმ მხურვალებითა და მადლობით, რომლის ღირსნი ისინი არიან“. „არა მგონია, – განაგრძობს რეცენზენტი, – რომ ჩვენში ამგვარი პირველსაკითხავი წიგნი ჯერ ვინმეს ისე დაენეროს და შეედგინოს, რომ ის ყოვლად უნაკლო და სრული იყოს, დიდად შესცდება ის, ვინც გოგებაშვილის ნაწარმოებებს კრიტიკას უზავს. ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურა არც თუ ისე მდიდარია მსგავსი გამოცემებით“. ე. მარჯანიძის წერილის შემდეგ სჯა-ბაასი და წერილების წერა არ შეწყვეტილა „დედა ენის“ ირგვლივ. შემდეგ რეცენზია იმავე გაზეთმა გამოაქვეყნა გ. კურდღელაშვილის ავტორობით. (4) სათაურით „სამაგალითო პედაგოგიური გამოსარჩლება ი. გოგებაშვილის „დედა ენაზედ“, ავტორი თავდაპირველად მიმოიხილავს წინა ნომრებში გამოქვეყნებულ ე. მარჯანიძის სტატიას და აღნიშნავს, რომ ეს მასალა (იგულისხმება „დედა ენა“) თავისი სისუსტის გამო მოსახსენებლადაც არ ღირდა. ე. მარჯანიძეს ვრცლად არ გაურჩევია „დედა ენა“ და ი. გოგებაშვილს „კრიჭაში არ ჩასდგომია“. შემდეგ რეცენზიის ავტორი მსჯელობს აღზრდის ზოგადპედაგოგიურ პრინციპებსა და იდეებზე: „სხეულს უნდა მივცეთ იმისთანა მასალა, რომელიც მას ფორმალურად ხსნის, მაგრამ ეწინააღმდეგება სიამოვნებას, რომლის დასაწყისი უფრო ხორცშია“. „დედა ენასთან“ მიმართებაში ასეთი მორალური კოდექსით მსჯელობა გაუგებარია, მით უმეტეს, რომ „დედა ენა“, უპ-

ირველეს ყოვლისა, სულის სულიერ აღზრდას ემსახურება და სულაც არ აძლევს სხეულს იმისთანა მასალას, რომელიც მას „ფორმალურად გახსნის“. გ. კურდღელაშვილი წერს, რომ ბავშვის ცხოვრების სანყის პერიოდში უფრო გადაჭარბებით მუშაობს ფანტაზია, „ჩვენ ამ ფანტაზიის გასახსნელ მასალას უფრო ყურადღებით უნდა მოვექცეთ და სხვა არაფერი შევუარიოთ“. გ. კურდღელაშვილი, ეტყობა, კარგად იცნობს დ. უშინსკის პედაგოგიურ მოძღვრებას და მას მიიჩნევს „ჩვენი (ქართველი) პედაგოგების მარტოდ მარტო სიბრძნის წყაროდ“. რეცენზიის ავტორს მოყავს უცხოეთის ცნობილი პედაგოგების (ბეკონი, მონტენი, პესტალოცი, რუსო და სხვ.) აზრები სწავლისა და აღზრდის შესახებ და აღნიშნავს, რომ „ყველაზე უფრო საფუძვლიანი პედაგოგიკა შემუშავებული აქვთ ნემენცებს. მათ დიდი გავლენა აქვთ საფრანგეთსა და რუსეთზედაც. ინგლისსა და აშშ-ი სწავლებას უფრო პრაქტიკული ხასიათი აქვს. რეცენზიის ავტორი შემდეგ ეხება სწავლების პროცესში მასწავლებლის როლს და აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელო წიგნში ისეთი მასალა უნდა იქნეს შეტანილი, რომელთა შინაარსი ყმანვილის გონებაგახსნილობას არ გადააჭარბებს, რომლის გაგება ბავშვს არ გაუჭირდება“. მასწავლებელმა ე.წ. „მიმყვანებელი კითხვებით“ უნდა განუმარტოს ბავშვს უცნობი საგნები, ე.წ. „მიმყვანებელი კითხვები“ გ. კურდღელაშვილის აზრით, უნდა გამოვიყენოთ მეორე-მესამე კლასებში. ასეთი კითხვები არ უნდა შეიცავდეს სრულყოფილ პასუხებს, საამისოდ მასწავლებელს სჭირდება ცოდნა და გამოცდილება, რათა განუმარტონ ბავშვს უცნობი საგნები. ასეთი მასწავლებლები, რეცენზენტის აზრით, ჩვენ ცოტანი გვყავს. ეხება რა ხალხური ზეპირსიტყვიერების ადგილს „დედა ენაში“, გ. კურდღელაშვილი აღნიშნავს, რომ „ხალხური ზღაპრები მეტად სავსეა ემმაკებით, ათთავიანი დევებით და ყარამანის მსგავსი გმირებით“. ამიტომ სასწავლო წიგნში უნდა შევიდეს გამოჩენილი მწერლების ზღაპრები, მაგრამ მათ წიგნში უნდა დაეთმოს მცირე ადგილი. გ. კურდღელაშვილის აზრით „ი. გოგებაშვილის შრომებისათვის აბსოლუტური კრიტიკა არავის არ უქნია“. ი. გოგებაშვილს ჯერ მარტო ორ წიგნში (იგულისხმება „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (1865) და „ბუნების კარი“ (1868) უჩვენეს რამოდენიმე შეცდომა: რეცენზენტს არა ღალატობს ობიექტურობის გრძნობა და აღნიშნავს: „საზოგადოების თანაგრძნო-

ბა ი. გოგებაშვილის შრომისადმი მტკიცდება იმით, რომ ამ შრომებს საზოგადოებაში გზა აქვთ გაკვალული და იქ მათ ხმარობენ, მით სარგებლობენ, ღმერთმა ჰქნას, რომ აქ ჩვენმა ძლიერ პატივცემულმა და ენერგიულად მოღვაწე პირმა ბოლომდის მიიყვანოს თავისი მალალი და წმინდა მოწოდება, ღმერთმა ჰქნას, რომ ის ასცილდეს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც მის შრომებში მოიპოვება“.

როგორც ვხედავთ, გ. კურდღელაშვილი თავის რეცენზიაში ზოგადად მსჯელობს აღზრდისა და სწავლების საკითხებზე, ასევე ზოგადად მიმოიხილავს ამ საკითხებს უცხოეთის ქვეყნებში. საკუთრივ „დედა ენის“ შესახებ ნაკლებად აქვს კონკრეტული, დასაბუთებული და პედაგოგიური პრინციპებით ჩამოყალიბებული ისეთი შეხედულებები და წინადადებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა „დედა ენის“ შემდეგი გამოცემებისთვის, სწორედ ამიტომ, ი. გოგებაშვილმა დროულად არ უპასუხა გ. კურდღელაშვილის რეცენზიას და უფრო არსებითი ხასიათის მასალების გამოცხადება 1880-იან წლებიდან გაზეთებში „კვალი“, „ივერია“, „Обзор“, „Тифлисский Вестник“ და სხვ. პერიოდულ ორგანოებში,

„დედა ენის“ პირველი და მომდევნო გამოცემების შესახებ კრიტიკული წერილები, გარდა აქ დასახელებული ავტორებისა, გამოაქვეყნეს გ. წერეთელმა, კ. დოდაშვილმა, უ. ნათიევმა, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ა. მირიანაშვილმა, ბ. გაბიჩვაძემ, კ. აბაშიძემ და სხვებმა. მათი მოსაზრებები, შენიშვნები, წინადადებები ჩვეული პედაგოგიური ტაქტით, დასაბუთებული არგუმენტებითა და ფაქტებით გააანალიზა და საპასუხო მასალები მოამზადა ი. გოგებაშვილმა.

ეს მასალები ოპერატიულად იბეჭდებოდა იმდროინდელ პერიოდულ პრესაში, ხოლო შემდეგ შევიდა მისი თხზულებების ხუთტომეულში.

ლიტერატურა

Иоселиани Г. Родной язык Я. Гогобашвили // Кавказ – 1879- № 137.

ბიბლიოგრაფია: „დედა ენა“, პირველი გამოცემა // დროება, – 1878. – № 124–126.

ე. მარჯანიძე – საბაასო ი. გოგებაშვილის „დედა ენაზე“ // დროება, 1876, № 138.

კურდღელაშვილი გ. სამაგალითო პედაგოგიური გამოსარჩლება „დედა ენის“ შესახებ // დროება, – 1877 – № 11–17.

დარეჯან კოტიანი

იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა

იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა სიჭაბუკის პერიოდიდან დაიწყო. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჭაბუკები იმავეთვე მთელი ენერგიითა და მოწოდებით ჩაებნენ საქვეყნო საქმეებში; ორივეს ერთი სურვილი, მისწრაფება და მიზანი ამოძრავებდა – თავისი წვლილი შეეტანა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებისა და ქართული ენის დაცვის საქმეში.

როგორც მათმა მოღვაწეობამ დაადასტურა, ორივე გულმხურვალედ ემსახურა ამ საქმეს და საკუთარი სულიერი ძალების დაუზოგავად ხელშეშეხები წვლილი შეიტანეს ამ მამულიშვილურ საქმეში.




როგორც ცნობილია, იაკობი ადრე დაობლდა და სულიერი ტკივილის შემსუბუქებისათვის თანაგრძნობას ეძებდა ღირსეულ მამულიშვილებთან ურთიერთობაში. იაკობი ხშირად სტუმრობდა ნიკო ცხვედაძის ოჯახს სოფელ კავთისხევში. ნიკოს დედა მარიამ კავსაძე სიამოვნებით იღებდა ოჯახში თავისი უფროსი შვილის მეგობარს, იაკობს, ესიყვარულებოდა მას და ყურადღებას არ აკლებდა დიდ პედაგოგს, იცოდა რა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ის საქმე, რომელსაც იაკობი ასე თანმიმდევრულად და ენერგიულად მისდევდა. ნიკო ცხვედაძის სახლში, კავთისხევეში, იაკობს ცალკე ოთახი ჰქონდა გამოყოფილი სამუშაოდ და დასასვენებლად, ნიკო ცხვედაძე კავთისხევეში არ დაბადებულა (დაიბადა სოფ. სოჯინში 1845 წელს – ცხინვალის რაიონი), მაგრამ აქ გაატარა ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები. ნიკოს სახლში იაკობი თავს შინაურ გარემოში გრძნობდა. დასვენების საათებში ხშირად გადიოდა კავთისხევის გარეუბანში, ბუჩქნარში. ბავშვები შემდგომში ამ ადგილს „იაკობის ბუჩქებს“ უწოდებდნენ. იაკობი მოხიბლული იყო კავთისხევის ბუნებით და ხშირად ეუბნებოდა

ნიკოს: „მე რომ დრო მქონდეს, აქ გუდალეთში ავაგებდი სააგარაკო სახლსო“; გუდალეთი იშვიათი ბუნების პატარა სააგარაკო სოფელია კავთისხევთან ახლოს. კავთისხევეში ნიკო ცხვედაძის დასახლება განაპირობა მამის – ზებედეს სასულიერო-საეკლესიო საქმიანობამ.

იაკობისა და ნიკოს მეგობრობა განპირობებული იყო მათი

საზოგადოებრივი საქმიანობით; ორივე მათგანს რუსეთში ჰქონდა განათლება მიღებული და ახლა პედაგოგიურ სარბიელზე იღვწოდნენ, ეწოდნენ ქველმოქმედებას. ისინი ერთმანეთისათვის იყვნენ საუკეთესო მრჩეველები და პირუთვნელი კრიტიკოსები. სა-



ზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი ნიკო ცხვედაძის შეხედულებები სახალხო სკოლებში ბიბლიოთეკების მოწყობისა და ბავშვთა კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საკითხებზე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივში დაცულია ნიკო ცხვედაძის მიერ შედგენილი „წესი სახალხო სკოლების ბიბლიოთეკებზე“. ეს წესდება ნიკო ცხვედაძემ საზოგადოების გამგეობას წარუდგინა 1882 წელს, რომელშიც აქვს აღნიშნული ასეთი ტიპის ბიბლიოთეკის დაფუძნების მიზანი: „მისცეს ღონისძიება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეებსა და სოფლის წერა-კითხვის ყველა მცოდნეს, ისარგებლონ ამ ბიბლიოთეკებით და საჭირო, მათთვის მისაღები წიგნი ადვილად იშოვონ სოფლად და ამ სახით ავარჯიშონ თავიანთი ჭკუა-გონება და ახალ-ახალი ცოდნა შეიძინონ“.

ნიკო ცხვედაძის აზრით, ასეთი ბიბლიოთეკები შეადგენს სოფლის სკოლების კუთვნილებას, ბიბლიოთეკის მუშაობაზე პასუხისმგებელი არიან სოფლისაგან არჩეული მზრუნველი და მასწავლებელი.

ცნობილია ასევე იაკობის დამოკიდებულება

სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკისა და საერთოდ, კლასიკარეშე კითხვის პედაგოგიური საფუძვლების საკითხისადმი. იაკობი ხშირად სწირავდა საკუთარ წიგნებს, შემდგომში სახელმძღვანელოებს სოფლად მოქმედ სახალხო სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. სოფელ კავთისხევთან დაკავშირებულია იაკობის მუშაობა „დედა ენაზე“, აქაურ მცხოვრებთან და განსაკუთრებით ბავშვებთან ცოცხალი ურთიერთობა იაკობს აძლევდა საინტერესო მასალას „დედა ენისათვის“.

იაკობისა და ნიკო ცხვედაძის საქმიანი, თანაც პრინციპული ურთიერთობა გამოიკვეთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების ჩამოყალიბებასა და ზოგიერთი მუხლის რედაქტირების პროცესში. ამ პერიოდში იაკობის ავადმყოფობის გამო წესდებაზე მუშაობა ძირითადად მოუხდა ნიკო ცხვედაძესა და დიმიტრი ყიფიანს. იაკობი პრინციპულად მოითხოვდა წესდებაში შეეტანათ სპეციალური მუხლი სახალხო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ. როცა ამ მუხლის შესახებ იაკობს უკითხავს ნიკო ცხვედაძისათვის, ამ უკანასკნელს უპასუხნია, რომ ეს მუხლი წესდებაში არ შეიტანა დიმიტრი ყიფიანმა, რადგან მთავრობა ამ მუხლის გამო გაგვიუქმებს წერა-კითხვის საზოგადოებასო. იაკობს ამასთან დაკავშირებით განუცხადებია: „თუ ეს მუხლი არ იქნება მოქცეულ საზოგადოების წესდებაში, მაშინ საზოგადოების დაარსება ამაო იქნებაო“. ამ ფორმით წესდების დამტკიცებით მთავრობას უფლება ექნება მოითხოვოს საზოგადოების სკოლებში სწავლება წარიმართოს რუსულ ენაზე. „მაშინ ჩვენი საზოგადოება, – აღნიშნავდა იაკობი, – ქართველი ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გარდაცვალებასა და გონების დაბნელებას დაეხმარებაო“. სწორედ იაკობის დაჟინებული თხოვნით ეს მუხლი შეიტანეს საზოგადოების წესდებაში, რომელიც დამტკიცდა 1879 წლის 31 მარტს. ეს იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის გამარჯვება, რომელიც განაპირობებდა ქართული ენის დაცვასა და მის განვითარებას.

იაკობისა და ნიკო ცხვედაძის მეგობრული ურთიერთობა განსაკუთრებით გულთბილ და ყურადღებით აღსავსე იყო იაკობის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ნიკოს კარგად ესმოდა მისი მეგობრის სულიერი მდგომარეობა და ნუგეშს არ აკლებდა დიდ მამულიშვილს.

იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის შესახებ გულთბილად იგონებს ნ. ცხვედაძის ქალიშვილი ელენე ცხვედაძე-გოგიჩაიშვილი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იაკობი და ნიკო ერთ სახლში ცხოვრობდნენ მთანმინდაზე. იაკობი

ყოველთვის იზაირებდა ნიკო ცხვედაძის აზრს, მის რჩევას, პირად ცხოვრებაში იაკობი ყოველთვის იჩენდა ზომიერებას, გულმონყალე, სათნო და გაჭირვებულთა დამხმარე იყო. საკუთარი სალიტერატურო ჰონორარიდან იგი ხშირად გარკვეულ წილს საქველმოქმედო საქმეს ახმარდა. ასევე ცნობილია ნიკო ცხვედაძის დიდი წვლილი თბილისში სათავაზნაურო გიმნაზიის აშენების საქმეში (აშენდა 1906–1910 წ. წ.). ელენე ცხვედაძე იგონებს მის დიდ მცდელობას ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დასრულებისათვის. თვითონ იაკობი ახლოს იყო ნიკოს ოჯახთან, განსაკუთრებით ზრუნავდა ნიკოს შვილიშვილების აღზრდის საქმეზე, ბავშვები კეთილი სურვილებითა და სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი იაკობისადმი, ორივე დიდი მამულიშვილი მნიშვნელოვან საქვეყნო საქმეს ისე არ სწყვეტდნენ, თუ ერთიმეორეს არ დაეთანხმებოდნენ. ეს განსაკუთრებით იყო შესამჩნევი მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა ქართული ენის დაცვასა და მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხებს. თავის დროზე იაკობ მანსვეტაშვილი წერდა: „ჩვენი ხსოვნიდან არ უნდა ამოიშალოს ორი ქართველის სახელი, რომელთაც დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე. მათ ჰქონდათ წმინდა გული, წრფელი და დაუშრეტელი სიყვარული სამშობლოს ერისა, ესენი იყვნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე“. ილია ზურაბიშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „როგორც ილიასა და აკაკის იხსენებენ ერთად, ასევე ერთად უნდა იქნეს მოხსენებული ორი დიდი ქართველის სახელებიც – იაკობისა და ნიკო ცხვედაძისა“. ამ ორი მამულიშვილის ღვაწლისა და ამაგის შესახებ კარგად უწყოდა აკაკი წერეთელმაც. იგი 1890-იანი წლებიდან სისტემატურად თანამშრომლობდა „დედა ენაში“. პოეტმა იაკობის ეს წიგნი აამაღლა მხატვრული დონით და ხელიხელ საგოგმანებელი გახადა ყმანვილთათვის. იაკობისა და ნიკო ცხვედაძის მეგობრობას უძღვნა აკაკიმ ერთი სტროფი:

„ვინდა გაარჩევს პედაგოგს
უგვაროსა და გვარიანს,
როდესაც ერთი ფასი აქვს
კავთისხევსა და ვარიანს“.

უფრო მოგვიანებით პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა ლექსი მიუძღვნა ნიკო ცხვედაძეს, სადაც ხაზი გაუსვა მის ღვაწლსა და ამაგს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. პოეტმა ნიკოს უწოდა უმაღლესი სასწავლებლის პირველი მშენებელი. მართალია, ვერც ნიკო და ვერც იაკობი ვერ მოესწრნენ უნივერსიტეტის გახსნას, მაგრამ მათ თავიანთი მცდელობითა და ღვაწლით იდეოლოგიური საფუძველი ჩაუყარეს პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს.

გიორგი სარაჯიშვილი

სახალხო მგოსანი და დავით სარაჯიშვილის ოჯახი

„დავით სარაჯიშვილმა ქართველების სიყვარული მოიპოვა სიყვარულითვე. იმ სიყვარულით, სადაც ყვედრების დროსაც კი ჭირისუფლის სიყვარული იხატებოდა... დათიკო თავისი ოფლითა და შრომით და ინტელიგენტურის გამჭრიახობით მოპოვებულ ქონებასაც ქართველობას უნაწილებდა. ვინ არ იცის, რომ ახალთაობას სწავლა-განათლების მიღების საშუალებას აძლევდა სტიპენდიებით, ამას უნდა დაემატოთ ისიც, რომ დავით სარაჯიშვილი საიდუმლო ქველმოქმედიც იყო, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა“ (აკაკი წერეთელი).

საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ბოლშევიკების მოსვლის დღიდან დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის (1848–1911) სახელს „ბურჟუაზიული კაპიტალისტის“ იარლიყი მიენება და მისი ხსენება აიკრძალა. 70 წლის მანძილზე „ეროვნული ინდუსტრიის ფუძემდებლის“ (ა. ლაისტი) სახელს ტაბუ დაადეს და ისე მოექცნენ მას და მის მეუღლეს, რომ ორივენი შვედრ დაკრძალეს.

საბჭოთა საქართველოში შიგადაშიგ მაინც ლიტერატურაში შეპარვით ხერხდებოდა დავით სარაჯიშვილის ხსენება, განსაკუთრებით ოთხმოციანი წლების შემდეგ, როცა კომუნისტური წყობა მოირყა. დამოუკიდებელ საქართველოში კი რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით (2003) დაწესდა, ყოველი წლის 10–11 ნოემბერს „დავით სარაჯიშვილის დღეების“ აღნიშვნა. დაბადებიდან 155 წლისთავზე, ერის ისტორიაში პირველად გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში მიიღო საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა.

აკაკი წერეთელი (1840–1915) დავით სარაჯიშვილის სახლის ხშირი სტუმარი იყო. მგოსანს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ეკატერინე ივანეს ასულ ფორაქიშვილ–სარაჯიშვილისასთან (1862–1916). ეკატერინე მოხუც



პოეტს ყურადღებას არ აკლებდა. სადღესასწაულო დღეებში მისთვის საჩუქარი წინასწარ გამზადებული ჰქონდა და სათანადო მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. თავის მეუღლის მსგავსად, ეკატერინე დიდი ქომაგი იყო ქართველი მწერლების, ხელოვანთა, მხატვართა და ყველა მათი, ვინც ერის კულტურის კეთილდღეობას ემსახურებოდა. როგორც ცნობილია, 1903 წელს აკაკი წერეთელი მძიმე ავად შეიქმნა. საერთოდ, და განსაკუთრებით ავადმყოფობის პერიოდში, დიდი მგოსანი მატერიალურ სივინროვეს განიცდიდა. ეკატერინე ივანეს ასული მაშინვე გვერდში ამოუდგა, სათანადო მატერიალური დახმარებაც გაუწია და მგოსანი გაამხნევა. გაგზავნა საფრანგეთსა და გერმანიაში სამკურნალოდ.

სარაჯიშვილის ოჯახის ახლო ნათესავების გადმოცემით, „ძია დათიკოსთან აკაკის მარცხნივ ოთახში უყვარდა ყოფნა, ხოლო ილია მარჯვენა ოთახში საუბრობდა დავითთან... აკაკი თავის ჟინს ბანქოს თამაშში იკლავდა, მისი მოგებული, არავის უნახავს... სმით არ სვამდა, სუფრაზე იცოდა თვალის გადევნება, ბოლომდე ვინ დაცლიდა“.

დავით სარაჯიშვილმა 1905 წელს მამისეული ძველი სახლის ადგილზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე, აიშენა საქართველოში პირველი სახლი, 1890–1900 წლების

ევროპაში პროგრესული მიმდინარეობის – მოდერნის სტილით. სარაჯიშვილი მოდერნის სტილით შენობის აშენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან შენობით უნდოდა ხელოვნებაში აღმოცენებული მიმდინარეობა საქართველოში დაენერგა. დავით ზაქარიას ძის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე ივანეს ასულის სურვილი იყო სახლი სურათებით, ავეჯით, მხატვრული ნივთებით, „კუსტარული ხელობის ან სამხატვრო გალერეის, ან ორივეს ერთად დასაარსებლად“ გადაცემულიყო.

თბილისის სომეხ არისტოკრატთა საცხოვრებელ უბანში – სოლოლაკში, სოლოლაკის ფერდობის ხევის წყალი გააფილტრინა, შემოფარგლული ეზოს კედლის მხარეს მიღებით მიაყვანინა, ტერასაზე ქვით მხატვრულად გაფორმებული წყარო გააკეთებინა, სადაც ფაფარაყრილ ლომს პირი აქვს გაღებული და კრიალა წყალი გადმოედინება. დავითს მიუყვანია წყაროსთან აკაკი და წყლით გამასპინძლებია. პოეტმა წყალი „დალია, ისიამოვნა“ და ექსპრომტად თქვა:



დ. სარაჯიშვილი

„კარგო სტუმარო,
დაუფინყარო,
შესვი, გაამოს
ეს წმინდა წყარო“.
გემოვნებით გაშენებულ „დავითის ბაღში“ ეს ლექსი იტალიურ თეთრ მარმარილოს დაფაზე ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი, მიკრულია იქვე კედელზე და 1905 წლიდან ამშვენებს წყაროს. 1905 წლის გაზაფხულზე, სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, 3 აპრილს ოფიციალური კურთხევის

ცერემონიალი გაიმართა. ამ დღეს მგოსანმა 11 სტროფიანი ლექსი მიუძღვნა: „დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს“. ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1911 წლის გაზეთ „თემში“. რედაქციის შენიშვნაში წერია: „ლექსში ჩვენი დაუფინყარი მრეწველის პიროვნება არის დახასიათებული... ლექსები დაწერილია იმ დროს, როდესაც დ. სარაჯიშვილმა დაამთავრა თავისი მშენიერი



აკაკი მეულღესთან ერთად

შენობა... გამართულ მეგობრულ ნადიმზე ნაიკითხა ლექსი თვით მგოსანმა... ამ ნადიმს დაესწრო აგრეთვე განსვენებული ილია ჭავჭავაძეც“.

გაზეთმა აქვე მოათავსა „აკაკის ლექსები“, რომლებიც შექსპირის უბადლო მთარგმნელის ივანე (ვანო) მაჩაბლის მეუღლემ, ანასტასია (ტასო) მაჩაბელმა (1869–1917) მიიტანა „თემის“ რედაქციაში, რომელიც სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის მეორე შენობაში იყო განთავსებული. მეორე ლექსი „ბატონ აკაკიმ დაუწერა იმავე დროს ბატონი ვანო მაჩაბლის შვილს, ნიკოს, რომლის ნათლია იყო განსვენებული დ. სარაჯიშვილი. ნათლულმა მიართვა და წაუკითხა თავის სახელოვან ნათლიას“. ეს ცამეტსტროფიანი ლექსი ასე მთავრდება:

„იცოცხლეთ დიდხანს, იმხიარულეთ, საბედნიეროთ, ჩემო ნათლია! ის მოგცეთ ღმერთმა, და მით შეგივსოსთ, თუ დღეს თქვენს ოჯახს რამე აკლია!“


გაზეთში იქვე დაბეჭდილია მესამე ლექსიც:

„თვალხილული ვერ გხედავდი,
რომ დავბერდი, ეხლა გხედავთ,
და გულში რაც ჩამისახავს,
იმის თქმასაც უფრო ვბედავ.“

შემიყვარდი, როგორც შვილი,
როგორც და და მეგობარი,
ვაშა იმას, ვინც პოეტი
აამღერა ცოცხალ-მკვდარი!“

რედაქციის შენიშვნით: „ეს პატარა ლექსი ბატონმა აკაკიმ წააწერა დიდ სურათს, რომელიც მიართვა 1904 წლის 1 იანვარს დავით სარაჯიშვილის მეუღლეს, ქალბატონ ეკატერინეს, მადლობის ნიშნად იმ მხურვალე თანაგრძობისთვის, რომელიც მან გამოიჩინა ჩვენი სიამაყე მგოსნისთვის, როდესაც იგი შეიქმნა მეტად მძიმე ავადმყოფი 1903 წელს“.

1905 წლის 10 სექტემბერს ეკატერინესა და დავითის ქორწინების 25 წლისთავზე, „ვერცხლის ქორწილის“ სურათზე, საკუთარი სახლის ეზოში გადაღებულ ფოტოზე აღბეჭდილია დიდებული აკაკი, რომელიც ესწრებოდა ღონისძიებას 87 ადამიანთან ერთად. საზეიმო სუფ-



რასთან გამოთქვა პოეტმა ექსპრომტად, ასევე – „დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებს“:

„სიამით სავსე გულით,
ამ ძველებურის კულით,
შესვით, ორთავ გაამოსთ,
იცოცხლეთ სიხარულით!“

1911 წლის 26 ივნისს დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის დღეს სასახლის ქუჩაზე, დავითის მესამე სახლის წინ შეჩერდა პროცესია. შეუძლოდ მყოფმა მგოსანმა ზღვა ხალხის გარემოცვაში მაინც წარმოთქვა სიტყვა: „მთელ საქართველოში კიდითკიდემდე ზარის ხმად გაისმა დათიკოს სიკვდილი. სიტყვა „დათიკოს“ მე აქ განძრახ ვხმარობ, რადგანაც მხოლოდ ამ სახელით იცნობდა ამ განსვენებულს მთელი შეგნებული ქართველობა და ეს სიტყვა „დათიკო“ კნინობითი კი არ არის, გულითადი ამოძახილია“. ეკატერინეს სურვილით 71 წლის მოხუცი მგოსნის სიტყვის სრული ტექსტი შეტანილია ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის მიერ შედგენილ, ფულის ქალაღზე დაბეჭდილ წიგნში, სადაც თავმოყრილია გაზეთების, ჟურნალების, კრებულების ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები, დეპეშები, დამკრძალავი კომისიის სხდომათა გადაწყვეტილებები და ა. შ. წიგნი „დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სახსოვრად“ დაიბეჭდა დავითის გარდაცვალების წელს. კრებულში ქართულის გარდა, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, პოლონური გაზეთების სტატიებია შეტანილი, რომელთაგან ბევრია საინტერესო ინფორმაციის შემცველი.

საქართველოს რაიონებში ხალხი ითხოვდა მსცოვანი მგოსნის სტუმრობას, ვის როგორც შეეძლო, ისეთ მასპინძლობას უწევდა საყვარელ პოეტს. დიდი ფიზიკური ძალის მქონე, ბათუმის ბანკის მმართველმა ვარლამ (კირილე) ჭელიძემ (1879–1975), როდესაც აჭარას სულმნათი აკაკი ესტუმრა, რკინიგზის სადგურში ფაიტონში შებმული თეთრი ცხენები გამოაშვებინა, თვითონ შეება და ისე მოატარა მგოსანი ქალაქში. თბილისში ჩამოვიდნენ „რაჭის მაზრის მცხოვრებთა რწმუნებულნი, რომელთაც დავალებული ჰქონიათ მსცოვანი პოეტი აკაკი ონსა და სხვა ადგილებში მიწვიონ.



აკაკი ცოლ-შვილთან ერთად

რწმუნებულნი ამბობენ, საქართველოს ყველა კუთხემ პატივი სცა დიდებულ მგოსანს. მხოლოდ ჩვენ, რაჭველებს, ასეთი ბედნიერება არ გვექონიაო. სამუნხაროთ რაჭველთა რწმუნებულებმა აკაკი ვერ ნახეს, რადგანაც, მგოსანი ამჟამათ თელავში იმყოფება, საიდანაც მოკლე ხანში დაბრუნდება“ (გაზე. კოლხიდა. 1911 წ. №88. გვ. 2–3).

მიუხედავად ყოველივესი, რაჭველებმა მაინც შეძლეს პოეტის მიპატიჟება რაჭა-ლეჩხუმში.

აკაკი „ცოცხლად“ შემოგვინახა 1912 წელს გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა – „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, გარდა ამ ფირისა, ერთი წლით ადრე, აკაკი სხვა ფირზეცაა აღბეჭდილი. 1911 წელს, დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის დღეს, მთელ გზაზე, – სოლოლაკიდან დიდუბის პანთეონამდე, – ცნობილი ოპერატორი ალექსანდრე დავითის ძე დიღმელაშვილი (დიღმელოვი) (1884–1957) იღებდა ფილმს – „დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის დაკრძალვა“, რომელშიც სასახლის ქუჩაზე ზღვა ხალხში პოეტი წარმოთქვამს სიტყვას. თეთრ თმა-წვერულვაშიანი მოხუცებული მგოსანი თეთრებშია გამოწყობილი. დოკუმენტური ფირი საქართველოს ხელოვნების ეროვნული მუზეუმის საკუთრებაა.



ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა

ტასო მაჩაბლის ქალიშვილის, ელენე ჩერქეზიშვილის მოგონებებში წერია: „დედა საერთოდ დიდი ყურადღებიანი იყო აკაკის ოჯახის მიმართ. მასსოვს, თუ რამდენს დარბოდა საწყალი აკაკის პენსიის დანიშვნისთვის. აკაკის იუბილეს მოწყობისთვის, პირდაპირ თავი გადასდო და როგორც დრამატიული საზოგადოების წევრმა, მხურვალე მონაწილეობა მიიღო. როცა ვეტყოდით შვილები: დედა, მოისვენეო, ასე გვეტყოდა: „აკაკი იმდენად დიდი პოეტია, მე არ შემიძლია მას პატივი არც ვცე და ჩემი თავი და ენერგია დავზოგო“. ამიტომ იყო, რომ 1917 წლის 3 აგვისტოს ტასოსადმი მონერვილ წერილში აკაკის მეუღლე ნატალია ბაზილევსკაია და შვილი ალექსი, ზედწოდებით ლოლია, წერდნენ: „... თქვენ კიდევ გყავთ მეორე დედა და ძმა, რო-

მელნიც თქვენთვის ყოველთვის მზად არიან და უყვარხართ თქვენ მთელი გულით და სულით“.

ივანე მაჩაბლის უგზო-უკვლოდ დაკარგვით ტასო სულიერად არ დაცემულა, საზოგადოებრივ ასპარეზს არ ჩამოშორებია. გამოირჩეოდა გარეგნული სიმშვენიერით, გააჩნდა კეთილშობილური ბუნება, მის შესანიშნავ ადამიანურ ღირსებებს არა ერთი და ორი საუკეთესო ლექსი მიუძღვნა მგოსანმა:

„ვინ სთქვა: ქართველ ქალს მშვენება
 მალლით არ მოჰმადლებია,
 არც ერთი ნიჭი ბუნების
 რჩეულსა არ დაჰკლებია!“

აკაკი თავის ახლო მეგობარს, ლიზა თარხნიშვილს ტასოს შესახებ წითელ ქალაქში წერდა: „დიახ, მიტაცებდა მე მისი იობისებური მომთმენი და უბედურების ამტანი ხასიათი, მისი საანგელოზო გული და ზევსური სული. ესენი ერთ წმინდა საკუთხეველად მიმანჩნდა და ზედ საკურთხად ვადებდი ჩემს პოეზიას“.

არ შეიძლება გვერდის ავლა ტასოს ღვანლზე, რაც მას აკაკის ოჯახისადმი მიუძღვის. ამაზე მეტყველებს მისი წერილი „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თავმჯდომარის ექვთიმე თაყაიშვილისადმი: „დიდად პატივცემულ ბატონო ექვთიმე! თუ მართლა აგროვებთ ყოველ ნივთს აკაკისას, მე გადმომეცა აკაკის

ნაქონი ნივთები მხოლოდ ფასად, რადგანაც უკიდურეს მდგომარეობაში არიან როგორც აკაკის მეუღლე, ისე მისი შვილი ალექსი. ეს ყველაფერი ღირს ორასი მანეთი, თუ გნებავთ შეისყიდოთ, მაცნობეთ და თუ თქვენ არა, რომ სხვას მივიყიდო და მალე მივაშველო. თქვენი მარად პატივისმცემელი ანასტასია მაჩაბელი“.

ტასოს წერილის მიღებისთანავე ე. თაყაიშვილმა გაუგზავნა აღნიშნული თანხა აკაკის მეუღლეს ნატალია ბაზილევსკაიას, მაგრამ როცა ქველმოქმედმა ქალმა, დავით სარაჯიშვილის მეუღლემ, ეკატერინე ივანეს ასულმა პეტროგრადის ლომბარდიდან დაგირავებული ნივთები გამოიხსნა და მუზეუმს გადასცა, ტასო მაჩაბლისამ მორიდებულად მიმართა ექ. თაყაიშვილს, რომ მადლობა გამოეცხადებინა ეკატერინესათვის გაზეთის საშუალებით. გაზეთმაც გამოაქვეყნა მადლობის წერილი: „საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის პატივცემულს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას უხვის შემოწირულებისათვის“.

გაზ. სახალხო საქმე (1919 წ. 6 მაისი, №518, გვ. 2). ახალი ამბავი. კრება, მაისის 11, დღის 12 საათზე ქართული სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა მორიგი კრება. განსახილველი საგნები: 2) გამგეობის მოხსენება



აკაკი დ. სარაჯიშვილის სახლის ეზოში

აკაკი წერეთლის ნაანდერძევი უძრავი ქონების მიღების შესახებ. სანამ წერა-კითხვის საზოგადოება ჩაიბარებდა აკაკის ნივთებს, 1916 წელს „სახალხო ფურცელი“ იუწყებოდა „მგოსანის, აკაკი წერეთლის ვერცხლისა და ოქროს ნივთების შექენას“: „განსვენებულის აკაკის ოჯახს დარჩა ვერცხლისა და ოქროს ნივთები, რომლებიც დაგირავებული იყო პეტროგრადის ლომბარდში. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭომ განიზრახა ამ ნივთების შექენა. გამართა მოლაპარაკება კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასულ მაჩაბლის დახმარებით, რომელიც მოურიგდა ლომბარდის პატრონებს 100 თუმანზე (1000 მანეთი). ვინაიდან საზოგადოების საბჭომ ამ თანხის გაღება ეძნელებოდა, ამიტომ ცნობილმა ქველმოქმედმა ქალბატონმა ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯვიშვილისამ კეთილი ინება და ნივთების ფასის ნახევრის (500 მანეთი) გადახდა იკისრა; დანარჩენი 500 მანეთი კი თვით საბჭომ გადაიხადა იმ იმედით, რომ გამოჩნდებოდა კიდევ სხვა ქველმოქმედნიც, რომელნიც იტვირთებენ განუული ხარჯის ანაზღაურებას“.

გამოსყიდული ნივთები ჩაიბარა საზოგადოების საბჭომ. აი, მათი სია: დიდი ვერცხლის აზარფეშა; ვერცხლის დიდი ფრთა კალმით; ოქროში დაფერილი ვერცხლის ფინჯანი, ლამბაქი და კოვზი; დადიანისეული ვერცხლის სურა; ვერცხლის მოზრდილი სურა; ოქროში დაფერილი ვერცხლის პანია სურა; ვერცხლის სამარილე; ოქროს ფრთა კალმით; ოქროს მედალიონი; ოქროს ქნარი; ოქროს თავიანი ჯოხი ოქროს მონოგრამით; ოქროთი შემკული ჯოხი; ყველა ეს მოურთმევიათ მგოსნისათვის სხვადასხვა ქართულ საზოგადოებებს და კერძო პირებს, თითქმის თვითოეულ მათგანს აქვს შესაფერისი ზედნარწერა.

საქართველოში ბოლშევიკების მიერ დატროლირებული მოვლენებმა აიძულა მენშევიკური მთავრობა, დაეტოვებინათ სამშობლო და უცხოეთში გაეტანათ განსაკუთრებით ფასეული ნივთები და დოკუმენტაცია. წლების შემდეგ კომუნისტური მთავრობის ძალისხმევით განძი საქართველოს დაუბრუნდა.

1931 წლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას სათაურით: „მენშევიკებმა გაძარცვეს საქართველო“, გადარჩენილ ერთადერთ ნომერში მივაკვლიეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ისტორიის ფილიალის ბიბლიოთეკის საცავში. კომისიის მიერ 1927 წელს მოძიებული მასალების მიხედვით, გაზეთში აღნუსხულია „მენშევიკების მიერ უცხოეთში

გატაცებული განძეულობა“. მათ შორისაა ის ნივთებიც, რომლებიც გატანილია განათლების უწყების საგანძურიდან. მეორე უფრო დიდი ნაწილი ნივთებისა, რომელნიც ინახებოდა



შოთა (აკაკის) – ძმაო აკაკი! ეხლანდელ შენს იუბილზე, ჩვენი მწერლები ძეგლის დადგმას დაგპირდებიან, მაგრამ არ დაუფერო ძალიან შევიგვიანებენ!.. (ლაპარაკია აკაკის 100 წლის იუბილზე 1940 წელს. ყ. საბჭოთა ხელოვნება, № 6).

ხაზინაში, სახელმწიფო ბანკსა და უწყებათა საცავებში, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, შინამრეწველობის მუზეუმის საგანძური და სხვა, სიებში არაა შეტანილი, რადგანაც განძეულობის „გატაცებასთან“ ერთად განადგურდა სათანადო საბუთების კვალიც – წერია კომისიის დასკვნაში.

განძეულობა შეფასებულია ოქროს მანეთებით სპეციალური კომისიის მიერ, თავმჯდომარის ვ. ბერიძის და წევრების: პროფ. გ. ჩუბინაშვილის, სამხატვრო გალერიის დირექტორის დ. შევარდნაძის, მხატვრების – გრინევსკის, შარლემანის და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის ს. გორგიძის შემადგენლობით –

აღნიშნავდა გაზეთი წერილში. აღმოჩნდა, რომ სიაში ეკატერინე სარაჯიშვილის დახმარებით გამოსყიდული ნივთების გარდა, აკაკის სხვა მემორიალური ნივთებიცაა დასახელებული.

„აკაკი წერეთლის ნივთების“ ჩამონათვალში წერია: „ოქროს ფრთა-კალამი, წარწერით;



ოქროს მედალიონი, წარწერით; ოქროს ქნარი პანანინა, წარწერით; ვერცხლის დიდი ფრთა კალმინი, წარწერით; შავი ჯოხი ვერცხლიანი ორნამენტებით, წარწერით; ვერცხლის ფინჯანი, წარწერით; ფინჯნის ლამბაქი ვერცხლის; ვერცხლის კოვზი; ვერცხლის სამარილე, წარწერით; ვერცხლის პატარა სურა, წარწერით; ვერცხლის ყარყატი (სურა), წარწერით; ვერცხლის დიდი სურა, წარწერით; დიდი აზარფეშა ვერცხლის; ვერცხლის კალმისტარი მინანქრიანი; ვერცხლის დანა, ქალღმრთის საჭრელი, წარწერით; ვერცხლის საკარანდაშე მინანქრიანი; ქალღმრთის საჭრელი დანა სპილოს ძველის ტარით, წარწერით; კალმის ტარი სპილოს ძვლის, წარწერით; ვერცხლის საკარანდაშე; ვერცხლის ბეჭედი; ვერცხლის კალმისტარი მისივე საჭრელი დანა ვერცხლის შემკული სადაფის ტარით; მისივე კალმის დანა ვერცხლის შემკული სადაფის ტარით; თმის გასაყოფი; ვერცხლის საფულე; ჩაის სერვიზი ვერცხლის;

ორი საჭიქე; ჩაის კოვზი, ჭიქა; კალმისტარი ვერცხლის; ლუდის სასმისი ვერცხლის; ყალამდანი; ორი კალმისტარი ვერცხლის, ბლოკნოტი ვერცხლის ფიცრითა და მარმარილოს დასადგმელით; ვერცხლის კალმის ტარი; ვერცხლის სამარილე; სანერი მოწყობილობა

ლექსი "ეიფელის კოშკზე" აკაკიმ პარიზში ყოფნის დროს დაწერა. თავად გასინჯეთ, იგი ეხმაურება საქართველოში დღევანდელ ადამიანთა ყოფას.

*მაღალ კოშკზე ცის მახლობლად
ეიფელის მწვერვალზედა,
როცა ყველა დამაფინყდა!
ცოლი, შვილი, მამა, დედა,
ატანილი შიშისაგან,
მხოლოდ პარიზს დავჰყურებდი,
მაგრამ იმ დროს მე იქიდან
ველარაფერს კი ვერ ვკრეფდი.
რალაც ლანდად წარმომიდგა
ქალაქი და ტურფა მხარე,
ველარავინ გავარჩიე,
ვერც მტერი და ვერც მოყვარე!
და მაშინ ვსთქვი: ნუთუ ისიც,
ვინც ხანდახან ხალხს შორდება
და სულ მაღლა-მაღლა მიდის,
ორთა შუა გახირდება?
რა თქმა უნდა, რომ დაჰკარგავს
ხალხზე ის სწორ მხედველობას
და სიმართლით ვერ გავარჩევს
სიკარგეს და საძაგლობას!..*

ვერცხლის; სანერლის დასადგამი; ორი სამელნე; პრესბიუვარი; ორი შანდალი; ბეჭედი; კალმისტარი – ყველაფერი ერთ ყალამდანში; ორი ფრთის კალამი, ფიროუზით შემკული; ვერცხლის სურა; 6 ვერცხლის ჭიქა და ერთი ვერცხლის თეფში; პორტფელი ტყავის, ოქროს ორნამენტით; პორტფელი ტყავის ვერცხლის წარწერით 2 ცალი; ვერცხლის ოთხკუთხა ფიცარი – ოქროს ჩონგურით, მზითა და სამი ვარსკვლავით; პატარა ხატი მაცხოვრის; ვერცხლის ხანჯალი და გული; ხის ჯვარი შიგ ჩადებული ხანჯლით და მოოქრული ეფესი.

ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა აკაკისმცოდნეებისადმი – ტასო მაჩაბელი წერილს უგზავნის აკაკის, სადაც წერია: „... გიგზავნით ერთ პატარა ლექსს, თქვენ გბაძავენ. ეს ლექსი ეკატერინე ივანოვნას მიართვეს“. საინტერესოა, რომელ ლექსზეა საუბარი? იქნებ სპეციალისტებს აკაკის ლექსებში შეეშალათ და გვერდზე აქვთ გადადებული?

თეა იოსავა

„ნაკადულის“ დედა“

(მარიამ ღვინჯიას დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავის ბაზო)

„ნაკადულის“ დედა“ 1860 წლის 2 აპრილს დაიბადა. ნათლიამ მას მარიამი დაარქვა. დედამ – კორინთელის ქალმა, გორში სათნოებით და სიფაქიზით განთქმულმა, უამრავი ზღაპარი იცოდა და უკითხავდა შვილს... შვიდი წლის მამოს დედა ძველ ქართულ წიგნებს უკითხავდა, „ვეფხისტყაოსნის“ ადგილებს ზეპირად ასწავლიდა. გოგონა იმახსოვრებდა ნახულს, გაგონილს, განცდილს, რვა წლის მამოს დედა გარდაეცვალა, მამა დედასავით უვლიდა ერთადერთ ასულს. მამოს მამა ივანე გორის სამაზრო სამმართველოში მსახურობდა. იგი იყო განათლებული და საზოგადო საქმით გატაცებული ადამიანი. ძალიან უყვარდა ქართული მწერლობა. მეგობრობდა ელიზბარ ერისთავთან. ივანე გორში ქუთაისიდან ჩამოსახლებულა. მისი მამა პოლკოვნიკი მიხეილ ივინი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, პეტერბურგიდან ამიერკავკასიაში გადმოუგზავნიათ. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ ივანეს გორში დაუწყია სამსახური, კორინთელის ქალზე დაქორწინებულა და ივინის გვარი ივანოვად გადაუკეთებია. მარიამს კი მისი თანამედროვენი ხან ივინად და ხან ივინიშვილად იხსენიებენ.



პატარა მამო მამას ხშირად დაჰყავდა ელიზბარ ერისთავის ოჯახში, სადაც გოგონა შვილივით შეიყვარეს. ელიზბარის მეუღლე ქეთევანი პოეტ რევაზ ერისთავის (კოზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელის) და იყო. ქეთევანისა და ელიზბარის ოჯახში თავს იყრიდა გორის მაშინდელი მონინავე საზოგადოება. თერთმეტ-თორმეტი წლის მამოს დღენიდაც ესმოდა გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის სახელები. იყო კამათი, ბჭობა, პატარა მამო უსმენდა ყველას, დიდი თუ პატარა ძველი და ახალი თაობის ბრძოლაზე ლაპარაკობდა. მას ეს არ ესმოდა, ის გატაცებით კითხულობდა გრიგოლ ორბელიანის ლექსებს და ილია ჭავჭავაძის ლექსებიც ზეპირად იცოდა. ჯერ კიდევ პატარა გოგონა, ვერ ხვდებოდა, რომ ილია ორბელიან-

ის ლექსებს არ იწუნებდა; პირიქით, თავად ილია გრიგოლ ორბელიანის ლექსებს იზეპირებდა. როგორც პოეტს – აღმერთებდა.

წერა-კითხვა მამოს ეკატერინე გაბაშვილმა ასწავლა. სკოლასა და ოჯახში მამომ შეისისხლხორცა გულმოდგინება, შემწყნარებლობა, თავდადება, თავმდაბლობა, ეტრფოდა სამშობლოს და ჰქონდა რწმენა მომავლისა. აქაც უმტყუნა ბედმა – თხუთმეტი წლის ასაკში მამაც გარდაეცვალა. დარჩა მარტოდმარტო, ობოლი და მიუსაფარი, სხვა გზა არ იყო, ისევ დიდებას მიეკედლა. დი-

დედა მზრუნველობას არ აკლებდა შვილიშვილს. მამოს სწავლა სწყუროდა, ბევრს კითხულობდა, მაგრამ მარტო კითხვა რას უშველიდა. ის თბილისში სწავლაზე ოცნებობდა, მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა.

1877 წელს ანტონ ფურცელაძეს თბილისიდან გიორგი უთურგაული ჩამოჰყოლოდა. იგი ჟურნალის რედაქტორობას აპირებდა. ხალხოსნებს ჟურნალ „მიმოხილვის“ გამოცემა სურდათ. უკვე კარგად გათვითცნობიერებული მამო სჯა-ბაასში მონაწილეობდა. ნიჭიერი ქალიშვილი ყურადღების ცენტრში იდგა. მას ეტყობოდა ნაკითხობა, განათლება, ბუნებრივი ალღო. ყველა გრძნობდა, რომ საჭირო იყო, მამოს რაიმე ხელობა ესწავლა. გადწყდა მისი გაგზავნა თბილისის საბებიო ინსტიტუტში. ბებიაქალობა მას ხალხთან უფრო დააკავშირებდა.

მამომ დატოვა მშობლიური გორი და სულ მალე თბილისის საბებიო ინსტიტუტის მსმენელი გახდა. მას გაუჩნდა ახალი მეგობრები. შეიყვარეს ბეჯითი, ხალისიანი, სათნო ქალიშვილი, რომელიც მუდამ გულმოდგინედ სწავლობდა და გატაცებით ეუფლებოდა არჩეულ სპეციალობას. ის ერთნაირად განაფული იყო რუსულ და ქართულ ენებში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის დაუბრუნდა მშობლიურ გორს და ხალხის სამსახურს შეუდგა. ეხმარებოდა ყველას, რითაც შეეძლო და

როგორც შეეძლო. დადიოდა სოფლიდან სოფელში. იზიარებდა მშრომელთა ჭირ-ვარამს. ნუგეშად ევლინებოდა ობოლს, ქვრივს, მიუსაფარს, ავადმყოფს, ებრძოდა უმეცრეას, ცრუმორწმუნეობას. დაუცხრომელ მარიამს ეწადა საქართველო კიდიტკიდე გაეცნო. ამ მიზნით ის ქართლიდან გურიაში გაემგზავრა. მარიამი გურიის მაზრის მესანად დანიშნეს, მალე გაიცნო გურულები, ოზურგეთს შეეჩვია, მეგობრებიც გაიჩინა. ყველაზე მეტად მასწავლებელ ნინო ნიკოლაიშვილს დაუმეგობრდა, ის მასწავლებლობდა ოზურგეთის ერთკლასიან ქალთა სასწავლებელში. ერთხელ ნინომ მარიამს გაკვეთილის ჩატარება სთხოვა.

მარიამმა მალე მოიპოვა მოსწავლეების ნდობა და სიყვარული. მას მიჰქონდა მათთვის ქართული წიგნები, უკითხავდა მათ, გაკვეთილების შემდეგ ინსპექტორმა ბირშერტმა აუკრძალა მას გაკვეთილების შემდეგ დარჩენა. მარიამი შეეპასუხა და თავი დაიცვა, რასაც მისი გათავისუფლება მოჰყვა. მან დატოვა გურია და სამეგრელოს ეწვია. ცხენით დადიოდა მთვარიან ღამეში ენგურის ნაპირ-ნაპირ. გაჭირვებულთათვის დახმარების ხელი გაუწვდია. სამეგრელოდან მარიამი იმერეთს ეწვია. ჯერ ქუთაისში ცხოვრობდა, შემდეგ საჩხერეს დაიდო ბინა.

მარიამი სამურზაყანოელ დემურის ვაჟს ვასოს გაჰყვა ცოლად. ის მალე დედა გახდა. მეორე ვაჟს მამის მოსაგონებლად ვანო დაარქვა. მალე მას მეუღლე გარდაეცვალა. დარჩა მარტო ვაჟიშვილებთან.

მარიამი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. მეგობრების დახმარებით ქალაქის მეანედ დაიწყო მუშაობა, თბილისში მარიამი ყველას უყვარდა, ყველგან სასურველი სტუმარი იყო. სათნო ქალი ტკბილი სიტყვით, დაყვავებით ხიბლავდა მსცოვანს, ყმანვილს, ბაღს, ქალს, კაცს. ყველას ჭირსა და ვარამს იზიარებდა. ყველასათვის კეთილი სურდა, იცოდა, ვისთვის რა ეთქვა, როგორ ეთქვა.

თბილისში საზოგადო საქმეს რა გამოლევდა და მარიამიც ჩაება ფერხულში. ეს იყო 1893-1894 წლები. ათი წლის შემდეგ - 1904 წელს აკაკი წერეთელმა გაზეთ „ივერიამი“ გამოაქვეყნა წერილი „მცირე რამ“. ამ წერილში დიდი პოეტი წერდა: „მწერლობის გარდა სხვა ასპარეზზედაც ქალები გვეჯობნიან... ერთი მარიამ დემურია უდრის მრავალს - მოღვაწე კაცთაგანს. სწორედ ივერიის ფურცლებზე გამოჩნდა მარიამი პირველად. ის ქართული სახალხო კითხვების ორგანიზაციას ედგა სათავეში, მაგრამ ასეთივე სიყვარულით, გატაცებით, უსასყიდლოდ მონაწილეობდა სახალხო წარმოდგენებშიც.

1880 წლიდან სახალხო თეატრი ნამდვილ სკო-

ლად გადაიქცა. ამ სკოლაში ხალხი ვითარდებოდა გონებრივად, მალღებოდა სულიერად.

ცხრაასიან წლებში ძმებმა ზუბალაშვილებმა კირკის (ახლანდელი მარჯანიშვილის ქუჩაზე) სახალხო თეატრის შენობა ააგეს (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი).

მარიამი იყო ზუბალაშვილების სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი - წრის გამგეობის თავმჯდომარე. 1923 წელს სახალხო თეატრის დაარსების ოცდაათი წლისთავი აღნიშნეს, მარიამ ამ ზეიმს ვერ მოესწრო, მაგრამ ქართული დრამის გამგეობამ და დასმა დიდი პატივისცემით მოიგონეს სახალხო თეატრის სასიქადულო მოღვაწე - პიონერი ქალი. მაშინ ქალის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა დამცირება იყო. სცენა ყველაზე მეტად მიუღებელი იყო. ეს იცოდა დემურს, მაგრამ ის არაფერს უშინდებოდა. და ეს თავდადება შეიქნა მიზეზი მისი ლეგენდარულ პიროვნებად გადაქცევისა.

მარიამ დემურია მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებისათვის იბრძოდა. ღირსეული წვლილი შეჰქონდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში.

1900 წელს მარიამის თაოსნობით შეიქმნა მონინავე ქართველ ქალთა წრე, რომელმაც ქართული საბავშვო წიგნების გამოცემა დაიწყო და ისახა მიზნად. მარიამმა საჩხერეში აკაკი წერეთელს მისწერა, დახმარება სთხოვა, აკაკიმ იაკობ გოგებაშვილს მისწერა: საყმანვილო წიგნების გამოცემის საქმეში დაეხმარე ქალებსო. ამ ინიციატივას დიდი თანაგრძნობით შეხვდა მგზნებარე რევოლუციონერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე წულუკიძე. იგი პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს სწერდა: თქვენ გქონიათ შეკრებილი ბევრი ქართული ზღაპარი, გთხოვთ მოგვანოდოთ და ნება დაგვართოთ ბავშვებისათვის საყურადღებო ზღაპრები ამოვარჩიოთ და გამოვცეთ, აგრეთვე გაცნობებთ, რომ ზღაპრები გამოცემული იქნება დასურათებული, საზოგადოდ წიგნი გარეგნობით უნდა იზიდავდეს ბავშვის და ყველას ყურადღებას. თანხების უქონლობის გამო ეს ზღაპრები ნაწილ-ნაწილ გამოიცემა, რომ მცირე ფასი დავადოთ და ყველასათვის მისაწვდომი გავხადოთ.

1900 წელს საქართველოში მუშათა მღელვარებამ იმატა. გახშირდა გაფიცვები. მუშებს უშლიდნენ ერთად შეკრებას. მარიამმა გადაწყვიტა ბიბლიოთეკის დაარსება, დიდი წვალეების შემდეგ 1901 წლის 7 იანვარს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გუბერნატორს სთხოვა, თბილისში ნაძალადევაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის ნებართვა. ხუთი თვე დააყოვნა გუბერნატორმა პასუხი. შემდეგ

ნება დართო, მაგრამ ვაი ამ ნებართვას, ბიბლიოთეკა უფასო იყოსო. არ შეუშინდა ამ განცხადებას დემურია. ილია ჭავჭავაძეც მხარში ამოუდგა. ფულადი სახსარიც შესწირა ბევრმა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ყველა თავისი გამოცემის თითო ცალი აჩუქა. შემონაწერი წიგნები თანდათან გროვდებოდა. მარიამს ბავშვივით უხაროდა. არ იცოდა, ვისთვის როგორ გადაეხადა მადლობა, ანა ხუდადოვამ ასოცი წიგნი შესწირა ბიბლიოთეკას.

1901 წლის 24 ივნისს ნაძალადევი (მაგისტრალის ქ. № 17) გაიხსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის გახსნას დაესწრო ილია ჭავჭავაძე. თანდათან იმატა მკითხველმა, მარიამი აღფრთოვანებული იყო. ბიბლიოთეკის სამკითხველოში ოთხი ათასი მუშა დადიოდა, 1902 წელს ბევრჯერ გაჩხრიკა ჟანდარმერიამ ბიბლიოთეკა. ბევრჯერაც დახურვით დაემუქრა. მაგრამ ბიბლიოთეკა თავის საქმეს განაგრძობდა.

მარიამ დემურეას დიდმა ღვაწლმა თავისი გაიტანა და მოწინავე ქართველ ქალთა წრე ენერგიულად ამუშავდა. 1902 წელს გამოსცეს ზღაპრების კრებული, რომელშიც გამოქვეყნდა: „ნაცარქექია“, „მუქთახორა ოსტატი და შეგირდი“ და სხვა. 1903 წელს გამოვიდა ზღაპრების მეორე კრებული დასურათებული მხატვარ ოსკარ შმერლინგის მიერ.

იმ დროისათვის თბილისში მრავალი საზოგადოება არსებობდა და ვერ დაასახელებდით ვერც ერთ ეროვნულ საქმეს, რომ მარიამს მოწინაღობა არ მიეღო. ყველაფერს ასწრებდა, ღარიბი მოსწავლეების დამხმარე საზოგადოებას ხელს უწყობდა. ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებაში მარიამს დაუცხრომელ ქველმოქმედს ეძახდნენ. მარიამის თაოსნობით ღარიბი სტუდენტებისათვის საგანგებო ფონდი დაუარსებიათ. თავად სიღარიბეში აღზრდილს, კარგად ესმოდა დახმარების ფასი. ამდენი საქმის მოთავე ქალი მაინც ვერ ისვენებდა, რაღაც აწუხებდა. მან გადაწყვიტა საბავშვო ჟურნალის გამოცემა. ეს ჯერ კიდევ გურიაში ყოფნის დროს მოიფიქრა. იცოდა, კარგი ჟურნალი მოზარდებს დიდ სამსახურს გაუწევდა. პირველად იაკობ გოგებაშვილს გაუზიარა თავისი ახალი ოცნება. გოგებაშვილმა მოუწონა – ჩინებულთა თუ განხორციელდაო, მარიამმა არ იცოდა შიში და ყოყმანი. იგი გაბედულად, გულუშიშრად ჰკიდებდა საქმეს ხელს. ასევე მოეკიდა ჟურნალის გამოცემის საქმესაც. დაყოვნება, დახანება, გადადება არ ჩვეოდა, იგი კარდაკარ დადიოდა საქმის მოსაგვარებლად. ჟურნალის გამოცემის ხარჯები მარიამის ბავშვობის მეგობარმა ელიზბარ ერისთავის ქალიშვილმა ნინო ქობუდაშვილმა იკისრა. რედაქ-

ტორებად ელისაბედ ერისთავი და ნინო ზურაბიშვილი მოიწვია. ახალი ჟურნალის გამოცემა ითავეს აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, სოფრომ მგალობლიშვილმა, გიორგი გეცტმანმა, ივანე მაჭავარიანმა, მიხეილ თაქთაქიშვილმა, შიო ჩიტაძემ, ალექსი მირიანაშვილმა, ჟურნალს მარიამის სურვილით „ნაკადული“ ეწოდა. აკაკი წერეთელს ხუმრობით უთქვამს: კარგია „ნაკადული“, „ჯეჯილს“ მორწყავს და საუცხოო მოსავალი იქნებაო.

„ნაკადულამდე“ გამოდიოდა ჟურნალი „ჯეჯილი“. 1904 წლის ნოემბერში გამოიცა „ნაკადული“ დამშვენებული ზღაპრებით, ლექსებით, რეზუსებით, სურათებით, გამოცანებით.

„ნაკადულის“ პირველი ნომერი „მცირეწლოვანთათვის“ – იხსნებოდა შიო მღვიმელის ლექსით „ნაკადული“, მოზრდილთათვის განკუთვნილი „ნაკადულის“ პირველ ნომერს ამშვენებდა აკაკი წერეთლის ლექსი. მგოსანი თავის მკითხველებს ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევდა:

„გახსოვდეს, რომ სწავლა არის
წყარო, სიბრძნე-ნაკადული
და ნაყოფი მათი ტკბილი
შვება, ლხენა, სიხარული“.

მართალია, ჟურნალის ოფიციალურ რედაქტორებად სხვები იყვნენ მინვეუნი, მაგრამ ფაქტიურად მარიამი რედაქტორობდა.

„ნაკადულიდან“ ელაპარაკებოდა ვაჟა-ფშაველა ნორჩებს. „ნაკადულში“ გამოქვეყნდა მისი ლექსები და მოთხრობები: „საახალწლო სიმღერა“, „ობოლი“, „ახალი წელი ფშავლისა“, „დიდებული საჩუქარი“, „ძაღლმა ციკანი მოიგო“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“, „ბერდიხა“, „მონადირე და ირმის გონიერება“, „პირველი გაზაფხული“, „ერთი უყურეთ ტყესა“ და სხვა.

ბავშვების საყვარელი მწერალი იროდიონ ევდოშვილი ნათლად წარუდგენდა მათ წელიწადის ოთხივე დროის სურათებს. სიმართლისადმი, თავისუფლებისადმი სწრაფვას ქადაგებდა ნინო ნაკაშიძის ზღაპარი „წყლის პეპელა“.

1905 წლის რევოლუციამ მოიცვა მთელი საქართველო. ჟურნალი „ნაკადული“ ქადაგებდა გაბედულად, ვაჟკაცურად:

„გასწი, ჩიტუნი, აფრინდი მალლა,
კვლავ გამაგონე ტკბილი გალობა!
მალლა ზეციდამ გვახარე მეტყველთ:
თავისუფლება! ძმობა, ერთობა!“

თედო რაზიკაშვილი ზღაპარში „როგორ გაჩნდნენ ხობხები“ შეფარვით, მაგრამ მტკიცედ ამბობდა: „ცოცხალი იყო და შენი სიცოცხლე შენად არ გეგულებოდეს, ისევ არა სჯობია, არ იყო, თუ შენი სიცოცხლე სხვის ნებაზეა დამოკიდებული?“ ცენზორს ეს საეჭვოდ მიუჩნევია, მაგრამ

მარიამს მაინც გამოუქვეყნებია. „ნაკადული“ ურჩევდა და აყვარებდა მოზარდებს შრომას. ამაზე მეტყველებს ფრანგულიდან გადმოკეთებული მოთხრობა „ათი მუშა“, ვიშნევსკის მოთხრობა „ყველა ერთისათვის, ერთი – ყველასათვის“, ნაკადული მოუწოდებდა მოზარდთ:

„შრომითა სძლიე უძლეველს
გაითქვი მითი სახელი“.

„ნაკადული“ თავის პატარა მკითხველებს უქადაგებდა თავდადებას, მეგობრობას, სიკეთეს, შემწყნარებლობას, სიბრძნეს, გონიერებას პირმართლობას; ამხელდა და კიცხავდა სიზარმაცეს, უქნარობას, მსუნავობას, სიძუნწეს, პირფერობას, ენატანიობას, „ნაკადული“ აცნობდა მკითხველებს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას. აქ გაეცნენ ისინი ჩარლზ დარვინის, ქრისტეფორე კოლუმბის, მოცარტის, თეოდორე კერნერის, რობერტ ოუენის, სოკრატეს, ჯორჯ ბაირონის და სხვათა ცხოვრების ამბებს.

„ნაკადულში“ ქვეყნდებოდა ხალხური ლექსები, ზღაპრები, იგავები, არაკები, ანდაზები, გამოცანები.

მარიამ დემურამ ბავშვებთან სასაუბროდ „ნაკადულში“ მოიწვია აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი, შიო ჩიტაძე, იროდიონ ევდოშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ილია ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძე, ვერ ნახავდით მწერალს, რომ საპატიო საქმედ არ მიეჩნია თანამშრომლობა და დაბეჭდვა ჟურნალ „ნაკადულში“.

მარიამ დემურიას ერთ-ერთი პირველი „თხზულება“ 1896 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ჯეჯილში“. ეს იყო წერილი „დაულალავი მოღვაწე მართა“, მასში ბავშვებისათვის გასაგებად, უბრალოდ, სადად მოთხრობილია ფრანგი ქალის ანა ბიჟელის ცხოვრება. მარიამმა იგრძნო სულიერი ნათესაობა საზოგადოებისათვის თავდადებულ ქალთან.

თვალსაჩინო საქმეთა თაოსანი მარიამი ბევრ უჩინარ სასარგებლო საქმეს აკეთებდა. მას სურდა, ბავშვებისათვის ეჩვენებინა, რომ ცოდნა უკეთესი მერმისის ლამპარია. მან ამ მიზნით თარგმნა რუსულიდან მოთხრობა „ახლად მიბარებული“. მშრომელი ხალხისადმი სიყვარული და თანაგრძნობა ჩანს თარგმანებში: „ღარიბი ხალხი“, „იასამანი“, „ბავშვის ალერსი“ და სხვა.

მარიამმა იცოდა, რომ პატარებს ძალიან უყ-

ვართ მოთხრობები ცხოველებსა და ფრინველებზე. ამიტომ თარგმნა „ორი ბაყაყის თავგადასავალი“, „მადლიერი ჭილყვავი“ „ერთი ძაღლის თავგადასავალი“. მარიამ დემურიას დიდი სურვილი ჰქონდა, ჟურნალის მეშვეობით ცოცხალი მხატვრული ენით დანერილი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნაწარმოებები გაეცნო ბავშვებისათვის. ამ მიზნით, მარიამმა თვითონ თარგმნა ვაგნერის „რისგან კეთდება რეზინის ბურთი?“ და ზღაპარი „ლოკოკინა და აბრემუმის ჭია“.

მარიამ დემურია აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსაც. განსაკუთრებით იზიდავდა ზღაპრები. მისი შეკრებილი ზღაპრებიდან გამოქვეყნებულია „ხუთი მჭადი და ხელმწიფის ქალი“, მარიამი წერდა და თარგმნიდა პიესებსაც. მისი საბავშვო პიესები გამოქვეყნებულია 1922 წელს გამოცემულ წიგნში „ქართულ საბავშვო პიესათა კრებული“. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული ორიგინალური საბავშვო მოთხრობა. მათ შორის თემატიკითა და საინტერესო შინაარსით გამოირჩევა „მალვა და თამრო“, „ორი მეგობარი“, „არჩილის და ლევანის პირველი ხე“, „მხერხავი ლექსო“, „მერცხლობანა“ და სხვა. ხოლო თარგმანებიდან ყურადღებას იმსახურებს „იასამანი“, „დაუპატიჟებელი სტუმარი“, „ორი ბაყაყის თავგადასავალი“.

დიდა მარიამ დემურიას დამსახურება, „ვინც თავის მამულზე მარად ფიქრობდა და სამშობლოსთვის უძგერდა გული“. მისი სახელი უკუნისამდე დარჩება მაღალი და ხსენებული.

ასეთი იყო ის უანგარო, ეროვნული საქმისათვის თავდადებული, უბრალო და დიდი ქართველი ქალი, რომელიც 1910 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა. გავიდა ათეული წლები, მაგრამ ისევ მოჩუხჩუხებს და მოიმღერის მარიამ დემურიას „ნაკადული“, ასწავლის ახალ თაობას, შეინახოს და ზარდოს ჩვენი წინაპრების სისხლის ფასად მოპოვებული ხვალისდელი დღე.

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ 1904 წელს დაარსდა, მოგვიანებით მას სახელი შეუცვალეს და „პიონერი“ ეწოდა. 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის. წელიწდში გამოიცემა ჟურნალის ცხრა ნომერი მანანა გელაშვილის რედაქტორობით. მარიამ დემურიას დანყებული საქმე კვლავ გრძელდება.



იური სისარულიძე

მთაწმინდის პანთეონის ბინადარი

(ნიკო ბერძენიშვილი – 120)



მთაწმინდის პანთეონის ბინადართ შორის არის დაკრძალული დიდი ქართველ ისტორიკოსი, მრავალმხრივი მოღვაწე, უზადლო მეცნიერი და პიროვნება, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი (1890–1965). საგულისხმოა, რომ მისი ინტერესები და მისწრაფებები მარტო ისტორიული მეცნიერებით არ შემოიზღუდებოდა. ის ავტორია

არაერთი პოეტური ნაწარმოებისა. მან სწორედ ამით დაიწყო, როდესაც გამოაქვეყნა პირველი ლექსები ჟურნალ "ემმაკის მათრახში" (1908 წ.), შემდეგ ნოველების წერასაც მიჰყო ხელი, ხოლო მერე შესანიშნავი დრამატიული ნაწარმოებიც შექმნა.

დიდებული მეცნიერის მთელი ეს მემკვიდრეობა დღესაც ჩრდილშია და კარგა ხანია ელის მზის სინათლეს.

ცხადია, ნიკო ბერძენიშვილს ქართველი ერი იცნობს როგორც ისტორიკოსს. დაუფასებელია მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი გამოკვლევები. დღეს უკვე გამოქვეყნებულია ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა 11 წიგნი, ხოლო გამოსაცემია თითქმის ამდენივე, თუ მეტი არა. თავის დროზე მთავრობამ გადაწყვიტა უცხო ენაზე დაბეჭდილიყო დიდი მეცნიერის რჩეულ თხზულებათა 3 ტომი. მაგრამ აქამდე ვერც ამ დიდ საქმეს მოება თავი.

ნ. ბერძენიშვილი უნიჭიერესი მეცნიერი ბრძანდებოდა, დიდი წარმატებით მოფინა ნათელი საქართველოს ისტორიის ბევრ ურთულეს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურის საკითხებს, რომლებიც დიდხანს შერჩებიან სახელმძღვანელო დებულებებად ქართულ საისტორიო მწერლობას.

ნ. ბერძენიშვილმა სამეცნიერო კარიერის დიდი გზა გაიარა: 1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1929 წელს დაინიშნა იმავე უნივე-

რსიტეტის ისტორიის კაბინეტის გამგედ და მიენიჭა ასისტენტის წოდება, 1932 წელს ნ. ბერძენიშვილი დოცენტად აირჩიეს, 1938 წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, ხოლო 1939 წელს – პროფესორის წოდება. 1943 წელს – უკვე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია. 1944 წელს ნ. ბერძენიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1948 წელს დიდი მეცნიერი სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა.

1951 წელს აკად. ნ. ბერძენიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს (ის მესამე გახლდათ ამ სამეცნიერო თანამდებობაზე აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა (1946–1947) და აკაკი შანიძის (1948–1951) შემდეგ).

ნ. ბერძენიშვილმა ამ თანამდებობაზე 1957 წლამდე დაჰყო და წარუშლელი კვალი დააჩინა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებას.

თავის დროზე დიდი მეცნიერის უდიდეს აღიარებას მოწმობდა მსოფლიო ომის შემდეგ მისთვის ი. სტალინის პრემიის მინიჭება.

ნ. ბერძენიშვილის აღიარებას მოწმობს ის ფაქტებიც, რომ სხვადასხვა დროს მისი სახელი მიენიჭა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, გოგელესუბნის ცხრანლიან სკოლას, საქართველოს კულტურის სამინისტროს ჩოხატაურის სამხარეთმცოდნეო მუზეუმს და სხვა.


დანსებულია სახელოვანი მეცნიერის პრემიაც, რომელსაც დროდადრო გასცემს საქართველოს სახელმწიფო საარქივო სამმართველო.

ჩვენი ვალაია, თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ დიდი ისტორიკოსის ბრწყინვალე სამეცნიერო მემკვიდრეობას და ის უნიკალური გამოკვლევებიც გამოვცეთ, რომლებიც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს არა მარტო ქართულ საისტორიო მწერლობაში, არამედ მსოფლიოს საისტორიო მეცნიერებაშიც.



შენიშვნა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ 1981 წელს გამოსცა ნიკო ბერძენიშვილის ბიობიბლიოგრაფიული ცნობარი – ნ. ბერძენიშვილი: (1894–1965); ბიობიბლიოგრაფია, თბ., მეცნიერება, 1981.

ფილოლოგიური კიეპანი



ირა ხვიჩავა

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მძირა რამ სახისმეტყველებაზე



ტერმინს „სახისმეტყველება“ დიდი განფენილობა აქვს. იგი ქართული განსახივებით აზროვნების დამადასტურებელია.

რას ნიშნავს „სახისმეტყველება“? უნებლიეთ იბადება კითხვა, როდისდამ გვხვდება ეს სიტყვა ქართულში მსგავსი შინაარსით? ალბათ მე-8 საუკუნის ბოლოდან.

„სახის სიტყვაი“, რომელიც ბერძნულ დედანში „ფიზიოლოგიის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ნ. მარის გამოკვლევით, შესრულებულია მე-18 საუკუნის გასულს. ნაწარმოები მიგვითითებს ზემოთ მოყვანილი სიტყვის გარკვეულ შინაარსზე. იგი წარმოადგენს მისტიკური და ზნეობრივი ზოგადი იდეალების ალევორიული სახეებით (კერძოდ, ცხოველთა სახეებით) გამოხატვას.

„სახისმეტყველი“ ეწოდება იმას, ვინც ამ ალევორიულ შინაარსს გვაგებინებს. შემდგომ საუკუნეებში, მთელი ძველი ქართული მწერლობის განმავლობაში, ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული შინაარსით იხმარება ეს ტერმინი.

ამიტომ გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს ამ ტერმინის შესახებ გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: პროფ. ს. ენუქიძევილი პრეოპაგიტული წიგნების თავისივე გამოცემის შესავალში გამოჰყოფს ამ წიგნების ქართულად მთარგმნელს. დიდი ქართველი მწერლის ეფრემ მცირის (XI-ს) მიერ თარგმანში გამოყენებული სიტყვების ერთ ჯგუფს. ეს ის სიტყვებია, – დასძენს მკვლევარი, „რომლებიც შექმნილი უნდა იყოს ეფრემ მცირის მიერ და პირველად ქართულ მწერლობაში აქ ხმარებული; აქვე მოიბოვება ქართულ მწერლობაში იშვიათად ხმარებული სიტყვები, ხოლო ზოგიერთ სიტყვას აქვს ძველი ქართულისათვის მათი ჩვეულებრივი შინაარსისაგან განსხვავებული გაგება“ (პეტრე იბერიელი).

აღნიშნული ტერმინი ეფრემ მცირეს გამოყენებული აქვს ორიგინალურ ნაწარმოებშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ეფრემის ერთი თხზულება, რომელიც შეიცავს ეგზეგეტიკური მწერლობის მეთოდების დახასიათებას. ეფრემი აქ ნაწარმოებთა შინაარსის გააზრების ორგვარ შესაძლებლობას აღნიშნავს: ერთია პირდაპირი – ეფრემით, „განმარტებით“, ხოლო მეორე – „სა-

ხისმეტყველებით“, ანუ ალევორიულ შინაარსის ამოცნობა.

როგორც ითქვა, იგივე სიტყვა არაერთგზის გვხვდება არეოპაგიტული წიგნების ეფრემისეულ თარგმანებშიც. აქ „სახისმეტყველების“ გვერდით იხმარება „სახეთმწმასნებლობა“ – ბერძნულში „ტვპოპლასტია“ (სახით მინიშნება), „სახისმოქმედება“ – „მორფოპოია“ (ფორმის მიცემა), „სახისმწერლობა“ – „იკონოგრაფია“ (სახის, ხატის შექმნა), „სახის-ჩვენებით“, „სახის-შემოღებით“ და ა. შ. აქედან ცხადია, რომ ამ ტერმინების ხმარებისას ეფრემს ამოსავლად ჰქონდა „სახისმეტყველება“ და მისი „სახეებით აზროვნების“ შინაარსით გაგება. ეს მას ადრეული ტრადიციისაგან შეეძლო აედო, მაგრამ აქ საყურადღებოა სხვა რამ. საყურადღებოა, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ტერმინი დაახლოებით ერთმანეთის მსგავს მოვლენებს გამოხატავს. ბერძნულში ისინი წარმოდგენილია სრულიად ურთიერთგანსხვავებული სიტყვებით. მაგალითად, ტერმინებს „სახისმეტყველება“, „სახის შემოღება“ და „სახის-მწერლობა“ ბერძნულში შესაბამისად ესიტყვება „სიმბოლოიკოსს“, „ანაგოგიკოსს“ და „იკონოგრაფიას“. ქართულში მათი შინაარსების მათესაობა იგრძნობა შესაბამისი ტერმინების ფორმიდანაც.

სულხან-საბას ლექსიკონში გვხვდება:

1. „სახის მწერალი – სახის მეთყველებით თქმულსა სიტყვასა ჰქვიან“;

2. „სახის შემოღება“ – იგავის მოყვანა, საერთოდ, როგორც ვხედავთ, „სახისმეტყველება“ ცნობილია საბასთვის, თუმცა სპეციალურად არაა განმარტებული.

თვით ძველი ქართული მწერლობის მიწურულს კვლავ იხმარება ეს ტერმინი (მაგალითად, გაბრიელ მცირის „... განმარტებაი“, – სახის მეთყველებითი“) გამოყენებულია ლიტ. იხ. I 1960 გვ. 257).

უპირველესად, ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ამ სიტყვამ გაიზიარა ბევრი ქართული ტერმინის არასასურველი ბედი. საუკუნეების მანძილზე ჩვენი მწერლობისა აზროვნების განვითარების კვალობაზე არა ერთი ტერმინი მკვიდრდებოდა, ვითარცა ჭეშმარიტი მონაპოვარი და

თანაც დასტური წარსულში ქართული აზროვნების წარმატებისა. შემდეგში, როგორც ცნობილია, სხვადასვა გარემოებათა აზრის განვითარებამ კვლავ მოითხოვა და ჩვენ დაგვჭირდა იგივე ცნობების აღნიშვნა, ხელთ აღარც აღმოგვაჩნდა, თუ აღარ ვიცოდით, ჩვენი „სიბრძნე გამოჩენილი და საუნჯე დაფარული“.

ლიტერატურა ყოველთვის ფასდებოდა სახისმეტყველების ანუ განსახოვნების საფუძველზე. ლიტერატურაში შეიძლება ყველაფერი მოძველდეს, გარდა ლიტერატურისა, მაგრამ ის ვერ იქნება ლიტერატურა, თუკი თავისი დროისათვის მეცნიერული ან სხვა ღირებულება არ გააჩნია. ამიტომ სახისმეტყველება უარყოფს ლიტერატურისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებას. იმისათვის, რომ ლიტერატურას მივებალოთ, უნდა გვახსოვდეს ორი რამ: მშვენიერი და ამაღლებული.

სახისმეტყველება სულიერი უნარია, ისაა განმეზღვა და „სახეა ხილვა და ჩვენება დაფარულისა“, „სახეა“ ყველა საგანი და ყველა მოვლენა. ყველა რაღაცას აღნიშნავს, რაღაცას გამოხატავს თავისთავად, თავისივე არსებობით. ამ აზრით უახლოვდება რუსთა-

ველური „სახე ყოვლისა ტანისა“, ან პეტრინისეული „ხატს“. პეტრინისთვის ხომ მთელი ყოფიერება „ხატთა იერარქიაა („ხატი“, „ხატის ხატი“ და ა. შ.).

სახისმეტყველება ეს არის შინა-სახე, ეს არის სული. სახისმეტყველების მიხედვით, სული ქმნის სახეს, ადამინის შინა სახე ღვთაებრივია, მისი შინაარსია, აი, რაკურსი იმ პანორამისა, რომელზეც გადის სახისმეტყველება და რომელიც დაგვეხმარება ლიტერატურის „ტალღების“ არა ამოსხანაში, არამედ მის დანახვაში.

გამოყენებითი ლიტერატურა

1. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.1, 1941.
2. ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. 1884.
3. რ. სირაძე. სახისმეტყველება. 1982
4. რ. სირაძე. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა. 1992
5. იოანე პეტრინი, განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“, 1999.
6. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии: VI – СПб, 1904.

პვირეული – 2010



ბიბლიოთეკა საზოგადოების სამსახურში

(მასალების მიმოხილვა)



საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემა სხვადასხვა ტიპისა და უწყების 4000-ზე მეტი ბიბლიოთეკისაგან შედგება, რომლებშიც გარკვეული წესით ორგანიზებული უდიდესი ცოდნაა დაგროვილი. ამ ცოდნასთან ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მოსახლეობის ყველა ფენისათვის. ბიბლიოთეკების მთავარი საზრუნავია მკითხველთა მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება, მათი საკითხავი და სოციალური ინტერესების გათვალისწინება. ბიბლიოთეკები მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან. საზოგადოებასთან ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებისას; საქართველოს ბიბლიოთეკებში კვირეულის პროგრამით ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც გამდიდრებულია მკით-

ხველებთან ურთიერთობის ახალი ფორმებით. საბიბლიოთეკო პრაქტიკამ უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე წარმოაჩინა ბიბლიოთეკებისა და საზოგადოების ურთიერთობის მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი. ბიბლიოთეკარებმა წლების მანძილზე დააგროვეს მკითხველთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება. კვირეულის პროგრამით ჩატარებული ღონისძიებების სპეციფიკა იმითაც არის საინტერესო, რომ ბევრი ფორმა და თემატიკა ნაკარნახევია მკითხველთა მიერ. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ აღნიშნოს საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკების ახლებური მიდგომა ცალკეული ღონისძიებებისადმი თემატიკის შერჩევისას. ბიბლიოთეკების ღონისძიებების ნაირფეროვნება განპირობებულია ბიბლიოთეკების ტიპისა და სპეციფიკის, მკითხველთა ინტერესების

მაქსიმალურად გათვალისწინებით. კვირეულის დევიზი – „თქვენი ბიბლიოთეკა“ – ნათლად მეტყველებს ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ დანიშნულებასა და მისიაზე. ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ცოცხალ უჯრედებს, რომელთაც თავიანთი საქმისადმი თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ ხელშესახები წვლილია აღზრდის, განათლებისა და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. კვირეულის პროგრამით ორგანიზებული ღონისძიებების თემატიკა და ფორმა, წარმოდგენილი მასალები, ნათლად მეტყველებს საზოგადოების ცხოველ ინტერესზე ბიბლიოთეკების მიმართ. კვირეულის დასაბამიდან პირველი სამი-ოთხი წელი (2002–2005) აღსანიშნავი იყო ბევრი გათვალისწინებული მოვლენით, როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი დაიხურა, დაირღვა სისტემა, შემცირდა ქსელი, მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში შენარჩუნებულ იქნა ბიბლიოთეკების მინიმალური რაოდენობა, რომ არ დარღვეულიყო კონსტიტუციური უფლებები, მკითხველებს გამოეჩინათ ინიციატივა, რათა არ დახურულიყო მათი ბიბლიოთეკები, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებას დაენახა, რამდენად საჭირო და აქტუალურია რეგიონში ბიბლიოთეკა, როგორი ურთიერთობაა მათსა და საზოგადოებას შორის; სწორედ ეს იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიზანი, როდესაც მან საბიბლიოთეკო კვირეული შემოიღო და მიაღწია ბიბლიოთეკარის დღის დაარსებას (30 აპრილი).

ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ 2007–2008 წლებიდან დაიწყო საბიბლიოთეკო ქსელის რეაბილიტაცია. თანამედროვე ეტაპზე



ბიბლიოთეკებმა მკითხველ საზოგადოებასთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება დააგროვეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონები: თელავი, გურჯაანი, მცხეთა, გორი, დუშეთი, ზუგდიდი, წალენჯიხა, კასპი, რუსთა-

ვი, ხაშური, ბორჯომი, ხარაგაული, ქიათურა, წყალტუბო და სხვა. აგრეთვე თბილისის, ბა-




თუმის, ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკები. 2010 წლისათვის საბიბლიოთეკურ კვირეული ჩატარდა ჩვეულებრივი პერიოდისათვის – აპრილის ბოლო კვირას; მართალია, ეს დრო ერთგვარად გამოიკვეთა ასოციაციის მიერ, მაგრამ ბიბლიოთეკები მასობრივ ღონისძიებებს ატარებენ თითქმის მთელი წლის მანძილზე.

თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანებაში (გენერალური დირექტორი ც. კალმახელიძე) სისტემატურად ტარდება შეხვედრები, ლექცია-მოსხენებები, ნიგნების წარდგენა, განხილვები, ლიტერატურული კონკურსები, მოგზაურობა ნიგნით, წლის საუკეთესო მკითხველის გამოვლენა და სხვა ფორმები, რომელთა თემატიკა ბევრწილად ნაკარნახებია მკითხველთა მიერ.

13 მაისს 55-ე საქალაქო ფილიალში (გამგელ. ჩხატარიაშვილი) მოეწყო მკითხველთა კონფერენცია აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170-ე წლისთავთან დაკავშირებით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აქტიური მკითხველები, ა. წერეთლის პოეზიის მოყვარულნი, 105-ე საჯარო სკოლის 2–5 კლასის მოსწავლეები. ღონისძიების მომზადებაში ბიბლიოთეკას დიდი დახმარება გაუწია ამავე სკოლის პედაგოგმა ე. მხეიძემ. აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს 173-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მ. კალანდაძემ, ხ. მორჩილაძემ, ე. ფანჩულიძემ, ღონისძიებას ესწრებოდნენ მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. საინტერესო ღონისძიებისათვის ბიბლიოთეკას მადლობა გადაუხადა 105-ე საჯარო სკოლის მასწავლებელმა ლ. ტყემალაძემ.

5 მაისს მე-15 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამ-



გე თ. მაკასარაშვილი) ჩატარდა მუსიკალური საღამო „ჩონგური საქართველო“, ღონისძიება მიეძღვნა აკაკის საიუბილეო თარიღს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 117-ე და 50-ე საჯარო სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები. ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პედაგოგებმა მ. ბეგაძემ და ია ჭეიშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ყურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ა. ლორია, გაერთიანების ლიტერატურული საღამოს ხელმძღვანელი ც. ქოჩეჩაშვილი.

13 მაისს მე-10 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ზერეკიძე) ჩატარდა კომპლექსური ღონისძიება, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა ბიბლიოთეკისა და მკითხველის დაახლოება, მკითხველთა წინადადებებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. ეს იყო ერთგვარი ლიტერატურული ხასიათის ღონისძიება; ღონისძიებას უძღვებოდნენ პოეტი ვახტანგ ხარ-

(გამგე რ. კუჭავა) ჩატარდა შემოქმედ ბავშვთა გამოსავლინებელი ღონისძიება. წინასწარ შერჩეული მკითხველები წარმოადგინეს №15, №4, №48-ე, №21-ე საქალაქო ბიბლიოთეკებმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 67-ე სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. აღნიშნული ბიბლიოთეკების მკითხველებმა – მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი შემოქმედება – ნახატები, ნაქარგები, ლექსები, ჩანახატები და სხვა სახის მასალები, მუსიკალური ნომრები. საკუთარი ლექსები წაიკითხეს: გ. ლაშაურმა (მისი შემოქმედების შესახებ იხ. ამავე ყურნალის წინა ნომერი, გვ. 41-43); ნ. ლომთაძემ, თ. ებანოიძემ. მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს 67-ე, მე-15, 21-ე, 48-ე ბიბლიოთეკების მკითხველებმა: ნ. ჩიხლაძემ, ნ. მდინარაძემ, გ. გურეშიძემ, ნ. ჯაგოდნიშვილმა, ნ. აივაზიშვილმა და სხვებმა.

19 მაისს 31-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. საგანელიძე) მოენყო ვაკე-საბურ-



ჩილავა და 57-ე ფილიალის გამგე ლ. გოქაძე. ღონისძიება ერთობლივად მოამზადეს ვაკე-საბურთალოს რაიონების საქალაქო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის მე-9, მე-16, მე-19, 31-ე, 38-ე, 56-ე, 57-ე ბიბლიოთეკის ფილიალის გამგეები, აქტიური მკითხველები. გაიმართა გულთბილი საუბარი მკითხველთა მომსახურების აქტუალურ საკითხებზე. დამსწრეთ სიტყვით მიმართეს პოეტმა კ. ხარჩილავამ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ი. ღარიბაშვილმა, ა. ლორიამ, გ. თაყნიაშვილმა. ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა: ჯ. ნოზაძემ, ი. მჭედლიშვილმა, დ. დათუნაშვილმა, გ. არაბულმა და სხვებმა. ასეთ არაოფიციალურ შეხვედრებს, ცხადია, გარკვეული შედეგი მოაქვს არამარტო ბიბლიოთეკისათვის.

26 მარტს მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკაში

თალოს რაიონების ბიბლიოთეკების გამგეთა და 31-ე ბიბლიოთეკის თანამშრომელთა საქმიანი შეხვედრა, რომლის თემატიკას წარმოადგენდა წმინდა პროფესიული საკითხები. ბიბლიოთეკარებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბიბლიოთეკო საქმეში ამჟამად მოქმედი სტანდარტების შესახებ. ძირითადად ყურადღება გამახვილებული იყო უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაციის ქართული ვარიანტის გამოსვლასთან დაკავშირებით; ამავე ბიბლიოთეკაში აიწყო და რედაქტირება გაუკეთდა სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნობრივ საძიებელს. აღნიშნულ და საბიბლიოთეკო მუშაობის სხვა აქტუალურ საკითხებზე ბიბლიოთეკარებს კონსულტაციებს უწევდნენ ა. ლორია და გ. თაყნიაშვილი. შეხვედრა-სემინარზე საინტერესო პრობლემები წამოჭრეს ფილიალის გამგეებმა: გ. საგანელიძემ, ლ. გოქაძემ, ლ. კასრაძემ, ჟ. ჩეკურიშვილმა, ც. ზერეკიძემ და



ნ. პეტრიაშვილი. გამოითქვა მოსაზრება, რომ მსგავსი შეხვედრები სისტემატურად გაიმართოს ქალაქის რაიონების მიხედვით.

თბილისის ლ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ი. არგუტინსკაია) სისტემატურად იმართება შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები. თითოეული მათგანის შინაარსი არსებითად უკავშირდება ბავშვთა შემეცნებით ინტერესს, მათ ინტელექტუალურ და საინფორმაციო მოთხოვნებს. 22 აპრილს ბიბლიოთეკამ ჩაატარა ვიქტორინა „მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეთა შორის. მათ ბევრი რამ შეისწავლეს დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისა და სხვა გეოლოგიური პროცესების შესახებ. ხელოვნების საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის გაიმართა ვიქტორინა – შოუ „რა, სად, როდის“. მკითხველებმა ბევრ საინტერესო კითხვას გასცეს სწორი პასუხი, რაშიც, ცხადია, დაეხმარა ბიბლიოთეკა – ისინი ხომ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან.


29 აპრილს მოენყო შეხვედრა მწერალ ბონდო მაცაბერიძესთან. გაიმართა საინტერესო დიალოგი მწერალსა და ბავშვ მკითხველებს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ მწერალი თემურ შავლაძე და გამომცემლობა „ბაკმის“ რედაქტორი რუსუდან მოსიძე.

პოეზიის დღეს მიეძღვნა შეხვედრა პოეტ რატი ამალაშვილთან. პოეტს შეხვდნენ და ქართული მწერლისა, და კერძოდ, პოეზიის შესახებ ისაუბრეს თბილისის 169-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა. შეხვედრა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, მოსწავლეებმა ბევრი პრობლემის შესახებ ისაუბრეს, ძირითადი თემატიკა შეხვედრისა მაინც იყო წიგნი, ცოდნა, ინფორმაციის მიღება.

ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ წყნეთის, კოჯრის, დიღმის, „მომავლის სათნოების სახლების“ აღსაზრდელები. შეხვედრაზე მონაწილე იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მ. გონაშვილი; მისი მოადგილე ვ. ოთარაშვილი. სტუმრებს მუსიკალური ნომრებით მიესალმნენ 130-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. შეხვედრაზე ერთიმეორეს სცვლიდა ლექსი, სიმღერა, მუსიკა. მონაწილეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. კვირეულის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ საინტერესო მასალები მოგვანოდა მთავარმა ბიბლიოთეკარმა ე. ქამუშაძემ.

თბილისის მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. ნიკურაძე) ყოველთვის ხალხმრავლობაა მასობრივი ღონისძიებების დღეებში. ბიბლიოთეკას სისტემური

კავშირი აქვს შემოქმედებით მკითხველებთან, სტუდენტებთან, დიასახლისებთან. ბიბლიოთეკამ ჩაატარა ვიქტორინა – კონკურსი თემაზე „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“. კონ-



კურსი 3 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მასში გარდა ბიბლიოთეკარებისა, მონაწილეობდნენ ქ. თბილისის, მცხეთის, მუხრანის საჯარო სკოლები და კერძო სასწავლებლების მოსწავლეები. ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა შეხვედრები შემოქმედებით მკითხველებთან დამწყები პოეტები კითხულობენ ლექსებს, სრულდება მუსიკალური ნომრები. ამ მხრივ

აღსანიშნავია „ახალი ლიცეუმის“ მე-11 კლასის მოსწავლის დავით მალრაძის პოეზია. საინტერესო იყო 141-ე საჯარო სკოლის მოსწავლის თ. ტოტოჩავას, „ივერიის“ კერძო სკოლის მოსწავლეების ბ. და ს. რიჟამაძეების, 107-ე სკოლის მოსწავლის გ. ტვილდიანის, საბალეტო სკოლის აღსაზრდელის თ. კეკელიძის, №2 მუსიკალური კოლეჯის მოსწავლის თ. ქორქაძის, უნივერსიტეტის სტუდენტების თ. ზვიადაურისა და შ. აფციაურის შემოქმედების ნიმუშების მოსმენა. მკითხველი მოწონებით შეხვდა ახალგაზრდა პოეტების ა. ხარაიშვილის (151-ე საჯარო სკოლა) და ა. ისპარიანის (85-ე საჯარო სკოლა) პირველი პოეტური კრებულების გამოქვეყნებას, მოისმინეს ახალი, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები. კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკაში მოეწყო მკითხველთა ნახატების გამოფენა, რომელთაგან ყურადღებას იპყრობდა გ. ნიკურაძის ნამუშევრების გამოფენა.

23-30 აპრილს კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა ქ. ბათუმის მთავარ საქალაქო ბიბლიოთეკაში (დირექტორი გ. მახარაძე); კვირეული გაიხსნა 23 აპრილს, ნიგნის საერთაშორისო დღეს; ამავე დღეს გაიმართა პოეტ ფრ. ხალვაშის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს დავით თედორაძემ, ვახტანგ ლლონტმა, მამია ხარაზმა და გიორგი გაბაიძემ. თვითონ დ. ხალვაშმა რამდენჯერმე წაიკითხა ლექსები „გენაცვალე“ და „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“. პოეტის პატივსაცემად მუსიკალურმა ცენტრმა შეასრულა საგალობლები. ფრიდონ ხალვაშმა ხალისით აღნიშნა, რომ მიუხედავად მისი ასაკისა, ის ერთხელ კიდევ შეახსენებს თავს მთელ საქართველოს.

პოეზიის საღამო მიეძღვნა ვ. კოტეტიშვილის 75-ე წლისთავს თემაზე „ლექსო, არ დაიკარგები“. ასევე საიუბილეო საღამო გაიმართა ბიბლიოთეკის მთავარ კორპუსში მწერალ ოტია იოსელიანის 80 წლისთავთან დაკავშირებით. ეს საინტერესო ღონისძიება ჩატარდა საბავშვო და ახალგაზრდობის განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზებით. კვირეულის პროგრამით აქტიურობაში გამოირჩეოდა ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა ჯეკ ლონდონის შემოქმედებას, კვირეული და-



იხურა 30 აპრილს. დახურვაზე ბიბლიოთეკის მთავარ კორპუსში მოწვეულნი იყვნენ ამაგდარი ბიბლიოთეკარები, ბიბლიოთეკის ერთგული და აქტიური მკითხველები. მოეწყო კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება; ღონისძიება მიეძღვნა საქართველოში ბიბლიოთეკარის პროფესიულ დღესასწაულს.

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (დირექტორი მ. გვაზავა) ყოველთვის გამოირჩეოდა ღრმად შინაარსიანი და მაღალ პროფესიულ დონეზე ორგანიზებული ღონისძიებებით. მიმდინარე წელს კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები გაიმართა ყველა საქალაქო ბიბლიოთეკაში; ქალთა საერთაშორისო დღისადმი ერთობლივი ღონისძიება ჩატარეს მე-7 და მე-19 საქალაქო ბიბლიოთეკებმა (გამგეები მ. ნიჭიაშვილი და ქ. ჩახუნაშვილი); საღამოზე მოწვეულნი იყვნენ მრავალშვილიანი მკითხველი დედები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეები: ა. ბობოხიძე, რ. და გ. ფარვანიძეები, ქ. ლეშკაშელი, თ. სულაბერიძე, დ. პატარიძე და სხვები. ღონისძიებაზე 5 შვილის დედამ ნ. სვანიძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი „თეთრი მანდილი“. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შვილებმა: თ. გეგეშიძემ, მ. გუკასიანმა, მ. და ს. თაკალონიძეებმა და სხვებმა. ღონისძიებამ ერთხელ კიდევ ცხადყო სკოლის, ოჯახისა და ბიბლიოთეკის ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ნ. თათარაშვილი, კულტურისა და სპორტის გაერთიანების გენერალური დირექტორი გ. ქავთარაძე)



ბოლო 4–5 წლის განმავლობაში შესამჩნევად გააუმჯობესეს მკითხველებთან ურთიერთობა, ქსელში სისტემატურად იმართება საჩვენებელი მასობრივი ღონისძიებები, ასეთი ღონისძიებები წინასწარ არის დაგეგმილი, თემატიკა

შუქდება ადგილობრივ გაზეთში „სერაფიტა“ (გამოდის 2008 წლიდან); მიმდინარე წელს კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა მუხრანის, წილკანის, ახალუბნის, წეროვანის, მცხეთის საბავშვო, ძველი ქანდის, ციხისძირის, საგურამოს, ზაქაროს, არამენდის და სხვა ფილიალებში. წლის ყველაზე აქტიური მკითხველის გამოსავლენად სპეციალური ღონისძიება ჩატარდა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ყველაზე აქტიურ და თანმიმდევრულ მკითხველად აღიარეს ნიჩბისის ბიბლიოთეკის მკითხველი ბექა ხიზანიშვილი. საინტერესო



შერჩეული. მიმდინარე წლის 14 აპრილს აღინიშნა მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაარსებიდან 120 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ყველა ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიებები. მთავარი ღონისძიება გაიმართა მცხეთის კულტურის დარგისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ღონისძიებას ესწრებოდნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი თ. აბაშიძე, რაიონის კულტურისა და სპორტის სპეციალისტები, ადგილობრივი მუსიკალური და სპორტული ჯგუფები.



სალამოს უძღვებოდა მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის დაწესებულებათა გაერთიანების გენერალური დირექტორი გ. ქავთარაძე. რაიონის თითოეულ ბიბლიოთეკას მიკუთვნებული აქვს ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების სახელები, საბიბლიოთეკო ქსელში ჩატარებული ღონისძიებები და, საერთოდ, რაიონის კულტურული ცხოვრების აქტუალური საკითხები სისტემატურად

იყო სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები: ნ. თათარაშვილი, მ. ზარიძე, ნ. მაჩხანელი, ე. ჩიხლაძე, ნ. ოსიტაშვილი, ღონისძიება სიმღერებით გააღამაზეს წეროვანის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო განხილვა ნიგნისა „დიდი ქართველი მეფეები“. ნიგნის წარდგენაში მონაწილეობდნენ მცხეთის №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები. ამ ღონისძიების მასალები ჟურნალის რედაქციას გადმოსცა ბიბლიოთეკარმა ნ. ბერდელიძემ.



მიმდინარე წლის 9 მაისს ფართო მასშტაბით აღინიშნა ქ. ბორჯომის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაარსებიდან 100 წელი. საუკუნოვანი ბიბლიოთეკის მოღვაწეობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული ბორჯომელთა განათლებასა და ინფორმირების საკითხებთან. ამ ფაქტთან დაკავშირებით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეზიის საღამო. ღონისძიება დალოცა ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის




ჩატარდა სოფლის ბიბლიოთეკებში: მენჯში (ბიბლიოთეკარი ი. სიორდია), ეკიში (ბიბლიოთეკარი ნ. ელიავა), ლეძაძამეში (ბიბლიოთეკარი ი. ჯღარკავა), მეორე ნოსირში, ჭალადიდში (ბიბლიოთეკარი მ. გვარამია), ფოცხოში (ბიბლიოთეკარი ლ. დემურია). ღონისძიებები გაიმართა ყველა ფილიალში. კვირეული შეაჯამა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ც. ხორავამ. დახურვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, შესრულდა რამოდენიმე მუსიკალური ნომერი.


მიტროპოლიტმა მეუფე სერაფიმემ. საღამოზე მონველური იყო ბორჯომელი პოეტი თამარ ლომიძე. ეს იყო ნამდვილი პოეზიისა და მუსიკის საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ ნ. გრიგალაშვილი და ყოფილი გამგებელი ე. ასპანიძე, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ი. ღარიბაშვილი. ღონისძიებაზე მადლობის გრძნობით გაიხსენეს ამაგდარი ბიბლიოთეკარები თ. ფერაძე, ე. ჩაჩუა და სხვები, რომლებმაც თავიანთი პროფესიონალიზმით დიდი ამაგი დასდეს ბორჯომის საბიბლიოთეკო ქსელის ჩამოყალიბებასა და წიგნობრივი ფონდების შენარჩუნების საქმეს. ამჟამად საბიბლიოთეკო ქსელის უნარიანად ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკათმცოდნე ნ. ალხაზიშვილი. იუბილარ ბიბლიოთეკას სხვებთან ერთად მიულოცა შრომის ვეტერანმა და ბიბლიოთეკის თანამდგომმა გ. კურტანიძემ. იუბილარ ბიბლიოთეკას ლექსი მიუძღვნა პოეტმა ი. სარქისიანმა.



სენაკის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ხელმძღვანელი უფროსი სპეციალისტი ც. ხორავა) ყოველთვის პროფესიულ დონეზე, მკითხველთა აქტიური მხარდაჭერით ტარდება ღონისძიებები. მიმდინარე წელს კვირეული გაიხსნა მთავარ ბიბლიოთეკაში, სადაც მონყობილი იყო გამოფენა „დავე-უფლოთ ბიზნესის ხელოვნებას“. აქვე მოეწყო რ. კიოსაკის და რ. ლუჩტერის წიგნის „გადავდგეთ სამსახურიდან, ახალგაზრდები და მდიდრების“ წარდგენა. წიგნის განხილვისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს იურისტებმა, ეკონომისტებმა. კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიება

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ნ. შანავა, კულტურის სამსახურის უფროსი გ. ღვინჯილია) ამჟამად ფუნქციონირებს 20 ბიბლიოთეკა, ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა ცენტრალური ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კვირეულის დღეებში შინაარსიანი ღონისძიებები გაიმართა ჯგალის, ენერის, ჯვარის და სხვა ფილიალებში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა მრავალშვილიან დედეებთან და ახალდაქორწინებულებთან. მკითხველებმა დიდი ინტერესით განიხილეს წიგნი „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ – ავტორები: ვ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვ. ვახანია. ტ. გრანელის პოეზიის





მოყვარულებმა ერთხელ კიდევ გაიხსენეს თანამემამულე პოეტი, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ტ. გრანელის პოეზიისადმი მიძღვნილი საღამო.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა (დირექტორი მ. გვარამია) ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა



როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. დღეისათვის ზუგდიდის მთავარი ბიბლიოთეკა წარმოგვიდგება როგორც რეგიონის საინფორმაციო, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი. ბიბლიოთეკაში ინტენსიურად მიმდინარეობს ელექტრონული პროცესები. იქმნება ელექტრონული კატალოგი, უსინათლოთათვის მოქმედებს ქართული ტექსტების გამახმოვანებელი პროგრამა. ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობით სისტემატურად ტარდება მასობრივი ღონისძიებები: შეხვედრები, ახალი გამოცემული წიგნების წარდგენა, გამოფენები, კონფერენციები და ა. შ. სტუდენტთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მიზნით, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეიქმნა „სტუდენტური კუთხე“, შეივსო ახალი ლიტერატურით, ჩართულია ინტერნეტი. სტუდენტურმა კუთხემ უკვე მოიპოვა პოპულარობა ახ-

ალგაზრდა მკითხველთა შორის. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ტრადიციად იქცა სპეციალური პროგრამა „ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვა“. მკითხველთა ნახალისების მიზნით ტარდება სპეციალური კონკურსები წლის საუკეთესო მკითხველის გამოსავლენად. ასეთივე კონკურსები გაიმართა საუკეთესო და წარჩინებული ბიბლიოთეკარის ნახალისების მიზნით. ზუგდიდის საბიბლიოთეკო ქსელში ჩატარებული კვირეულისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ საინტერესო მასალები მოგვანოდეს დირექტორის მოადგილემ ლ. როგავამ და ავტომატიზაციის კაბინეტის ხელმძღვანელმა ი. კვირკვიამ.

საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ი. ღარიბაშვილი) 28–29 მაისს მოენყო ღია კარის დღე დევიზით „ბიბლიოთეკა – ჩემი მსოფლიო ულიმიტო ვიზა“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები, მკითხველები. ღონისძიების პროგრამით შედგა ბიბლიოთეკის საიტის პრეზენტაცია, მოენყო ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, გაიმართა ფოტოკონკურსი თემაზე „მე და წიგნი“. ღონისძიების მიზანს შეადგენდა ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია, მისი შესაძლებლობების წარმოჩენა. 29 ივნისს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ი. ღარიბაშვილმა სერტიფიკატები გადასცა თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის 62 სპეციალისტს, რომელმაც აქ გაიარა ორკვირიანი კურსები. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები: თსუ რექტორი გ. ხუბუა; საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი დ. შაშკინი. აღინიშნა, რომ ბიბლიოთეკარმა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ფუნქციონირებს 2007 წლიდან. ამ ხნის მანძილზე კვალიფიკაცია აიმაღლა სოფლის ბიბლიოთეკა-ფილიალებისა და საჯარო სკოლების ბიბლიოთეკარების, მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორებმა. დ. შაშკინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სამინისტროს დაგეგმილი აქვს სკოლის ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, ბიბლიოთეკართა პროფესიული დონის ამაღლება, ამ ტიპის ბიბლიოთეკებმა აქტიური როლი უნდა შეასრულონ მოსწავლეთა ინფორმირებისა და წიგნიერების დონის ამაღლებაში.

კვირეულის დღეებში საინტერესო ღონისძიებები იმართება საქართველოს საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში. თბილისის საჯარო სკოლებიდან ამ მხრივ ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ 51-ე, 182-ე, 55-ე, 161-ე, №1,



სკოლის დირექტორმა მ. გაჩეჩილაძემ, ბიბლიოთეკარმა ე. აბულაშვილმა, რუსთავის მე-9 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგემ მ. ოქრომჭედლიძემ და სხვებმა. კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები გაიმართა რუსთავის მე-9, 25-ე, მე-5, მე-11, 76-ე და სხვ. საჯარო სკოლებში, სადაც ერთხელ კიდევ დადასტურდა წიგნის ადგილი და მნიშვნელობა საჯარო სკოლების ცხოვრებაში, მოსწავლეთა ინტელექტუალურ და შემეცნებით საქმიანობაში.

თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში (დი-მე-11, 72-ე და სხვა საჯარო სკოლები, სადაც მოსწავლეთა ინიციატივით ეწყობა შეხვედრები, იმართება ლექცია-საუბრები, ეწყობა, წიგნების წარდგენები და ა. შ.

რუსთავის მე-18 საჯარო სკოლაში (დირექტორი მ. გაჩეჩილაძე, ბიბლიოთეკარი ე. აბულაშვილი) გაიმართა ლიტერატურულ-შემეცნებითი კონფერენცია წიგნის ისტორიისა და მისი დანიშნულების შესახებ. კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს იშვიათი ხელნაწერი წიგნები საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კონფე-




რექტორი ნ. ნატროშვილი, ბიბლიოთეკარი ფ. გაჯიევა) სასწავლო წლის მანძილზე ჩატარდა საინტერესო ღონისძიებები წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულების შესახებ. პირველკლასელთათვის მოეწყო ზღაპრების კითხვა, რუსული ჯგუფებისათვის მოეწყო თეატრალური ფესტივალი, ჩატარდა თავისუფალი თემების კონკურსი თემაზე „ომი არ გვინდა“, „კონფლიქტები ოჯახში და მათი დაძლევის გზები“, მოეწყო ფოტოგამოფენა თემაზე „ჩემი დედაქალაქი თბილისია“ და სხვ. ბიბლიოთეკა სისტემატურად ივსება ახალი გამოცემებით, ეწყობა განხილვები, გამოფენები, შეხვედრები.

რენციაზე ნ. ბარათაშვილის ლექსები წაიკითხეს ქ. გორდეზიანმა, რ. მიქაძემ, თ. პაპიძემ. საკუთარი ლექსები წაიკითხა ს. შველიძემ, სიმღერები შეასრულეს თ. ნადირაძემ, ქ. ბერაიამ, რ. შველიძემ და სხვებმა. წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს მკითხველებმა, პედაგოგებმა,

მიმოხილვა შეადგინა

გურამ თაყნიაშვილმა

კორმესკონდენციები



გულნარა სტურუა

დიდი შრომა და ორმოცი სიხარული



„საქართველოს ბიბლიოთეკა,“ ჩვენი შვილივით გამოზრდილი ჟურნალი უკვე ათი წლისაა. ვფურცლავ ჟურნალის პირველ ნომერს, ყურადღებით დავყურებ თითოეულ გვერდს, იქ განთავსებულ თითოეულ სურათს და... რა უცებ გასულა ეს ათი წელი, მაგრამ ამავე დროს რამდენი რამ წაუღია და რამდენი რამ მოუტანია... წაუღია ჩვენი შემართული სიჭარმაგის წლები, ზოგის ახალგაზრდობა, წაუღია ამა თუ იმ პიროვნებათა თანამდებობები და, სამწუხაროდ, ავტორიტეტიც... ჩვენთან ხომ თანამდებობებს მიაქვთ და მოაქვთ ავტორიტეტი და არა პიროვნებებს... ასეა თუ ისე, ათი წლის ჟურნალი, საღსალამათი და ფეხზე კარგად მდგომი მოვიდა აქამდე., ჩაგვინერგა დიდი იმედი მომავლისა, ახლა უკვე ნამდვილად გვჯერა, რომ მას მოემატება წლები, კიდევ უფრო გაიზრდება, ამალდება და დამშვენდება. ათმა წელმა მოგვიტანა ეს იმედი, თორემ თავიდანვე ასე როდი ვფიქრობდით. ჩვენს პესიმისტურ განწყობილებას საფუძველიც ჰქონდა. ათეული წლების მანძილზე არ იქნა და ვერ მოგვარდა საქართველოს საბიბლიოთეკო დარგის თუნდაც ერთი საინფორმაციო წყაროს შექმნა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა ფართო საზოგადოებისათვის ნაწილობრივ მაინც მოეთხროთ ის ავი და კარგი, ის ჯაფა და შრომა, ის ჭირი თუ ლხინი, რაც ბიბლიოთეკების ცხოვრებას თან სდევს ხოლმე. საბიბლიოთეკო საქმე ცოდნის, განათლებისა და კულტურის ერთ-ერთი და საკმაოდ ძლიერი დარგი ამ ნხრივ უგულებელყოფილი იყო, არა და ამ საქმეს ჩვენში განვითარების საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ყურადსაღები დარგია, მეცნიერებაა, არა ისეთი უმნიშვნელო და არაფრის მომტანი, როგორც, სამწუხაროდ, დღესაც ჰგონიათ ვიღაც-ვიღაცეებს...

ჟურნალის გამოცემის მცდელობა ადრეც იყო, როგორ არა... ეს იყო გასულ წლებში. გამოიცა კიდევ საბიბლიოთეკო ჟურნალი, მაგრამ ჩვენი წინამორბედი სიცოცხლისუნარიანი

არ აღმოჩნდა. მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა და მერე შეწყდა გამოცემა. დღევანდელი ჟურნალის „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარ რედაქტორს, ჩვენს სასიკადაულო ბიბლიოთეკათმცოდნეს, პროფესორ ალექსანდრე ლორიას სულ იმ ორი ციფრის შიში ჰქონდა, ვაითუ, ვერც ჩვენმა ჟურნალმა გადააცილოს ამ რიცხვსო, მაგრამ არა! მთ. რედაქტორისა და მისი მოადგილის, ჟურნალის პასუხისმგებელი მდივნის გურამ თაყნიაშვილის მუხლჩაუხრელი შრომით ჟურნალი ცოცხლობს, იგი ჯანმრთელია, ჰყავს მკითხველთა დიდი რაოდენობა და ავტორთა მრავალრიცხოვანი და მრავალდარგოვანი კოლექტივი. რაც ჟურნლის ავკარგიანობაზე მიუთითებს. ჟურნალმა იმთავითვე მოღვაწეობა დაიწყო მრავალფეროვანი თემატიკით. აუცილებლობად მიიჩნია ბიბლიოთეკების შესახებ გამოცემული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისთვის დაეთმო ერთი მონიხვე რუბრიკა., რასაც მოყვებოდა ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკების შესახებ ავტორების მიერ მონოდებული ინფორმაციული სახის სტატიები. ჟურნალმა საუბარი დაიწყო საბიბლიოთეკო კადრებზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მკითხველს შესთავაზა ინფორმაცია საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებზე, მიაწოდა მასალები ისტორიის ფურცლებიდან, ადგილი დაუთმო პროფესიონალთა და მკითხველთა პოლემიკას. ბიბლიოთეკის მუშაკებს მიაწოდა მუშაობაში ხელის შემწყობი, დამხმარე მასალები. საშუალება მისცა მკითხველს გაეცნო კინოსა და მუსიკის შესახებ ინფორმაციები... ფართოდ გაუხსნა გზა თავად მკითხველს, კორესპოდენციების სახით ჟურნალში განეთავსებინა საკუთარი შეხედულებები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ბიბლიოთეკების მუშაობაზე, ნიგნზე. ჟურნალმა შეძლო საბიბლიოთეკო ცხოვრების ფართოდ გაშუქება, ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა და კვირეულების აღწერა და საუბარი მათში მონაწილე

ახალგაზრდებისა და, საერთოდ, ბიბლიოთეკების მოყვარული საზოგადოების შესახებ. შესძლო მეცნიერების მოზიდვაც, რომლებიც ხშირად აწოდებენ რედაქციას თავიანთ კვლევით ნაშრომებს... ჟურნალს არ ავიწყდება თავისი პროფილის მომიჯნავე დარგებში წლის მიმდინარე მიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება და მკითხველი საზოგადოებისათვის საინტერესოდ მიწოდება... საყურადღებოა ისიც, რომ ჟურნალის შემოქმედებაში მონაწილეობას ღებულობენ თავად მკითხველები და საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლები; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობიდან დაწყებული – მკვლევარ მეცნიერების, პროფესორებისა და საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანების ჩათვლით.

არ შეიძლება იმ პირებზეც არ ვისაუბრო, რომლებიც მხარში ამოგვიდგნენ და შეგვაძლებინეს ხელი მოგვეკიდებინა ამ საპასუხისმგებლო საქმისთვის. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მოვიხსენიო ეროვნული ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორი ბატონი ლევან ბერძენიშვილი, რომელმაც არა მარტო თავისი გულწრფელი თანადგომით გამოიწვია ჩვენი დიდი სიმპათია, არამედ მოგვხიბლა თავისი ცოდნით, განათლებით და ჩვენი საქმისადმი პროფესიოლი მიდგომით. იგი მატერიალურადაც ეხმარებოდა ჟურნალის რედაქციას და ყურადღებით ადევნებდა თვალს რედაქციის მუშაობას.

უნდა ითქვას, რომ ჟურნალის არსებობა საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთა ქველმოქმედებამაც განაპირობა. მათ შორის გამოვყოფდი ქალბატონ ციალა კალმახელიძეს, ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორს, რომლის გულისხმიერებამაც ბევრჯერ გადაარჩინა ნომერი ჩავარდნისაგან, ასევე ეხმარება და მხარში უდგას ჟურნალს ძველთა დაცვისა და კულტურის სამინისტრო... საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ამდავარად, დღეს ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ ფეხზე დგას და მისი ერთუზიასტი მესვეურები, თავის თანამდგომებთან ერთად, სიხარულით ხვდებიან ჟურნალის ათი წლის იუბილეს. ყველას, ვისაც უყვარს ბიბლიოთეკა, ვისაც ესმის მისი როლი საზოგადოების განვითარების ისტორიაში (მადლობა ღმერთს, რომ ძალიან ბევრს ესმის!) ვისაც სურს რომ განუწყვეტილად იტრიალოს ცოდნის, განათლებისა და ინფორმაციის ფრიად მნიშვნელოვან და საინტერესო მორევში (ასე რომ ვთქვათ!), ვულოცავ ჟურნალის დაბადების ათი წლის თარიღს. მთავარ რედაქტორს და ჟურნალის სხვა თანამშრომლებს, რომლებმაც ათწლიანი რთული გზის დაძლევის შემდეგ სიამაყით უჭირავთ ხელში ორმოცი ნომერი მრავალთემიანი, შინაარსობრივად მართლაც რომ საინტერესო ჟურნალისა, ვუსურვებ წარმატებებს, შრომის შედეგად მიღებულ სულიერად ამამალებელ გამარჯვების სიხარულს!

ნესტან კეკელია

140-ე სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

მზია ბურღული

ამავე სკოლის პედაგოგი

„მზა ჩასვლის შემდეგას რჩება მნათობად“

27 მაისს ქ. თბილისის 140-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 173-ე, ხოლო გარდაცვალებიდან 103-ე წლისთავს მიეძღვნა.

სკოლის ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა, ილიას მადლიერმა შთამომავლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს დიდი წინამორბედის შემოქმედება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ VII, VIII, IX და XI კლასის მოსწავლეები. მათ წარმოადგინეს

ლიტერატურული მონტაჟი და საინტერესო სცენები ილიას უკვდავი ნაწარმოებებიდან.

ღონისძიება მოამზადეს ბიბლიოთეკის გამგემ ნესტან კეკელიამ და მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელმა იზოლდა ლაბარტყავამ. მოსწავლეები შთამბეჭდავად წარდგნენ აუდიტორიის წინაშე. უდიდესი სიყვარული და პატივი მიაგეს ადამიანს, რომელმაც იტვირთა ჯვარი სრულიად საქართველოსი და შეუდგა გოლგოთის აღ-



მართს. სარწმუნოებისა და მამულის სიყვარულს ქადაგებდა და გვასწავლიდა, რომ გაფრთხილება გვმართებს რწმენისა, მამულისა და ენისა.

ილიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა გოეთეს სიტყვების მარადიული ჭეშმარიტება: „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“. მისი სული კიაფობს იმ სათაყვანებელ თანავარსკვლავედში, გზას რომ უნათებს მრავალტანჯულ, მაგრამ სულიერად გაუტყეხელ, ყოველგვარი ბოროტების წინაშე ქედუხრელ ქართველ ერს.

იმ დღის წარმატებულ ღონისძიებაში ლომის წილი დაწყებითი კლასების მასწავლებელს, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ ქალბატონ იზოლდა ლაბარტყავას მიუძღვის.

ქალბატონი იზოლდა სკოლაში მუშაობის 48 წელს ითვლის. თაობები გამოუზრდია და ყოველი მოსწავლისათვის იმდენი სიტბო და სიკეთე გაუტანებია, მთელი წლები რომ გაჰყოლიათ...

იზოლდა ლაბარტყავა, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი კატეგორია, დღესაც შესაშური ენთუზიაზმითა და შემართებით უძღვება თავის საქმეს. არის უამრავი სიგელისა და დიპლომის მფლობელი, სახალხო განათლების წარჩინებული, შრომის ვეტერანი. იგი თავისი აღსაზრდელებით თითქმის ყოველ წელს მონაწილეობდა ინსცენირებულ ზღაპრების კონკურსში და ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა. მის მიერ დადგმული სპექტაკლები: „პინოქიო“, „ჭინჭრაქა“, „ყვავილების მეფლისი“, „ზღაპრების პოპური“ და სხვა ტელევიზიითაც უჩვენებიათ. ყველაზე დიდი ჯილდო და დაფასება ქალბატონ იზოლდასათვის ის სიყვარულია, რასაც მისი მოსწავლეები, ნამონაფარნი, მშობლები თუ კოლეგები ამჟავებენ.

პედაგოგის შრომისა და წარმატების შედეგი იმაშია, რომ შეძლოს მოსწავლეს ობიექტურად შეაფასებინაოს თავისი შესაძლებლობანი, მოაძ-

ებნინოს შესაფერისი ადგილი გარემომცველ პირობებში, აღმოაჩინოს თავისი ნიჭი და უნარი, საკუთარ თავში ჩაახედოს და შეიცნოს თავისი ღირსება, განსაზღვროს, როგორ შეუძლია ემსახუროს ხალხს, ისწავლოს აზროვნება, მეტყველება, უფროსებთან ურთიერთთანამშრომლობა. სწორედ ამ ამოცანების ხელშეწყობას ემსახურებოდა ეს ღონისძიება.

სწორედ იზოლდა მასწავლებლის დამსახურება გახლავთ ის, რომ მოსწავლეებმა შემოქმედებითი ნიჭი მაქსიმალურად გამოავლინეს და შედეგმაც არ დააყოვნა. დარბაზში სიხარული და სიყვარული ზეიმობდა. სცენაზე კი შემოქმედი გოგო-ბიჭები ყელყელაობდნენ და თავიანთი ხალასი გამოსვლებით აუდიტორიას ამ გამორჩეულ დღეს ულამაზებდნენ. ერთმანეთს ცვლიდნენ მოსწავლეები – ღონისძიების წამყვანები: ლიკა ლომიძე და თათია ჩხაიძე. ილიას ლექსების თუ პროზიდან ამონარიდების მხატვრულ კითხვით გამოირჩეოდნენ: ვიტალი დევსურაშვილი, ვიკა ბაღდაძე, თეა ახალაია, მარი დევსურაშვილი, გიორგი ძიძიგური, სალომე შათირიშვილი, ბერდია მარსაგიშვილი. ინსცენირებულ პოემაში – „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მონაწილეობდნენ: გაბრიელ კაკუშაძე (მხედარი), გურამ ჯიქურაძე (კაკო), ანრი ალავიძე (მამა), ვიტალი დევსურაშვილი (ბატონი); ლექსში „ნანა“ – ქართველი დედები წარმოაჩინეს – ლელა ქაიხ-



ოსროშვილმა, მარიამ გოგშელიძემ და ანა ბადალოვამ; პოემაში „ქართლის დედა“ – დედისა და შვილის როლები შთამბეჭდავად განასახიერეს დებმა ანი და მარი დაბრუნდაშვილებმა.

თითოეული მათგანის გამოსვლამ აღტაცება გამოიწვია მაყურებელში. ღონისძიების მთელ მსვლელობას აღამაზებდა გემოვნებით შერჩეული მუსიკალური ფონი, მოსწავლეთა დახვეწილი მანერები, მშვენიერი, უშეცდომო მეტყველება.

შთამბეჭდავი იყო ღონისძიების ფინალიც – ილიას ცხოვრების ტრაგიკული დასასრული...

ლონისძიებას მოსწავლეების გარდა ესწრებოდნენ მშობლები, პედაგოგები, დირექციის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები, ასოციაცია „მშვიდობა და განათლება“ (თავმჯდომარე – ბელა კოპალიანი), საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი, ბიბლიოთეკათმცოდნე გულნარა სტურუა, რომელმაც შეაფასა რა მოსწავლეთა შემოქმედება, მადლობა გადაუხადა სკოლის დირექციას. საზღვარსაღიშნა ბიბლიოთეკის როლი და დამსახურება მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებაში, კულტურის საკითხებით დაინტერესებაში. ეს მშვენიერი მონტაჟი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოსწავლე, პედაგოგი




ო. ლაბარტიყავა

და ბიბლიოთეკარი ერთად იღვწოდნენ ცოდნის, განათლებისა და კულტურის სფეროში.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამთა ნაკაშიძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და ლონისძიების სულის ჩამდგმელებს, მათ შორის დირექციის წარმომადგენლებს – ქალბატონებს – ნანა ხუციშვილსა და ლეილა სართიშვილს.

ყოველი ასეთი ლონისძიება მნიშვნელოვანი მოვლენაა სკოლისთვის, რადგანაც სკოლა ამ პროცესში შემოქმედებითი სულით სუნთქავს, არის მზადება, ნერვიულობა, სიხარული და, რაც მთავარია, პედაგოგებისა და მოსწავლეების ერთი მიზნისაკენ სწრაფვა, მთელი სკოლა ერთი გულისცემით ცხოვრობს.

მოგონება



ოთარ ოსაძე

ახლანდელი გადასახედიდან

(მოგონებები)

პედაგოგიურ ინსტიტუტში



შეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკიდან, სადაც ბოლოს დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი, ბატონ ნიკო ლორთქიფანიძის მიწვევით, 1959 სასწავლო წლიდან სამუშაოდ მთლიანად პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავედი, სადაც ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის მასწავლებლის შტატზე გამაფორმეს. მაშინ ინსტიტუტში, გარდა დღის სექტორისა, სხვადასხვა სპეციალიზაციით არსებობდა დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფაკულტეტები; ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალიზაციით საკმაოდ დიდი რაოდენობის სტუდენტებს იღებდნენ. დაუსწრებელ სექტორზე მათი რიცხვი ასზე მეტიც იყო, ხოლო საღამოზე ორ ჯგუფად 50-ს ლეზულობდნენ. „საბიბლიოთეკო ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციის“ კურსს (მაშინ ეს სააგანი ერთად იკითხებოდა) დღის სექტორზე ბატონი ნიკო ასწავლიდა, დაუსწრებელ და საღამოს ფაკულტეტებზე კი ამ საგნის წაყვანა მე და ლევან კვირიკაშვილს მოგვანდო.

სულ რამდენიმე დღის გადასული ვიყავი ინსტიტუტში, რომ ერთი თვით მოწვეული იყვნენ

დაუსწრებელი ფაკულტეტის ახალჩარიცხული პირველი კურსის სტუდენტები. ბატონმა ნიკომ მათთან ლექციების ჩატარება მე დამავალა, თან გამაფრთხილა, დავესწრებით და, აბა, შენ იცი, თუ როგორ წარმართავ პირველ ლექციასო. მეც საგანგებოდ



ვემზადებოდი ამ გამოცდისათვის, თუმცა ამ მხრივ უკვე საკმაოდ გამოცდილება გამაჩნდა როგორც აქ დროებით მოწვევისას, ისე საბიბლიოთეკო სასწავლებელში ამავ საგნის სწავლებისას. ლელვამ იმატა, როცა აუდიტორიაში შევედი და მსმენელობით სავსე დარბაზს გადავხედე, დავინახე, რომ უფრო მეტად ხანდაზმული ქალბატონები ისხდნენ მერხებზე (მაშინ დაუსწრებელ სექტორზე მხოლოდ ბიბლიოთეკებში მომუშავე პირებს ლეზულობდნენ). აუდიტორიაში ჩემთან

* გაგრძელება. იხ. 2010, №1, №2

ერთად შემოსულმა სტუმრებმა რატომღაც ბოლო ადგილებში მოინდომეს დასხდომა. ის-ის იყო კათედრაზე შევდექი და გადავწყვიტე პირველ-კურსელებისათვის სტუდენტობა მიმელოცა; იქვე კათედრის წინ, პირველ მერხზე ერთი ძალზე ახლობელი ოჯახის წევრი ქალბატონი შევნიშნე, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და ისე ხმა-მალლა, რომ სხვებსაც გაეგონათ, შემომძახა: – ოთარ გამარჯობა, როგორ ხარო? – მე შეუმჩნეველად თავი დავეუქნიე, თანაც იმაზე ფიქრობ, როგორ დავინყო საუბარი, რადგანაც ასეთ დროს თქმულ პირველ სიტყვას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ვინ გაცალა? იმ ქალბატონმა კვლავ ჩემთან გასაუბრება მოინდომა და მეკითხება, ცოლ-შვილი როგორა გყავსო. არ ვიცი ამ აბეზარს რა ვუყო, როგორ მოვექცე, და ისღა დამრჩენოდა, კვლავ თავი დამექნია. მაგრამ, ჯერ კიდევ სადა ხარ – ხმამაღლა შემომძახა: – ვახ, შე ძველო, რას მოესწარი, ლექციებს გვიკითხავო! მისი ნათქვამი ირგვლივ მსხდომმა სტუდენტებმა

აქ მათთან ურთიერთობის რამდენიმე მომენტი გვინდა გავიხსენოთ.

ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა გამომიცხადეს, რომ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენება უნდა მოამზადო და ნაიკითხოო. ხელმძღვანელად ბატონი გიორგი ბაქრაძე დამინიშნეს. არ შეიძლება მოკლედ არ გიამბოთ ამ დიდებული მასწავლებლის შესახებ. იგი უნივერსალურად განათლებული, მეტად პრინციპული, სამართლის მოყვარე, შეუვალი და თავისებურად ორიგინალური პიროვნება იყო. მას თავისი პრინციპები ჰქონდა პირად ცხოვრებაში, ბიბლიოგრაფიულ მოღვაწეობაში, რასაც ათეული წლები შეაღია. იგი ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ ბიბლიოგრაფია უნდა იყოს ამომწურავი, მაქსიმალურად სრული და უნდა კეთდებოდეს უშუალო ხილვით („დევიზუ“), პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით და არა მეორადი დოკუმენტების გამოყენებით. ბატონი გიორგი განსაკუთრებით



1968 წ.

ვერ იტანდა „სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიას“, იტყოდა ხოლმე, ეს კომუნისტების მოგონილიაო, რას მიქვია სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია? ბიბლიოგრაფია სრული და ამომწურავი უნდა იყოს და საჭირო მასალებს მკითხველი თვითონ რეკომენდაციის გარეშეც კარგად შეარჩევსო. ახლაც მიკვირს, როგორ პატიობდნენ ბატონ გიორგის ასეთ გაბედულობას. ერთხელ, როცა მეთოდკაბინეტში ვმუშაობდი, ბატონი გიორგი წიგნის პალატის დერეფანში შემხვდა (იგი აქაურობის ხშირი სტუმარი იყო), გამესაუბრა და მკითხა, რას საქმიანობო – ვუთხარი, რომ ბიბლიოთეკა – ავტომობილის გამ-

კი გაიგონეს და გაიცინეს, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ჩემმა „კონტროლიორებმა“ – ბატონმა ნიკოლორთქიფანიძემ და ფაკულტეტის დეკანმა მიხეილ ჩინჩალაძემ მისი ნათქვამი ვერ გაიგონეს. მე ისღა დამრჩა, კათედრას გავცლოდი, დაფასთან დავმდგარიყავი და ჩაფიქრებული გეგმის მიხედვით იქიდან დამენყო საუბარი. კიდევ კარგი, რომ ლექცია ნორმალურად ჩატარდა. შეკითხვებსაც გავეცი პასუხი და ზარიც დარეკა. ბატონმა ნიკომ და მიხეილ ჩინჩალაძემ სტუდენტების თანდასწრებით ხელი ჩამომართვეს და შტატიან ლექტორად ჩემი „კურთხევა“ მომილოცეს. დავრწმუნდი, რომ ბატონმა ნიკომ სრული ნდობა გამომიცხადა.

შემდგომში ბატონ ნიკოს გარდა, კათედრაზე ჩემ ყოფილ მასწავლებლებთან გვერდით, როგორც კოლეგებთან, გიორგი გიორგიძესა და გიორგი ბაქრაძესთან ერთად მომიხდა მუშაობა.

გე ვარ-მეთქი და თანაც ნავიტრებაზე, გიორგი წერეთლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დირექტორის დავალებით სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია შევადგინე, რომელიც უნდა დაიბეჭოს-მეთქი. მაჩვენე, ერთი, ეგ შენი ბიბლიოგრაფიაო. მეც დიდი სიამაყით გამოვუტანე და ვაჩვენე რამდენიმე გვერდზე ჩამონერილი მწერლის ნაწარმოებების და მის შესახებ არსებული ლიტერატურის სია, რაც ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან იყო ამოკრეფილი. ბატონმა გიორგიმ გადახედა რა ამ „სიას“, და რომ მეგონა შემაქებდა და მეტყოდა, ეს რა კარგი საქმე გაგიკეთებიაო, პირდაპირ გამქირდა: შორს ნასვლა არ დაგჭირება, აგერ მტკვარია და ბარემ წყალი წყალს გაატანეო. ცხადია, მაშინ ნაწყენი დავრჩი, მაგრამ შემდეგ, როცა ბიბლიოგრაფიის არსსა და მეტად შრომატევად საქმიანობაში ღრმად ჩავიხე-

დე, განსაკუთრებით კი ახლა, როცა დღევანდელი გადასახედიდან გავყურებ, ისეთი საშვილიშვილო საქმის გამკეთებელს, როგორც „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ და სხვა მრავალი ფუნდამენტური ბიბლიოგრაფიაა, ბუნებრივია, ჩემი „ნაცოდვილარი“ სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია არ მოეწონებოდა, და არც კი დამიბეჭდავს ის.

ეს შემდეგ იყო, როცა თავისი ნასტუდენტარი „ბიბლიოგრაფს“ ბატონმა გიორგმ „ნაშრომი“ დაუნუნა და წყალს გაატანა, მანამდე კი სტუდენტობის დროს, როგორც გითხარით, მეცნიერ-ხელმძღვანელად გამომიყვეს, რათა სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვსულიყავი. მანვე შემირჩია მოხსენების თემა: „პირველი ქართული სტამბები“ და მიმითითა ლიტერატურა, რომლსაც უნდა გავცნობოდი, განსაკუთრებით კი კორნელი კეკელიძის შრომას „ნიკიფორე ირბაქი, რომში ქართული წიგნის ბეჭდვის ინიციატორი“. მაშინ მე რა ვიცოდი, რომ თურმე ჩემი, ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეორე კურსის სტუდენტის სახით, ბატონ გიორგის სურს შეედავოს საყოველთაოდ აღიარებულ დიდ მეცნიერს, რომ ნიკიფორე ირბაქი კი არ იყო რომში ქართული წიგნების ბეჭდვის ინიციატორი, არამედ რომის კათოლიკური ეკლესია და მისი „პროპაგანდა ფიდე“, რომლის მიზანი იყო მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოში, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება, ხოლო ნიკიფორე ირბაქი მათ გამოიყენეს როგორც ქართული ენის მცოდნე. საერთოდ, რომში დაბეჭდილი წიგნები გამიზნული იყო საქართველოში წამომსვლელი კათოლიკე-მისიონერების დასახმარებლად, რათა მათ მეტი გავლენა მოეხდინათ ქართველ მრევლზე, ამიტომაც ბატონ გიორგის მითითებით ეს გარემოება ჩემ შრომაში იქნა ასახული. როცა მოხსენების თეზისები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარვადგინე, სადაც კონფერენცია უნდა ჩატარებულყო, გადახედეს რა თეზისებს, მოითხოვეს სადავო საკითხი, რომელიც კორნელ კეკელიძის მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა, ამომელო თეზისებიდან და შესაბამისად მოხსენებიდანაც. ბატონი გიორგი თავისი რწმენის მკაცრი დამცველი აღმოჩნდა და მან უარი განაცხადა ჩემს ხელმძღვანელობაზე. ეს მოვალეობა ბატონმა გიორგი გიორგიძემ იკისრა, რომელიც მაშინ დეკანის მოვალეობას ასრულებდა და არ უნდოდა, ამ პირველ კონფერენციაზე ჩემი მოხსენება ჩავარდნილიყო. მეორე დღესვე მან სამუშაოდ მეცნიერებათა აკადემიაში დამიბარა, სადაც მაშინ პრეზიდენტთან არსებული ბიბლიოთეკის გამგედ შეთავსებით მუშაობდა და მოხსენება ისე გადავაკეთეთ, რომ არც მწვადი დაგვეწვა და არც

შამფური. ბოლოს, როგორც ზღაპარშია ხოლმე, ყველაფერი კარგად დამთავრდა: თეზისებიც დაიბეჭდა*. სამეცნიერო კონფერენცია უნივერსიტეტის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა,



გ. გიორგიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ა. ლორია, ო. კასიძე

მოხსენება წარმატებით წავიკითხე და სამახსოვრო საჩუქრად კომისიის წევრების ხელმოწერებით ახლაგამოსული „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო“ მივიღე.

ბატონი გიორგი გიორგიძე უაღრესად კეთილშობილი, დიდად განათლებული, ნაღდი თბილისელი ინტელიგენტი იყო. მისგან ბევრი რამ შეიძლება გესწავლა, განსაკუთრებით წიგნის, სიცოცხლის დაფასება და სიყვარული. იგი ინსტიტუტიდან სახლში მუდამ ფეხით მიდიოდა (ვერაზე ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე ცხოვრობდა). გზად აუცილებლად წიგნის მალაზიაში შეივლიდა და მისთვის საგანგებოდ გადადებულ წიგნს შეიძენდა. აქვე უნდა გითხრა, რომ იოსებ გრიშაშვილის შემდეგ, არა მგონია, ვინმეს ქართული წიგნის ისეთი იშვიათი კოლექცია ჰქონოდა, როგორც ბატონ გიორგის.

ბატონ გიორგის ქალბატონებთან ურთიერთობას განსაკუთრებული, დახვეწილი მანერები ჰქონდა. საპროფესოროში შესული, იქ მყოფ ქალბატონებს მიესალმებოდა რა, ყველას რაღაც სასიამოვნო კომპლიმენტს ეტყოდა, ზოგს წიგნს ან რაიმე მცირე სამახსოვრო საჩუქარს მიართმევდა, სადღესასწაულო დღეებში სუნამოს და შოკოლადებს ჩამოურიგებდა. ასეთი ყურადღების სანაცვლოდ იგი ქალბატონების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. ჩემდა უნებურად, ხშირად მომისმენია ქალებისათვის დამახასიათებელი ჩუმი საუბარი ბატონ გიორგის შესახებ, როგორც დახვეწილი ინტელიგენტსა და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დღესაც კი შეუდარებელ „კავალერზე“.

ოთხმოც წელს მიტანებული ბატონი გიორგი, როგორც სიცოცხლის მოტრფიალე და ცხოვრე-

ბაზე შეყვარებული კაცი, ცდილობდა კათედრის ახალგაზრდა წევრებს (დემონ კალანდაძე, ალექსანდრე ლორია, მიშა საჯაია, ლევან კვირიკაშვილი და მე) არაფერში ჩამორჩენოდა და ჩვენთან ერთად მიეღო აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა საქმიანობაში. როცა გაიგებდა, რომ სადღაც უიმისოდ პური გავტეხეთ ან წვეულებაზე წავედით, მცირეოდენი ღვინოც დავლიეთ, გვეტყოდა ხოლმე – თქვე ყურუშსაღებო, მე რატომ არ მითხარითო. ერთხელ, როცა ვუთხარით – ბატონო გიორგი, თქვენ ვერ შეგკადრეთ, ისეთ „დუქანში“ შევიარეთ, სადაც პურისა და ღვინის მეტი არა იყო რაო. მითხრა: „მერე და, მაგაზე მეტი რა გინდოდათო. იცით ომის დროს, როცა საკვები ჭირდა და სხვა არაფერი იშოვებოდა, ვიყიდდი ერთ ბოთლ ღვინოს, ჯამში ჩავასხამდი, ჩავყრიდი შიგ პურს და იმას შევექცეოდიო. ეს ისეთი მანქანი საქმელია, სხვა აღარა გინდა რაო. ამის შემდეგ, როცა ნახვალთ, არ გამოიმტოვოთ“.

ბატონ გიორგის „ბრალია“, რომ ერთი სპეციალური საგნის დაუფლება და ლექციების წაკითხვა დამევალა. წლების განმავლობაში ჩენს ფაკულტეტზე სალექციო კურსი მიჰყავდა მეტად ორიგინალურ პიროვნებას კოტე ცაგარელს – „სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია“. სამწუხაროდ, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და სასწრაფოდ საჭირო გახდა ეს საგანი ვინმეს წაეკითხა. როცა ამ საკითხს კათედრაზე ვიხილავდით, ბატონმა გიორგიმ ბრძანა, ოთარი სოფლელი კაცია და ეს კურსი მას მივანდოთო. შემდეგ ისე მოხდა, რომ სამი სპეციალური საგანი: „საბუნებისმეტყველო, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია“ გაერთიანდა და ამ საგნის სწავლებაც მე დამევალა. თუმცა ბევრი ვიშრომე, მაგრამ ამ მხრივაც მადლიერი ვარ ბატონი გიორგისა.

ბატონი გიორგი გიორგაძის – ამ წმინდა ღვთისკაცის მიმართ ყველანი, განსაკუთრებით ჩვენ, ახალგაზრდა კოლეგები განსაკუთრებული მოკრძალებით და ღრმა პატივისცემით ვიყავით განწყობილნი და ამ დროს, რამდენად მოულოდნელი და შემადრწუნებელი იყო ჩემთვის ის ოინი, რომელიც ჩემმა მეგობრებმა ბატონ გიორგისთან ურთიერთობაში მომიწყვეს. ერთხელ ჩვენმა კათედრამ გამსვლელი სამეცნიერო-კონფერენცია ჩაატარა ქუთაისში. ვიტყვი, რომ კონფერენცია წარმატებით ჩატარდა, მისი მონაწილეთა უმრავლესობა ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ და რამდენიმე მოხსენება მათაც წაიკითხეს. კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ქუთაისელ კოლეგებს არც მათი სტუმართმოყვარეობა არ დავიწყებიათ და, მიუხედავად ბატონ ნიკო ლორთქიფანიძის მტკიცე წი-

ნალმდეგობისა, საღამოს ჩვენ ყველანი გულუხვ სუფრასთან აღმოვჩნდით. სერობამ არანაკლებ შთამბეჭდავად ჩაიარა და მასპინძლებმა გვიან ღამით სასტუმრომდე მიგვაცილეს. მეორე დღეს, დილით, ჩემი მეგობრები ლევან კვირიკაშვილი,



ა. ლორია, ო. ოსაძე, ნ. ლორთქიფანიძე

ალექსანდრე ლორია და დემონ კალანდაძე, ჯერ კიდევ მძინარეს საწოლში თავზე დამადგნენ და მეუბნებიან, სასწრაფოდ ადექი, ჩაიცვი, წამოდი და ბატონ გიორგის ბოდიში მოუხადე წუხანდელი ამბის გამოო. რაშია საქმე-მეთქი? გავოცდი, განა რა ჩავიდინე ისეთი, რომ საბოდიშოდ მაქვს საქმე-მეთქი. როგორ თუ რაო, აღარ გახსოვს, როგორ ეჩხუბე ბატონ გიორგის და რა სიტყვები აკადრეო. მე კარგად მახსოვდა, რომ არავითარი ამგვარი რამ არ ჩამიდენია, მაგრამ ეს სამი კაცი იმდენად დამაჯერებლად და სერიოზულად მელაპარაკებოდნენ, რომ მე მაინც რაღაც ეჭვი გამიჩნდა, იქნებ მართლაც სიმთვრალით ბატონ გიორგის რამე ვაკადრე-მეთქი და წავყევი იმ ოთახში, სადაც ბატონები გიორგი და ნიკო ისვენებდნენ. ბატონმა გიორგიმ დამინახა თუ არა, მაშინვე მითხრა: – „არა უშავს, ოთარ, არა უშავს. შენი ბრალი არ არის, ალბათ ზედმეტი ღვინის ბრალიაო“ და გაიცინა. მერე ყველამ, ბატონმა ნიკომაც კი თავი ველარ შეიკავა და გულიანად იცინა, გაირკვა რა, რომ ყოველივე ეს, ბატონ გიორგისთან შეთანხმებით, ჩემი მეგობრების ინსცენირებული იყო.

განსაკუთრებით მრავალი სასიამოვნო მოგონება დამრჩა ბატონ ნიკო ლორთქიფანიძის, ჩემთვის ყოველმხრივ დადებითი ადამიანის მიმართ, რომლის შესახებაც შემდეგ წერილში მექნება საუბარი.

* პირველი ქართული სტამბები: თბილისის უმაღლესი სასწავლებელთა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (1947 წ. 23–26 აპრილი): მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ.: სახ. უნივერსიტეტის გამბა, 1947 – გვ. 27–29.


პარტნიორული ურთიერთობა



„კოლორი“ - ჩვენი პარტნიორი

(იქ, სადაც მზადდება ჩვენი ჟურნალი)

ჩვენი ჟურნალი – „საქართველოს ბიბლიოთეკა“ დიდი ხანია რაც გამომცემლობა „კოლორის“ მიერ იბეჭდება. ჟურნალის რედაქციას განუწყვეტელი კავშირი აქვს ამ გამომცემლობის კომპიუტერულ ცენტრთან „კოლორპრინტთან“, რომლის დირექტორი გახლავთ ლიანა ჩინჩალაძე – ენერგიული, გულისხმიერი, პროფესიონალი მენეჯერი და დაულავი მუშაკი. მასთან, როგორც ხელმძღვანელთან, მეტად გაიოლებულია საქმიანი ურთიერთობა. ყოველ-



ლიანა ჩინჩალაძე

თვის საქმის კურსშია, ყურადღებით მოგისმენს, გადაუდებლად გადაჭრის წამოჭრილ პრობლემას, აგისხნის, გაგარკვევს. აღსანიშნავია, რომ მთელ „კოლორპრინტში“ სუფევს საქმიანი, მაგრამ დაუძახავი, ურთიერთ კეთილმოსურნე განწყობი-

მდგომარეობის გამო და ბევრი ავტორის დაუდევრობით ისეთ მძიმედ დასამუშავებელი ხელნაწერები შემოდის ხშირად, გასაკვირია, როგორ ართმევენ ისინი მას თავს.

განსაკუთრებით ბევრია დამოკიდებული ჟურნალის დაკაბადონებაზე. ამ საქმეს ასრულებს თამუნა სტეფნაძე – სავსებით ახალგაზრდა სპეციალისტი, მაგრამ უკვე გამოცდილი და თავისი საქმის პროფესიონალი. მისი პირადული თვისებები – აუღელვებლობა, კეთილგანწყობა, კომუნიკაბელობა და თავაზიანობა აადვილებს მასთან ერთად მუშაობას ჟურნალის დაკაბადონებაზე. არ გაურბის რთულ ძიებას, ყოველთვის ცდილობს რაღაც საინტერესო შემოგთავაზოს, თავისი ინიციატივა გამოიჩინოს.



მანანა კრავეიშვილი



ციური ბროძელი



თამარ სტეფნაძე


ლება, რაც უდავოდ ქალბატონი ლიანას ენერგიული ხელმძღვანელობის შედეგი უნდა იყოს.

ჩვენი მასალის ასაკრეფად ორი ძირითადი ოპერატორი მუშაობს – ქალბატონი ციური ბროძელი და მანანა კრავეიშვილი. მხოლოდ მათი დონის პროფესიონალებს თუ შეუძლიათ ისე კვალიფიციურად ააწყონ ტექსტი, რომ მას შემდგომი დამუშავება თითქმის აღარ დაჭირდეს. ჩვენი

ყოველივე ეს უდავოდ ამაღლებს ჟურნალის დონეს და საკითხავად სახალისოს ხდის მას.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია „კოლორპრინტთან“ ურთიერთობას აღიქვამს როგორც პარტნიორულ საქმიანობას და იმედს გამოთქვამს, ეს ურთიერთობა გახანგრძლივდება და ჩვენს ჟურნალს უეჭველად სარგებლობას მოუტანს.

გვესაუბრება მკითხველი



წერილი რედაქციას



რედაქციაში შემოვიდა თბილისის № 61-ე საჯარო ბიბლიოთეკის დიდი ხნის მკითხველის – ქ-ნ ც. გოგიჩაიშვილის წერილი. აი, რას გვწერს ის:

„ვეცხოვრობ ზ/პ მე-12 კორპუსში ჩემი ოჯახით. მყავს ორი შვილი და შვილიშვილები. ჩემი ოჯახი 25 წელია სარგებლობს № 61-ე ბიბლიოთეკით. ჩემი უფროსი შვილიშვილი ბიბლიოთეკაში ექვსი წლისა მივიყვანე და დღემდე არის აქტიური მკითხველი. წელს დაამთავრა სკოლა-ლიცეუმი „ლამპარი“ ოქროს მედალზე. საქართველოს სკოლების კურსდამთავრებულთა შემაჯამებელ ოლიმპიადაზე მიღწეულ განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებისათვის დააჯილდოვეს მეორე ხარისხის დიპლომით, მანამდე კი ის წლების განმავლობაში იყო მრავალი კონკურსისა და ტურნებში გამარჯვებულის დიპლომების მფლობელი, შოუ-პროგრამებში „რა, სად, როდის“ კონკურსების მონაწილე გუნდის კაპიტანი, „რუსთავი-2“-ის შოუ-პროგრამა „ყველაზე ჭკვიანი“ მონაწილე.


ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ამ ბიბლიოთეკაში მომსახურე პერსონალმა არ დაიშურა თავისი ყურადღება, მონდომება, გულისხმიერება და სიყვარული, რომ დახმარებოდა ბავშვს ყოველივეს ამის მიღწევაში, რისთვისაც ქედს ვიხრი ამ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა წინაშე. გარდა ამისა, მინდა იცოდეთ, რომ იმ საშინელ, გაუსაძლის სამოქალაქო ომის წლებში და მის შემდეგაც – უშუქობის, უგაზობის, უპურობის და სიძულვილის პირობებში ამ ხალხმა არ დატოვა ჩემი შვილების თაობა ქუჩის ამარა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიოთეკის გამგეს ქ-ნ ლილის. ბიბლიოთეკამ არა მარტო ჩემს ოჯახს, არამედ მრავალ სხვას შედარებით უმტკივნეულოდ გადაატანინა უმძიმესი პერიოდი. ბავშვებს არ აკლდათ მათგან სიტბო, სიყვარული, ყურადღება და თუკი ვინმეს რაიმე ნიჭი გააჩნდა – დაკვრა იყო თუ ცეკვა, სიმღერა თუ ლექსის კითხვა, აქ მათთვის პერიოდულად აწყობდა ზეიმებს და ექსკურსიებს, განსაკუთრებით მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დაბადების დღეების, აღსანიშნავად, რაც აძლევდა ბავშვებს შესაძლებლობას თავიანთი თავის რეალიზაციისა. ასე აყვარებდნენ მათ ქართულ კულტურას. ჩვენ ისე შევისისხლხორცეთ ეს ხალხი, რომ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი არსებობა მათ გარეშე.

უმორჩილესად გთხოვთ, შეძლებისდაგვარად დაგვეხმაროთ ამ ბიბლიოთეკის შენარჩუნებაში, თავისი თანამშრომლებით.

ც. გოგიჩაიშვილი



ენის სიწმინდისათვის



მიხეილ რეხვიაშვილი

ენას მამი სიწმინდით უნდა ვეკიდებოდეთ



ოფიციალურ მეტყველებაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ენობრივი შეცდომები და დაუდევრობა. ამ მხრივ სცოდავენ როგორც სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები, ისე მასმედიის წარმომადგენლები. გვხვდება სახელწოდებების ყოვლად გაუმართლებელი ცვლილებები, შეუსაბამოებები, გრამატიკული წესების დარღვევები, სტილური შეცდომები და სხვა შემთხვევები, რაც არ ეპატიება საზოგადოების წინაშე გამომსვლელთ.

ზოგ შემთხვევაში სავსებით გაურკვეველია, რისთვის ხდება ეს. მაგალითად, პეკინის ქუჩას გამსახურდიას ქუჩა უწოდეს, შემდეგ ისევ პეკინის, ახლა კვლავ გამსახურდიას ქუჩად მონათლეს.


„საბჭოს“ ნაცვლად შემოიღეს „საკრებულო“. ვითომ რითი სჯობია „ბჭობას“ (განსჯას, მსჯელობას) „კრება“ (შეკრება, თავმოყრა)? ან სკოლებისა და ბიბლიოთეკების „საჯაროდ“ წოდება რამდენად გამართლებულია? „საჯარო“, როგორც „სახალხო“, დიდი ხანია აღარ არის ადეკვატური. ამჟამად „ჯარი“ აღიქმება როგორც სამხედრო გაერთიანება და ამდენად, მისი გამოყენება სკოლების მიმართ შეუსაბამია, ისევე, როგორც „საჯარო“ დაწესებულებები. ასევე სავსებით უმართებელია „მისაღები გამოცდების“ შეცვლა „ეროვნული გამოცდებით“. საერთოდ, რამდენად „ეროვნულია“ გამოცდები? რას ნიშნავს გამოცდების ეროვნულობა? განა ის ასახავს მის ნამდვილ არსს? მაგრამ საქმე მარტო ტერმინზე როდია. ახალმიღებული პირველკურსელები არ ფლობენ გრამატიკას, არ იციან, მეტყველების რამდენი ნაწილია ენაში, რომელი წევრი რა როლს ასრულებს წინადადებაში. წარმოდგენა არა აქვთ ზმნის (ენის ხერხემლის) კატეგორიებზე, მართლმეტყველებაზე და მართლწერის საკითხებზე, სინტაქსურ კონსტრუქციებზე, ლარიბია მათი ლექსიკა, რაც მთავარია, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ენის წინაშე და არც აქვთ სურვილი იმუშაონ ქართული მეტყველების ნორმების დასაუფლებლად.

ამ ბოლო ხანებში გახშირდა ზოგი სიტყვის უადგილოდ გამოყენება – „გააკეთა“, „საკუთარი“, „დაბადებული“, „მაგარი“, „პროცესი“, „გაყიდვაში“, „დაცვის ქვეშ“, „მხედველობის ქვეშ“, „შეცდომაში შეიყვანა“, „დააგემოვნა“, „ქართული“ – „ქართვე-

ლის“ ნაცვლად, „გაკეთებადი“, „მაღალი სტუმარი“, „დაკონტაქტება“, „გემური თვისებები“, „თაობა“ და მრავალი სხვა. მაგალითად: „განცხადება გააკეთა“ (უნდა დანერო განაცხადი); „პირველი ნაბიჯის გაკეთება“ (ნაბიჯის გადადგმა); „საკუთარი ცოლი მოკლა“ (ცოლი თავისთავად განსაზღვრავს საკუთარს). „მანქანა დაბადებულია ამერიკაში“ (მანქანა გაკეთებულია, შექმნილია, დამზადებულია); „გადაიხადეს გუდვილის დაბადების დღე“ (მაღაზიის გახსნის, დაარსების დღე); „მაგარი ვართ“, „მაგარი ყვავილებია“ (მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს და არა ყოველ შემთხვევაში და ყოველ საგანზე); „დაიწყო მუშაობის პროცესი“, „დაიწყო გაკვეთილის პროცესი“ (დაიწყო მუშაობა, დაიწყო გაკვეთილი); საერთოდ, „მუშაობა“, „სწავლა“, „გაკვეთილი“ ნაზმნარი არსებითი სახელებია, ასეთ ფორმებს გრამატიკულად „საწყისებს“ უწოდებენ და მათთან „პროცესის“ ხმაურება მიუღებელია; „გაყიდვაში“ (იყიდება, ვყიდით, გასაყიდა), „ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი“ (ჩემი დასაცავი დამნაშავე); „ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდება“ (ჩემი მეთვალყურეობით იზრდება); „შეცდომაში შეიყვანა“ (შეაცდინა); „დაიგემოვნა“ (გემო გაუსინჯა, დააჭამნიკა); „ქართული საზოგადოება“, „ქართული დელეგაცია“, „ქართული ინტელიგენცია“, „ქართული ჯარი“, „ქართული დიასპორა“ (ქართველი საზოგადოება, ქართველი დელეგაცია, ქართველი ინტელიგენცია, ქართველი ჯარი, ქართველი დიასპორა), სადაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იგულისხმება, უნდა ითქვას „ქართველი“.

„ეს საქმე გაკეთებადია“ (გასაკეთებელია, შეიძლება გაკეთდეს ან გაკეთდება); „მაღალი სტუმარი“ (სხვა ენის გავლენაა, ჩვენ შეიძლება ვთქვათ საპატიო სტუმარი, პატივსაცემი სტუმარი, ძვირფასი სტუმარი და სხვა).

„დაკონტაქტება“ – ქართული არ არის, თუმცა გრამატიკაში იხმარება ზმნის ერთ-ერთი კატეგორიის შესახებ, კონტაქტი ამ შემთხვევაში სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთობაზე მიგვითითებს, როგორც მეცნიერული ტერმინი, სხვა შემთხვევაში მისაღები არ არის, როგორიცაა მაგალითად გამოთქმა „დავუკონტაქტდი“ (დავუკავშირდი) და სხვა. ყოვლად მიუღებელია „გემური



თვისებები“ (გემოს დამახასიათებელი თვისებები, კარგი ან ცუდი გემო).

რაც შეეხება „თაობას“; მართალია, ის შეიძლება ეხებოდეს ადამიანებსაც და სხვა სულიერ საგნებსაც – ცხოველებს, ფრინველებს, მაგრამ დაუშვებელია მისი გამოყენება უსულო საგნებზე: ტელეფონზე, ზეთებზე, მანქანებსა და ა. შ. მათ შესახებ შეიძლება ითქვას „პირველი, მეორე, მესამე... გამოშვება ან გამოცემა და არა „თაობა“.

დღეს თითქმის ყველა ჟურნალისტი (ტელე და რადიო), პარლამენტარი და მათი გავლენით უამრავი ადამიანი იმეორებს იმ შეუსაბამოებებსა და შეცდომებს, რასაც მათგან ისმენს, მაგრამ როცა ეს ჩვეულებრივი ურთიერთობის პირობებში ხდება, გასაგებია (მაგრამ არა ასატანი და მოსათმენი), ხოლო როდესაც ასეთი დამახინჯებები იღვრება საზოგადოებრივ საინფორმაციო საშუალებებიდან, ეს მკაცრად აღსაკვეთია და მის აღმოსაფხვრელად გარკვეული ზომებია მისაღები.

ორი წლის წინ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ვწერდი, რომ პარლამენტარებისათვის დაენესებინა

კონსულტაციები ენის ოროთოპიისა და ორთოგრაფიის შესასწავლად, ანაზღაურების გარეშე, მაგრამ იუკადრისა და ახლა ხომ ვხედავთ, როგორ მეტყველებენ სახელმწიფოს მესვეურნი!

მთავრობავ და პარლამენტარებო! რაკი თქვენ არა გაქვთ იდეოლოგია ენის სინმინდის დაცვისა, იხელმძღვანელეთ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 2007 წლის და 2010 წლის საშობაო და სააღდგომო „ეპისტოლეთი“, ის აგაცდენთ ამ მხრივ ყოველგვარ უსიამოვნო შენიშვნებს. თქვენი მოსაველეია ჩვენი ღვთიური ენა – მსოფლიო ენების ერთ-ერთი საწყისი. ეს უმნიშვნელოვანესი საქმეა! განა ჩვენმა წინაპრებმა არ შემოგვინახეს მამულსა და სარწმუნოებასთან ერთად ჩვენი ენა? ენამ გადაგვარჩინა ჩვენ და მას „ცოდვილის მსახვრალი ხელი არ უნდა შეეხოს“ (ილია). გთხოვთ და გირჩევთ, სათანადო „მუხლი შეიტანოთ კონსტიტუციაში ენის სინმინდის დასაცავად, აღადგინოთ ენის დამცველი ორგანიზაცია და ამ მიმართულებით დაანსოთ ზედამხედველობა სატელევიზიო და რადიოარხებზე, ჟურნალებზე, პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლებზე.

ღირსეულთა დაფასება

დიდი საქმის დიდოსტატი

ციალა კალმახელიძის სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენს სპეციალისტებსა და მკითხველებს შორის. დღეს ის იუბილარია, რომელიც მრავლის მომსწრე და მნახველია, მისი ინიციატივით, უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა ჩვენს დარგში. ჩვეულებრივი ბიბლიოთეკარიდან დედაქალაქის მთავარი ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო სისტემის გენერალურ დირექტორობამდე გზა დატვირთული იყო დაუღალავი შრომით, საქმისადმი ერთგულებით, დაოსტატების მუდმივი ცდითა და ურთიერთთანამშრომლობით.



გარდა იმისა, რომ ქალბატონი ციალა დიდი პროფესიონალიზმით უძღვება თავის საქმეს, არის გულისხმიერი ადამიანი, ყურადღებიანი, გამოირჩევა კეთილშობილებითა და მრავალი ადამიანური ღირსებით.

ქალაქის მერიამ დიდი ხანი არაა, რაც ის და აჯილდოვა ოქროს მედლით – "კულტურის ამაგდარი", რაც ქალბატონი ციალას მოღვაწეობის უტყუარი აღიარებაა. ქალაქის საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობამ განსაკუთრებულად გამოხატა ეს ფატი და ზეიმით აღნიშნა იგი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენს ჟურნალში შემოვიდა № 57-ე და № 26-ე საჯარო ბიბლიოთეკების თანამ-

შრომლების დ. გოქაძისა და დ. მშვენიერაძის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც მოცემულია სისტემის ყველა თანამშრომლის სახელით, სიხარულის გამოხატულება და მილოცვა.

კოლეგების კეთილგანწყობილება და სიყვარული ზუსტადაა გადმოცემულა ერთ-ერთი თანამშრომლის ა. ჯამატაშვილის ლექსში, რომელიც ქალბატონ ციალას ეძღვნება. "ამქვეყნად სიკეთის სათესად მოხვედი", – მიმართავს ავტორი მას და უშუალო გრძნობით აცხადებს: "თქვენ ხართ კოლექტივის ნამდვილი პატრონი".

ჩვენი რედაქციაც გულმხურვალედ ულოცავს ქალბატონ ციალას დაბადების დღესა და ღირსეულ ჯილდოს. ჩვენ არაერთი მართალი სიტყვა გვითქვამს მისი მოღვაწეობის შესახებ ჩვენს ჟურნალში და ახლაც სიამოვნებით ვაკეთებთ ამას, ამავე დროს გვინდა მივულოცოთ მას ეს საზეიმო წუთები და ვუსურვოთ ჯანმრთელობა, ხანიერება, დაუღალავი შრომის მუდმივი სურვილი და სიკეთის კეთებისადმი მისთვის ჩვეული მისწრაფება. ბედნიერებით სავსე ყოფილიყოს მთელი მისი ცხოვრება!

თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების
გაერთიანება;
რედაქციის სახელით ალ. ლორია

წიგნის მემკვიდრე წინამძღვარი

ვისაც ქართული სულიერების დაცვა სურს, უპირველეს ყოვლისა, წიგნიერი კულტურის განვითარებას უნდა ედგეს მხარში. სწორედ ამისათვის არის მონოდებული საქართველოს მნიგნობართა ასოციაცია, რომელსაც დღეს ქალბატონი ლია ნადარეიშვილი უდგას სათავეში.

ეს ორგანიზაცია 1974 წლიდან არსებობს. მაშინ მას წიგნის მოყვარულთა საზოგადოება ეწოდებოდა და სხვადასვა დროს მეტად ღირსეული და საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები ხელმძღვანელობდნენ: აკად. ევგენი ხარაძე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, გამომცემლობათა კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ლლონტი, მწერალი გურამ ფანჯიკიძე, ჟურნალისტები დავით კაკაბაძე და გურამ ბუხნიკაშვილი... პრეზიდენტის წევრები იყვნენ: აკად. ანდრია აფაქიძე, აკად. პაატა გუგუშვილი, პროფესორები თენგიზ ბუაჩიძე, სოლომონ ხუციშვილი, ლევან თოიძე, კულტურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი აკაკი ძიძიგური და სხვ. ამ ორგანიზაციასთან მუდამ მოღვაწეობდნენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები, ინტელიგენციისა და მოსახლეობის ფართო ფენები. საზოგადოებასთან თავის დროს მოქმედებდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და წიგნმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც სხვადასხვა პერიოდში სათავეში ედგნენ პროფესორები: ვანო ლოლაშვილი, ლევან მენაბდე და გივი მიქაძე. ტარდებოდა მეტად საინტერესო, აქტუალური და კვალიფიციური ლექციები, რომელთა წასაკითხად მონვეული იყვნენ თვალსაჩინო სპეციალისტები.

უამრავი სასიკეთო რამ გააკეთა მნიგნობართა ასოციაციამ: წიგნების გამოცემა, მინიატურული კოლექციების ბეჭდვა, პლაკატების გამოქვეყნება, მნიშვნელოვანი წიგნების გამოფენები, პრეზენტაციები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, საიუბილეო და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა, ურთიერთობა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებთან, ბიბლიოთეკებთან, ქარხანა-ფაბრიკებთან, გამომცემლობებთან, აღსანიშნავია ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკასთან“ ერთობლივად ჩატარებული



კონკურსი – „სკოლის საუკეთესო ბიბლიოთეკა“, რომელსაც განათლების სამინისტრო კურირებდა. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლებში ბიბლიოთეკების ფიზიკურად არსებობის შენარჩუნებას.

განსაკუთრებით მოქალაქეობრივ გამირობად უნდა ჩაითვალოს დღეს, ყოველგვარი სახელმწიფო დაფინანსების გარეშე თავიდანვე გამომავალი აღმანახის „მნიგნობარის“ სისტემატურად გამოცემა, რაც ძალიან ნაცნობი

მოვლენაა ჩვენი ჟურნალისათვის. ჩვენ ვიცით, რა ფასად უფდება ეს ასოციაციას, მით უფრო დასაფასებელია ამ ორგანიზაციის საქმიანობა.


განუული დიდი შრომის შედეგად მიღებული ფასეულობათა დაცვასა და განვითარებას თავგამოდება და გაბედულება, ინიციატივა და ენთუზიაზმი ესაჭიროებოდა, განსაკუთრებით იმ 90-იანი წლების უმძიმეს ხანაში, როდესაც ქართული მწერობა და კულტურა უმძიმესი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა.

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ ითქვას ის, რომ ამ პერიოდში ასოციაციას სათავეში სწორედ ქალბატონი ლია ედგა და მტკიცედ იცავდა ადრინდელ მონაპოვარს და მთელი მონდომებით, თავის თანამშრომლებთან ერთად, კიდევ ანვითარებდა და ამრავლებდა მას.

ლია ნადარეიშვილი თითქმის ორი ათეული წელია იღვწის ასოციაციის თავმჯდომარედ და თავისი პროფესიონალიზმით, მენეჯმენტის კარგი ცოდნითა და უნარით, ხანგრძლივი გამოცდილების განზოგადებით, თანამშრომელთა მიმართ კეთილგანწყობილებით განაგრძობს უკეთილშობილეს საქმიანობას. მის საიუბილეო დღეებში, რომელიც მიმდინარე წელს აღინიშნა, მისი ღვაწლის შეფასებისას აშკარად გამოიხატა ის თვისებები, რაც მას ახასიათებს და რომლის გამოც მას პირუთვნელად აფასებს მთელი საზოგადოება.

ჩვენი რედაქცია გულწრფელად მიესალმება ამ თარიღს და ქალბატონ ლიას უსურვებს, კვლავ ასეთი ახალგაზრდული შემართებით განაგრძოს თავისი საქმიანობა, ასევე დაუღალავად იღვანოს მომავალშიც ჩვენი წიგნიერების განვითარებისათვის.

„საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია



ინფორმაცია




ნაშრომი ქართული მწერლობის უთვალსაჩინოეს მოღვაწეზე



თბილისი, 2010

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თაოსმნობით მიმდინარე წელს გამოქვეყნდა ჩვენი კოლეგის მაცვალა დავითაძის ნაშრომი „სოლომონ ყუბანეიშვილი – ქართული მწერლობის მკვლევარი“, რომელიც დაიბეჭდა შპს „ვისტა ჯგუფის“ მიერ. რედაქტორია დოქტორი გ. კუჭუხიძე.



რეცენზენტი ზ. ქუქჩიშვილი; შეიცავს 194 გვერდს ილუსტრაციებით, აღსანიშნავია, რომ ნაშრომს ერთვის „გამოყენებული ლიტერატურა“ (242 დასახელება), „სოლომონ ყუბანეიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია“, მოცემულია ნუსხა ტექსტებისა, გამოცემული ყუბანეიშვილის წინასიტყვაობებით, ვარიანტებითა და შენიშვნებით, აგრეთვე მის მიერ რედაქტირებული წიგნების დასახელებები. ყოველივე ეს ნაშრომს ბიობიბლიოგრაფიული მარჯვენების ფუნქციებსაც ანიჭებს, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისათვის.

როგორც წიგნის ავტორი მაცვალა დავითაძე აღნიშნავს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

რი სოლომონ ყუბანეიშვილი, მიუხედავად მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობისა, რატომღაც მაინც ჩრდილშია მოქცეული, რაც, ჩვენი აზრით, სრული უსამართლობაა, და უდავოდ მისასაღმებელია ქ-ნ მაცვალას ცდა, ხელი შეუწყოს ხსენებული თვალსაჩინო მკვლევარის წარმოჩენას.

სოლომონ ყუბანეიშვილი მოღვაწეობდა ისეთ დიდ მეცნიერების გვერდით, როგორც იყვნენ კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე და მათი თაობის ღირსეული წარმომადგენლები.

სოლომონ ყუბანეიშვილმა უდიდესი ძალა და ენერჯია მოახმარა ლიტერატურის კვლევა-ძიებას, იყო ლიტერატურის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი, ორიენტალისტი, მრავალი ორიგინალური მოსაზრების ავტორი, განსაკუთრებით გამოირჩეოდა საარქივო მასალის მოძიებასა და დამუშავებაში, რაშიც მას თითქმის ბადალი არა ჰყოლია. დადგენილი აქვს უამრავი ფაქტი და ქრონოლოგია. მოღვაწეობდა საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის არქივებში. მრავალი ურთულესი თემა ღრმა მეცნიერული ანალიზით აქვს დამუშავებული.

რაც შეეხება მაცვალა დავითაძის ნაშრომს, იგი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია პერსონალური ბიბლიოგრაფიული მონოგრაფიისა. შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, გამოირჩევა უსაზღვრო რაოდენობის მასალის დამუშავებით, საქმის კარგი ცოდნით, პროფესიონალიზმით. ამ წიგნს დიდი ინტერესით გაეცნობიან როგორც დარგის სპეციალისტები, ისე ლიტერატურული მოვლენებით დაინტერესებული მკითხველები.

სიტყვა თბილისსა და თბილისელზე

ძნელი წარმოსადგენია, რა მოცულობის მასალა დაგროვდება, ყველაფერი რომ შევკრიბოთ, რაც დაწერილა და თქმულა თბილისსა და თბილისელებზე. ამის პრეტენზია არც აქვს ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნესა და ბიბლიოგრაფს ოთარ ოსაძეს, რომელმაც მიმდინარე წელს გამოაქვეყნა წიგნი „თბილისი და თბილისელები“, ამ წიგნის არსის გასარკვევად საკმარისია გავეც-

ნოთ მის ქვესათაურს – „აზრთა მცირე ამონარიდი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან“.

ავტორი თავის „წინათქმაში“ აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის გამონათქვამს იშველიებს, რომელშიც ნათქვამია: „... თავი რომ მოვეუყაროთ ერთ გამოფენაზე, ერთ წიგნში ყველაფერს, რაც თბილისს უძღვნეს, რა ამაღლელებელი, მრავალ-



ფეროვანი და განუმეორებელი სურათი გამოვიდოდა“. თვითონ კი დასძინეს: „ბატონი ვახტანგის სურვილის ხორცშესხმა მართლაც რომ დიდებული საქმე იქნებოდა, მაგრამ თბილისის შესახებ იმდენი რამ შექმნილა, რომ მათი ერთად თავმოყრა თვით თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკასაც არ ძალუძს“.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ოთარ ოსაძე ათეული წლობით აგროვებს ლიტერატურაში მიმოფანტულ ბრძნულ, საყურადღებო, ღირსშესანიშნავ გამოთქმებს და თემატურად აჯგუფებს მათ. მას სხვადასხვა თემაზე არაერთი ნიგნი გამოუცია და ეს ნიგნიც ამგვარ გამოცემას წარმოადგენს.


ეს გამოცემა, ფაქტობრივად, ციტატების კრებულია. მასში 92 ავტორის ნაწარმოებების ამონარიდებებია თავმოყრილი როგორც პროზაული, ისე პოეტური ჟანრისა. თითქმის ყველა თვალსაჩინო ქართველი მწერალია აქ წარმოდგენილი,

აგრეთვე რამდენიმე უცოელიც, ვისაც კი რამე უთქვამს თბილისსა და თბილისელებზე.

ნიგნი შეიცავს 62 გვერდს, მასალა განლაგებულია ავტორის გვართა ანბანის მიხედვით ყოველგვარი კომენტარის გარეშე. რედაქტორია ციალა კალმახელიძე.


ამ გამოცემას დიდი

ესთეტიკურ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. ის მკითხველს აცნობს ცნობილ მწერალთა და მოღვაწეთა ნააზრევს თბილისსა და თბილისელებზე, ამავე დროს აღძრავს სურვილს დასახელებულ ავტორთა შემოქმედების შესასწავლად.



პირველი წარმატებული მსდელოვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა ერთობლივად უზრუნველყვეს გამოქვეყნებულიყო თვალსაჩინო და უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერის როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომი „სახელების ეთნოლოგია და ისტორია. მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმიული სისტემები“. ნაშრომი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შემსწავლელი სტუდენტებისათვის. რედაქტორები არიან: შუქია აფრიდონიძე, როზეტა გუჯეჯიანი და ინგა ლუტიძე. ნიგნი გამოქვეყნდა 2010 წელს გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ თბილისში; შეიცავს 320 გვერდს დამხმარე აპარატიურთ – სახელთა სარეკომენდაციო სია, სარეკომენდაციო ლიტერატურა.



სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია, დარგში კვლევითი მუშაობის გააქტიურება და სპეციალისტების მომზადებისათვის აქტიური ხელშეწყობა.

ნაშრომი 4 ნაკვეთისგან შედგება: I. ანთროპონიმთა კვლევის ზოგადი ასპექტები; II. მსოფლიო

ხალხთა ანთროპონიმიული სისტემები; III. ქართველთა ანთროპონიმიული სისტემები; IV. სახელების სარეკომენდაციო სია.

როგორც ანოტაციაშია მითითებული, ანთროპონომია მრავალ მკითხველს დააინტერესებს, რადგანაც სახელებისა და გვარების ისტორია ყველა ჩვენთაგანს აინტერესებს. მართლაც, აქ ისეთი საკითხებია განხილული, რომელთა გაცნობა არა მარტო ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილებას გამოიწვევს, არამედ მათ დიდი შემეცნებითი ღირებულებაც აქვს. აქ მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა ყველა გვარსახელის სისტემების გვერდით, განხილულია ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო საკითხები აფხაზური და ოსური სახელებისა და ქართული სახელების სისტემებთან დაკავშირებით. მაგალითად: ქართული პიროვნული სახელები,

ქართული გვარსახელების წარმოქმნა, ქართულ გვარსახელთა კლასიფიკაცია, საქართველოში საკუთარ სახელთა დარქმევის ზოგიერთი ტრადიცია, აღმოსავლური და დასავლური ელემენტი ქართულ ანთროპონიმიაში და სხვა.




განსაკუთრებით საყურადღებოა ის სია, რომელშიც მოცემულია ცალკე ქალებისა და ცალკე კაცების სახელები. ინტერესს იწვევს აგრეთვე ის სარეკომენდაციო ლიტერატურა, რომელიც წიგნს ერთვის. შესავალშია გაცხადებული, რომ „ავტორს პრეტენზია არა აქვს“, თანაბრად ფლობდეს ანტროპონიმების ეთნოლოგიური, ისტორიული და ენათმეცნიერული კვლევის მეთოდებს: „წიგნს“ სახელების ეთნოლოგია და ისტორია ჰქვია, ე. ი. ყურადღება ძირითადად საკუთარ სახელთა ეთნოლოგიური კვლევის ასპექტზეა გამახვილებული. იგივე შეიძლება ითქვას ანტროპონიმების ისტორიაზეც...“

როგორც ავტორი – პროფ. როლანდ თოფჩიშვილი შესავალში აღნიშნავს: ეს სახელმძღვანელო ქართულ ენაზე „პირველ მცდელობას წარმოადგენს“. ჩვენი აზრით, ეს ნამდვილად წარმატებული მცდელობაა, რაც საკმაოდ დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო სტუდენტებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც.

განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი ბიბლიოთეკებისათვის ამ წიგნის შეძენა, რაც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოზიდვასა და შესაბამისი ლიტერატურით დაინტერესებას.

ერთი თემის წარმოჩენა

არის ისეთი პატარა დასახლებები – სოფლები, რომლებსაც საქართველოს წარსულში უდგას ფესვები და თავის დროს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ როლს ასრულებდნენ და დღესაც მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ.



სწორედ ამგვარია გურიის ერთ-ერთი უძველესი სოფელი (თემი) – მიქაელ-გაბრიელი. ამ სოფლის არქეოლოგიური ძეგლები, რწმენა-წარმოდგენები, ეთნოგრაფია, განათლება, სიმღერები, ლექსები, სასიქადულო მამულიშვილები და სხვა ღირსშესანიშნაობანი საფუძველს იძლევა,

ყოველმხრივ იყოს ეს თემი შესწავლილი, შეცნობილ იქნეს მისი ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მოცულობით საკმაოდ დიდი (400 გვ.) მონოგრაფია ამ სოფლის უძველესი სახელწოდებით – „მიქაელ-გაბრიელი“.

ნაშრომის გამოცემის ინიციატივის მხარდაჭერა ეკუთვნის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, აგრეთვე გურიის სიძველეთა შესწავლისა და დაცვის საქველმოქმედო ფონდს – „გურია“.

მონოგრაფია შექმნილია რამდენიმე ავტორის მიერ. ესენი არიან: პ. კაჭარავა, თ. ხოხობაშვილი, მ. ძნელაძე, ე. ლლიღვაშვილი, თ. სადრაძე და ვ. სადრაძე. რედაქტორია ისტორიულ მეც-

ნიერებათა დოქტორი ვაჟა სადრაძე. რეცენზენტები არიან: პროფ. თემურ თოდუა და ისტ. მეცნ. დოქტორი ლერი ჯიბლაძე; კონსულტანტია პროფ. იური სიხარულიძე. წიგნი გამოქვეყნდა მიმდინარე წელს გამომცემლობა „მნიშვნობარის“ მიერ; 400 ტირაჟით.

წიგნს წამძღვარებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილის მრავლისმეტყველი სიტყვები: „გვეყოფა ამდენი გულგრილობა ჩვენი ძვირფასი ნაშთებისადმი. მომავალი არ გვაპატიებს, თუ ეს ძეგლები ჩვენ თვალწინ დაინგრევა“.

ტექსტი რამდენიმე თავად არის დაყოფილი: I. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევა-ძიება მიქაელ-გაბრიელში (შრომა); II. ზოგი რამე მიქაელ-გაბრიელზე; III. განათლებისა და კულტურის ისტორიიდან; IV. მიქაელ-გაბრიელისეული ცისარტყელა. ნაშრომს დართული აქვს დამატებები, რომლებიც საგრძნობლად ავსებს ძირითად მასალას, აგრეთვე საარქივო მასალა, მათი ასლები, კომენტარები, მითითებები.


ამ თვალსაზრისით, მონოგრაფია ბიბლიოგრაფიულ ფუნქციასაც იძენს, რითაც ის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული ხდება. გამოცემაში უხვადაა ჩართული საილუსტრაციო მასალა, წიგნი მაღალი პოლიგრაფიული კულტურითაა შესრულებული, იკითხება დიდი ინტერესით. მართალია, როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტების, სპეციალისტებისა და გურიის კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული მკითხველისათვის, მაგრამ მისით უეჭველად დაინტერესდებიან ჩვენი ბიბლიოთეკები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია მხარეთმცოდნეობითი მუშაობა.

ექსპანსიები კვლ საქართველოში

საუნივერსიტეტო გამომცემლობაში 2006 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა გელა გამყრელიძისა და თემურ თოდუას მონოგრაფია „რომის სამხედრო პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში“. ნიგნის რედაქტორია პროფესორი გრანი ქავთარაძე, რეცენზენტები: ე. კახიძე, ზ. ბრაგვაძე და ვ. თოლორდავა. შეიცავს 191 გვერდს შავ-თეთრი ილუსტრაციებით, ახლავს მეტად მრავალმხრივი დამხმარე აპარატი.

ნაშრომი ქრონოლოგიური წესრიგის დაცვით იხილავს ძირითად საკითხს, აშუქებს იმდროინდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ თუ კულტურულ მოვლენებს. ეხება იმ სიტუაციას, რომელიც არსებობდა ძვ. წ. I – ახ. წ. IV საუკუნეებში იბერია-კოლხეთში. თანამედროვე ისტორიული მეთოდოლოგიით ხდება არსებული საკითხის კვლევა, რაც ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის და ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღებამდე მივყავართ: ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ნაშრომის შეფასებისას.


გარდა ისტორიული მოვლენებისა, ავტორები ეხებიან რომაულ საბრძოლო იარაღებს და სხვა ეთნოგრაფიულ საკითხებს. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის დამხმარე აპარატი, რომელსაც ისინი იშველიებენ. ეს არის საისტორიო წყაროების დამოწმება და ანალიზი, რომის იმპერატორების ოფიციალური სახელეების ქრონოლოგიური ნუსხა, რომის ლეგიონების ნომრები და სახელწოდება, შემოკლებათა განმარტება, ტაბულების აღწერილობა. ყოველივე ეს ნიგნს გარდა გამოკვლევებისა, საცნობარო ხასიათსაც ანიჭებს. მოცემული ბიბლიოგრაფიული წყაროების სიუხვე ქმნის პირობებს, ეს ნიგნი „გეორგიკის“ ნიმუშადაც მივიჩნიოთ, რასაც უდიდესი მხარეთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ბიბლიოთეკათმცოდნეობით – ბიბლიოგრაფიული დარგის სპეციალისტებისათვის. თავის დროს, როდესაც ამ სპეციალობით მზადდებოდნენ სტუდენტები, ეს ნიგნი უდავოდ ერთ-ერთი დამხმარე სახელმძღვანელოდაც კი შეიძლება გამხდარიყო. დასაძინა, რომ ავტორებს არ უზრუნიათ პირთა საძიებლის შედგენაზე, რაც ასე საჭიროა ნიგნებისათვის, რომლებშიც უამრავი ისტორიული პირია მოხსენებული. სხვათა შორის, ქართული ისტორიული ხასიათის გამოცემათა დიდი უმრავლესობა გვერდს უვლის ამ მეტად საჭირო საძიებელს, რისი ჩართვაც ერთიორად გაზრდიდა ნიგნის საცნობარო თვისებებს, რაც ბევრ ადამიანს გაუადვილებდა მის გამოყენებას.



ის დამოწმება და ანალიზი, რომის იმპერატორების ოფიციალური სახელეების ქრონოლოგიური ნუსხა, რომის ლეგიონების ნომრები და სახელწოდება, შემოკლებათა განმარტება, ტაბულების აღწერილობა. ყოველივე ეს ნიგნს გარდა გამოკვლევებისა, საცნობარო ხასიათსაც ანიჭებს. მოცემული ბიბლიოგრაფიული წყაროების სიუხვე ქმნის პირობებს, ეს ნიგნი „გეორგიკის“ ნიმუშადაც მივიჩნიოთ, რასაც უდიდესი მხარეთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ბიბლიოთეკათმცოდნეობით – ბიბლიოგრაფიული დარგის სპეციალისტებისათვის. თავის დროს, როდესაც ამ სპეციალობით მზადდებოდნენ სტუდენტები, ეს ნიგნი უდავოდ ერთ-ერთი დამხმარე სახელმძღვანელოდაც კი შეიძლება გამხდარიყო. დასაძინა, რომ ავტორებს არ უზრუნიათ პირთა საძიებ-

ლის შედგენაზე, რაც ასე საჭიროა ნიგნებისათვის, რომლებშიც უამრავი ისტორიული პირია მოხსენებული. სხვათა შორის, ქართული ისტორიული ხასიათის გამოცემათა დიდი უმრავლესობა გვერდს უვლის ამ მეტად საჭირო საძიებელს, რისი ჩართვაც ერთიორად გაზრდიდა ნიგნის საცნობარო თვისებებს, რაც ბევრ ადამიანს გაუადვილებდა მის გამოყენებას.

ჩვენი შემოქმედება



ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით



ღია კობალაძე საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან აქ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და უნივერსიტეტის კედლებს არასოდეს გასცილებია. ენოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამჟამადაც აქ მუშაობს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. უკვე საკმაო გამოცდილება აქვს მიღებული, სპეციალურ კურსებზე გავლილი აქვს ტრენინგი და დიდი მონდომებით ეუფლება ბიბლიოთეკარის პროფესიას. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს და მისი ინტერესთა სფერო მრავალფეროვანია, ის საბიბლიოთეკო საქმეს ერთგულად ემსახურება.

მას იცნობენ როგორც საკმაოდ წარმატებულ საბავშვო მწერალს. მისი პირველი საბავშვო ლექსები ჟურნალ „დილაში“ დაისტამბა და მას მერე ხშირად ქვეყნდება მისი პოეტური შემოქმედება.

როგორც თვითონ წერს თავის „ავტობიოგრაფიაში“, ბავშვობიდან წერდა ლექსებს, მაგრამ თავისთვის, „საყმაწვილო პოეზიაში კალამი შვილის გაჩენის შემდეგ მოვსინჯე, – იგონებს ქალბატონი ღია, – მისი შთაგონებით, მისთვის და, რალა თქმა უნდა, ყველა პატარასათვის“.

გვინდა ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ ჩვენი კოლეგის შემოქმედება და მათ რამდენიმე საბავშვო ლექსი შევთავაზოთ.

ბრეკები

ო, ეს ზღაპრული სამყარო...

თავი მოაქვს ჩოჩორს,
მაშალს აქილიკებს,
თინბაზობს, ოჩნობს,
არე-შარეს იკლავს.
მამლაცინწა ბრაზობს:
– შე ჩოკინა ქაჯო,
მაგ როყიო ყროყინს
დაყივლება არ სჯობს?
იბრიქება თხა და
იფხორება კატა:
– ვერსად ვერ ნახავთო
ჩვენი მოდგმის ბადალს!
– რასა ბრძანებთ, რასო? –
გოჭი უწევს ხმასო,
რაო, თქვენი აზრით,
მე არაფრად ვფასობ?
– ჰამ, ჰამ, – მედიდურად
იღრინება მურაც:
– მზისქვეშეთში მეფე
მე არ ვართ სულაც?
– აბა, ეს რას ჰგავსო? –
გული მოსდის ქურანს,
– როგორ ტრაბახობთო
ასე თავხედურად?
კიდევ რომ იყოთო
მართლაც ხოტბის ღირსი,
თავის ქება, ვითომ,
არის საკადრისი?!..

მურა და მელა

– ჰეი, ჰეი, მელაკუდავ,
შენი გენი საითათ?
– მურიკელავ, ქათმებს უნდა
მივეფერო სათითათო.
მოვიკითხო, მოვუარო,
მოვეფერო ასჯერ დღეში,
რალა ბევრი ვაგაგრძელო,
მსურს დაფსახლდე საქათმეში.
– მაშ, ამისთვის უხმე კრუნებს?
ამისათვის შეგვაწუნე?
ამიტომაც სუნსულებდი
საქათმესთან ჩუმად, წუნელ?
ჰაი, ჰაი, გიცნობ, მელავ,
ფხინლად ვიცავ ნაგრამ-ნაშენს,
როგორ ფიქრობ, ცრუბენტელავ,
შენს ნებაზე გაპარბაშებ?

ო, ეს ზღაპრული სამყარო...
უჩინმაჩინის ქუდები,
მფრინავი ხალიჩები და
ცბიერი ძელაკუდები.
დათუჩები და დევები,
კეთილები და ცუდები,
გველუშაპებთან ჭიდილში
გატარებული წუთები.
მზის მოკაშკაშე ცხრა თვალის,
ცხრაკლიტულების თვალთვალის,
ფაქიზად ნაქსოვ-ნართაფი
ლამაზი ტყუილ-მართალი...

სპილო და დათვი

– დათუნია, ბაჯბაჯავ,
რა მოდგმის ხარ, რა ჯიშის?
ნუთუ, წონის დაგდება
არ გიცდით ვარჯიშით?
ისე უზარმაზარი,
ზონზროხა და ზანტი ხარ, –
სხეულს ველარ ერევი,
კუს ნაბიჯით დადინარ.
– სპილოვ, რად მიგაჩნია
თავი ჩემზე ტანჩიად?
აუჰ. სინდის-ნამუსი
მართლა არ გაგაჩნია?
მწარედ ენაჩვლეტიავ,
ტლიკინავ და ტეტიავ,
დავიჯერი სარკეში
სულ არ ჩავიხედა

სცივათ ჩიტუნებს

წუნელის თოვლი მოსულა,
ფაფუკი, ღუნღულ-ღუნღულა,
ხეები თეთრად მორთულან,
ტოტები გადაუღუნავთ.
მოუწყენიათ ალუნებს,
მოუწყენიათ კეხურებს,
თოვას რომ ბოლო არ უჩანს
რა ეშველებათ ბელურებს?
ცა დაბურულა, არ ატანს
მზის სითბო მიწის გულამდე,
სცივათ ჩიტუნებს... არა და
შორია გაზაფხულამდე...

ფეხბურთი

თითქმის ოქროდ ფასობს წამი,
თავს არავინ ზოგავს,
ზღვას ჩამოჰგავს მოედანი
და ზღვასავით ბორგავს.
თავდამსხმელი ვახლავთ მგელი,
მურიკელა-მცველი,
სანაქებო ფორმაშია
ყველა ფეხბურთელი.
აქეთა კარს იცავს დათვი,
იქითა კარს – ხარი,
ყურცქვიტელას მარიფათი

თამაშს მატებს ხალისს.
ყველა ნემსის ყუნწში ძვრება,
ყველა ოფლად სკდება,
ყველას გუნდის გამარჯვება
და დიდება ნებავს.
თხას ფეხდაფეხ მისდევს ტურა,
მიქრის როგორც ქარი,
ტოლს არ უდებს მურა ტურას,
დარტყმის ჯადოქარი!
გატყორცნილ ბურთს ეწირება
დათუჩელას კარი
და გრიალებს სანუკვარი,
არის! არის! არის!..

პოეზია მისი სულიერი საზრდოა

ირმა მეშველიანი ბევრი მკითხველისათვის არის ცნობილი, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ „დილასა“ და კრებულ „ჯეჯილში“, ბევრი ლექსი აქვს დაბეჭდილი ქუთაისის მთავარ გაზეთში, პოეზიისადმი მისწრაფება თითქოს მისი ოჯახური ტრადიციაა. ძმა ოთარი უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორია.

ქ-ნ ირმა ამჟამად ქუთაისის მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომელია, შესანიშნავი პროფესიონალი, რომელიც წარმატებით უძღვება თავის საქმეს. ამჟამად ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მის რამდენიმე ახალ ლექსს.



მე ახლაც მახსოვს ის ძველი ეზო

მე ახლაც მახსოვს ის ძველი ეზო
დახრილი კიბე ზემო სართულის,
ქვემოთ პატარა, მყუდრო ოთახი,
იქვე კაკლის ხე ცაბდე ასული.

ბევრნი ვიყავით იმ სახლში, მაშინ,
იდგა ხალისი და ჟრიაბული.
ბუხარი ჰქონდათ, მე კარგად მახსოვს,
ცხვებოდა მჭადი, იდგა ალმური.

მას შემდეგ განვლო დღეებმა, წლებმა,
ბავშვობაც გაქრა, ჟამმაც განლია.
არ არის სახლი ჩემი ბავშვობის,
დიასახლისიც უკვე მკვდარია...

მე ახლაც მახსოვს ის ძველი ეზო...

...
შიშველი ფეხები –
წვიმის ნაფერები,
თვალეები ღია და მკრთალი.
შეშლილი სამყარო
შენგან და შენებით,
საღამო, სუსხი და ქარი...
შიშველი ფეხები
წვიმის ნაფერები,
მარტოდ დარჩენილი
ქალი!..
გარეთ კი სიცივე,
სუსხი და ფერები.
სარკმელში –
შუქი მკრთალი...

ანა ფრანგიშვილს

შენი სამყარო ისე მყუდროა,
ისე ფაქიზი, წმინდა და სათნო,
ასე მგონია, ამ ქვეყანაზე
რაც მინატრია, შენშია მარტო.

უკიდევანო სანაპიროა...
თვალი ვერ წვდება სივრცეს ღრუბლიანს,
ტალღები, როგორც მოვრალი მაყრები,
ყელყელაობენ და თან შხუიან.

მოასკდებიან ნაპირს და ისევ
ბირს იბრუნებენ ნირწასულები.



თოლიები კი ისე შეკრულან,
ვით საპატარძლო თაიგულები?

გავცქერი სივრცეს, ასე მგონია,
რომ იდუმალი არის ბუნება.
ამას დავარქმევ ჩემს ბავშვობაში
გადასახლებას და დაბრუნებას.

ვინა ვარ

ძალუმად კითხვა ჩნდება –
ვინა ვარ?!
განგებამ ქვეყნად რად მომავლინა?!
იქნებ მივგავარ მე ჩემს წინაპარს,

იქნებ მის ფენის მტვრადაც არ ვღირვარ.
იქნებ კარგი ვარ და არა ცუდი,
ლამაზი, კოსტა და მშვენიერი,
იქნებ ბოროტი, ან იქნებ მრუში
უგულო, უღრძო და კადნიერი?
არა! არც ერთი, ღმერთმა ნურცა მქნას
სხვისი მოძულე, – რად მინდა თაგი?
ავიღებ ხელში წმინდა კელაპტარს
და ჩაგეკვრები მე გულში კრძალვით.
ძალუმად ჩნდება კითხვა
ვინა ვარ?!
და მე პასუხი მაქვს ამ კითხვაზე:
მე ვარ ნამდვილი ქართველი არსით,
მსურს ვიდლიერო მტრების ჯინაზე!

პოეტური ბულისთქვით

ქეთევან ნიკურაძე თვალსაჩინო პროფესიონალი საბიბლიოთეკო საქმის მოღვაწეა. ის წარმატებით დაეუფლა ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფის სპეციალობას ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და უმაღლესი განათლების მიღებისთანავე შეუდგა პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამჟამად ის თბილისის ახალგაზრდული ბიბლიოთეკის დირექტორია და თავისი საქმიანობით გამორჩეულ სპეციალისტს წარმოადგენს.

ქალბატონი ქეთვანი პოეტური სულისკვეთების ადამიანია, თავდავიწყებით უყვარს პოეზია და ზედმინევენით იცნობს როგორც მსოფლიოს, ისე ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვეთა შემოქმედებას, რასაც წარმატებულად იყენებს თავის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის დროს, ის თავადაც შეჭიდებია ლექსს და გულწრფელობით გამორჩეულ სტრიქონებს ქმნის, რაშიც თავად დარწმუნდებიან ჩვენი მკითხველები.

ჩემი ხასიათი

ისეთი ვარ, როგორც მარტი –
ბუტია და ცვალებადი.
წყენა მალე მავიწყდება
და არ მრჩება გულში დარდი.

კეკლუცი ვარ, თავმოძწონე,
ისე, როგორც ყველა ქალი,
სილამაზეს თაყვანსა გცემ,
ტკბილეულზე მრჩება თვალი.

ერთ ადგილზე ვერვინ მნახავს,
მუდამ სადღაც მივინქარი,
უსაქმოდ რა გამაჩერებს,
დავქრი ისე, როგორც ქარი.

ლხინთან ერთად, შრომაც მიყვარს,
დროს არ ვკარგავ ერთი წამით,

კომპლიმენტებს სწირად ვიღებ,
თავს ვიწონებ კიდეც ამით.

მეგობრები უღევი მყავს,
სიკეთისთვის თავს არ ვზოგავ,
რომ არავის ვაწყენინო,
ყველა სიტყვას ვწონი-ვზომავ.

ბედნიერი მაშინა ვარ,
როცა ყველა კარგად არის.
ყველა ჩემი მეგობრისთვის,
ღიადა მაქვს სახლის კარი.

...

ქარმა დაჰქროლა, მიმოფანტა ვერხვის ფოთლები,
და გაძარცული კვნესენ ხეები...
ქარი არ ცხრება, ისევ დაჰქრის, ისევ ზუზუნებს.
სულ არ ადარდებს, რად ტირიან ეს ტირიფები.

დედის მონატრება

დედა, ძლიერ მენატრები,
დარდს ვერ დაგაღწიე თავი,
გული ისე დამიმძიმდა,
დასწოლია თითქოს ზგავი.

როგორ მინდა გვერდით მყავდე,
მოგეფერო ერთი წამით,
და თუ ცხადში ვეღარ გხედავ —
სიწმინდა ვნახო მაინც ღამით.

ნეტავ ნატვრის თვალი მომცა,
სხვას არაფერს ვინატრებდი,
უშენობა ისე მტანჯავს,
შენს სიცოცხლეს ვისურვებდი.

სიყვარულის ანა—ბანა

ვერაფერი ვერ გავუგე
სიყვარულის ანა—ბანას,
ჩემთვის მუდამ იყო იგი
როგორც დიდი გამოცანა.
თუშცა თავი მიმაჩნია
ყველაფერში ჭკვიან ქალად,
მთელი ჩემი შეცდომები
ავიკიდე ყველა ვალად...
ღრმა მორევში ჩავიძირე,
თავს გაგართმევ ამას განა?
სიყვარული ჩემთვის რჩება
გამოუცნობ გამოცანად.

ზღვა და მენავე

აგორებული ტალღები
ნაპირს ღრიალით აწყდება.
შორს ზღვაში მოჩანს მენავე
თვალი რომ თითქმის ვერ წვდება.

ნავი მოსტაცეს ტალღებმა,
ნაპირზე ვეღარ ბრუნდება,
არავინ არის დამხმარე,
დღე კი სრულდება, ბინდება,

იმედი გადაეწურა,
ღმერთს დახმარებას შესთხოვდა,
ძალღონე გამოლევული,
ტალღებს ამაოდ ებრძოდა.

ზღვას ხახა შავად დაედო...
დაღლილ მენავემ იცოდა —
თუ შედრკი — დაიღუპები,
მიტომაც შედგრა იბრძოდა.

დაბრუნდი მაღე!

ჩემგან შორს წადი,
დიდი გზა განვლე,
მე ისევ გელი,
დაბრუნდი მაღე!

გული უშენოდ
მოუცავს ნადველს,
შენსკენ ვისწრაფი
და ვითვლი წამებს.

ვეღარა ვხედავ
მოღიმარ ბაგეს,
შენს მოციმციმე
ჯადოსნურ თვალებს.

ჩემგან წახვედი,
ვრცელი გზა განვლე,
მე ისევ გელი,
დაბრუნდი მაღე!



პროფესიული მოღვაწეობა და შემოქმედებითი გატაცება

ცირა ბულაშვილი მუშაობს რუსთავის № 22 საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკარად. მან სოფ. ველისციხის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე. ის გამოირჩევა როგორც საუკეთესო პროფესიონალი, მაგრამ მეტად მრავალმხრივი ადამიანია. პოეზიის სიყვარული ბავშვობიდანვე გაუჩნდა. ჯერ კიდევ სულ პატარამ დაიწყო ლექსების წერა. შემდეგ უკვე არაერთი გამოქვეყნებული ლექსის ავტორი გახდა. ის დღესაც განიცდის პოეტურ შთაგონებას და საკმაოდ საინტერესო შემოქმედებით ნაბიჯებს დგამს.

ქ— ცირამ ჩვენს ჟურნალსაც გამოუგზავნა თავისი პოეტური ნაღვანი. მისი ლექსი— „ანბანთქება“, მეტად ორიგინალურად და საინტერესოდაა აგებული. გადავწყვიტეთ, ჩვენს მკითხველებსაც გავაცნოთ იგი.



ანბანთქება

ახლა გავიგე სამშობლოავ,
ბევრი რამ გადაგხდენია,
ბანა შენს გამო არა დირს,
დავდო სიცოცხლე ჩემია?!
მნის, მამულის დაჩენვას
მინდა ელოდა ნეტავი?
ზურმუხტისფერო სამშობლოავ,
თაფლად შეტკბილე ნეტარი,
იფრქვევა სიტყვა ქართულად,
ძოსტა ჩუქურთმად შემკული,
ლაპაზო, თვალეზხატულავ,
მამულს აჩუქე შენ გული.
ნარ—ეკალს ამოვძირკვავდი,
ო, ენავ, ოღონდ ისარე,
პატრონო კილო—კავისა,
შუჟუნა წვიმა იკმარე.

როცა კი მტერი დაგეცა,
სულით მიწიდან ააღდი.
ტკივილიანი წარსულით
შდაოდ ცამდე ამაღლდი.
შიქრი შენს ირგვლივ ტრიალებს,
ქართული სიტყვის მადლისა,
ღირსება არ შეგლახვია,
ძიოდა სისხლი მართლისა.
შენს ანბანს ვეამბორები,
ჩუქურთმად მინდა მოგქარგო,
ცოცხლობდე მუდამ გენებში,
ძლიერ მიყვარხარ მეც, კარგო.
წარმაგალია სიცოცხლე,
ჭარბობს მტრობა და ღვარძლია...
ხარობ მტარვალთა ჯინაზე,
ჯოჯოხეთს სამოთხემ სძლია,
ჰა, გაიმარჯვე ანბანო,
ქართულთ ენავ — ვარძიაგ!

ჩვენ გვილოცავენ

პირველი ქართული პროფესიული ჟურნალის დაარსება, მისი პირველი ნომრის გამოცემა ნამდვილი დღესასწაული იყო ქართველი საბიბლიოთეკო საზოგადოებისათვის, ბიბლიოთეკარებისათვის. ალბათ ბევრ ვინმეს მაშინ არ ეგონა, რომ ჟურნალი წარმატებით გააგრძელებდა წინსვლას, მაგრამ ოპტიმიზმმა, საქმისადმი ერთგულებამ ცხადყო, რომ ჟურნალი საიმედო ხელში იყო. მისი დამფუძნებლები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია ამ საშვილიშვილო საქმეს დიდი შემართებითა და

ერთგულებით მოეკიდნენ. აქ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იმჟამინდელი გენერალური დირექტორის ლევან ბერძენიშვილის ღვაწლი; სწორედ მისმა მონდომებამ და ავტორიტეტმა აადგმევინა ფეხი ბიბლიოთეკართა პირველ პროფესიულ ჟურნალს. მას შემდეგ ჟურნალის თითოეული ნომერი გამოდიოდა პერიოდულობის დაცვით. თვალი გადაავლეთ მის მე-40 ნომერს, თითოეულ ადრინდელ გამოცემას და უთუოდ დარწმუნდებით ჟურნალის რედაქციის მაღალ პროფესიონალიზმსა და

პასუხისმგებლობაში: ამ ხნის მანძილზე ჟურნალი მართლაც გახდა ბიბლიოთეკართა მეგზური, მათი სამაგიდო წიგნი; პრაქტიკოსი ბიბლიოთეკარები ამ ჟურნალის ფურცლებიდან ღებულობენ ინფორმაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე, ეცნობიან ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმეს, უცხოეთის გამოცდილებას, ჟურნალმა შემოიკრიბა შემოქმედი ბიბლიოთეკარები, ისტორიკოსები, ჟურნალისტები, კულტურისა და განათლების სპეციალისტები, რითაც ერთობ აამაღლა ჟურნალის იდეური და პროფესიული დონე. ჟურნალი სისტემატურად აშუქებს ტრადიციულ და თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკის პრობლემებს; დროულად ეხმაურება საბიბლიოთეკო ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს.

ჟურნალი მყარად დგას არჩეულ გზაზე, მისი ცხოველმყოფელობა და პროფესიული დონე იზრდება ნომრიდან ნომრამდე; მას ელოდებიან საქართველოს ყველა რაიონსა და სოფელში, სადაც კი ბიბლიოთეკები არსებობენ.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი შემოსვლა ქართულ ჟურნალისტიკაში. დღეგრძელობა და წარმატება ჟურნალის რედაქციას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მდივანი

ლეილა ზამბახიძე

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს 4.000-მდე ბიბლიოთეკაში მოღვაწეობს ათასობით ბიბლიოთეკარი. ისინი დიდი ერთუზიანობით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითა და პროფესიონალიზმით ემსახურებიან მკითხველებს; იცავენ ქვეყნის დიდ სულიერ სიმდიდრეს. დღევანდელი ბიბლიოთეკარი უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მორალური თვისებებით, პედაგოგიური ტაქტით; პროფესიონალიზმითა და ინფორმაციის ძიების ყველა საშუალებების ცოდნით; სწორედ ასეთი ბიბლიოთეკარების აღზრდას, მათ პროფესიულ დაოსტატებასა და გამოცდილების გაზიარებას ემსახურება პირველი ქართული პროფესიული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“. ჟურნალს ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მისი პირველი ნომრის გამოსვლიდან, და დღეს, ათი წლის შემდეგ, ვრწმუნდებით მისი დაფუძნების აუცილებლობაში. ჟურნალში დაბეჭდილი მასალები თავისი შინაარსით სცილდება საბიბლიოთეკო სფეროს; იგი მოიცავს წიგნმცოდნეობის, პედა-

გოგიკის, საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და ქართული პოეზიის დარგებს და ხასიათდება შინაარსით, პატრიოტული პათოსით, ჟურნალისტიკის ეთიკის დაცვით.

ერთი მოკრძალებული სურვილი გვაქვს რედაქციის მიმართ: – უფრო მეტი მასალები მივანოდოთ მკითხველ საზოგადოებას საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელში არსებული მდგომარეობის შესახებ, რათა ერთობლივი ძალებით შევინარჩუნოთ ქვეყნის დიდი სულიერი საგანძური.

კეთილი სურვილებით,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოების სახელით:

**გიორგი სარაჯიშვილი,
ფრიდონ სიხარულიძე,
ლევან ფრუიძე,
იაკობ ახუაშვილი,
რამაზ მეფარიშვილი,
ბადრი ცხადაძე,
მისეილ რეხვიაშვილი,
იური სიხარულიძე,
იური მგალობლიშვილი.**

პროფესიული ჟურნალის დაარსება ჩვენი, ბიბლიოთეკათმცოდნეების ოცნება იყო. მისი დაარსება ვერ მოხერხდა იმიდგეოლოგიის პირობებში, რომელშიაც უხდებოდათ მუშაობა ბიბლიოთეკებს. მას შემდეგ, რაც ჩვენში ბიბლიოთეკების მართვა ადგილობრივი ხელისუფლების ხელში გადავიდა, ამ საკითხის წინ წამოწევა დროული და აუცილებელი იყო. მისასაღმებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მცდელობა და მონდომება ჟურნალის დაარსებისათვის. ეს მცდელობა სპეციალისტთა ძალისხმევითა და სოროსის ფონდის დახმარებით წარმატებით დაგვირგვინდა.

დღეს ჟურნალის მე-40 ნომერს ვათვალიერებთ და გული სიამაყის გრძნობით გვევსება. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თითოეულ ნომერს, ვეცნობით და კმაყოფილები ვართ, რომ ასეთი დონის ჟურნალი აქვს საქართველოს ბიბლიოთეკებს.

დღეს ჟურნალი საიმედო პროფესიონალების ხელშია, ეს იმედს გვაძლევს, რომ ის დღეგრძელებს.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენი ოცნების ჟურნალს.

**ბრიგოლ კიპაროიძე
ოთარ ოსაძე**

კონწარას კლუბი



განუკითხაოზა თუ თჳითნაზოზა



‘მიმდინარე წლის 23 აგვისტოს „კვირის პალიტრაში“ ახალი ამბების განყოფილებაში დაიბეჭდა ხათუნა პაიჭაძის სტატია „რელიგიური დივერსია ამანათებით“. ვისაც არ წაუკითხავს ის, მათ მოკლედ შევახსენებთ, რომ საქმე ეხება უცხოეთიდან (დანიიდან) ბიბლიოთეკებისათვის გამოგზავნილ ამანათებს, კერძოდ, წიგნებს, რომლებსაც გამოგზავნი უსასყიდლოდ უგზავნის კონკრეტულ ბიბლიოთეკას.

ამანათებით წიგნების მიღება, ისიც უსასყიდლოდ, დიდებული საქმეა, მაგრამ... „უსასყიდლოდ“ დაარქვით თქვენ და, ეს უსასყიდლო ამანათები ბიბლიოთეკას იმდენი უჯდება, მრავალჯერ ამეტებს გამოგზავნილი წიგნების ფასს.

ამ შემთხვევაში უნდა მიაკითხოთ საბაჟოს ტერმინალს, სადაც მოსულია ამანათი და 20 დღის განმავლობაში ბიბლიოთეკამ უნდა გაიტანოს ის, თუ არადა, ამას მოყვება ჯარიმა. შეგიძლიათ უარი თქვათ წაღებაზე, მაგრამ ამჯერად უნდა მოახდინოთ ამანათის განბაჟება, გადაიხადოთ სათანადო თანხა, ასევე, უნდა გაიღოთ ამანათის უკან გაგზავნის ხარჯები.

ბიბლიოთეკებს სადა აქვთ ამდენი საშუალება და ისევ არჩევენ მხოლოდ განბაჟების თანხა გადაიხადონ და გაიტანონ ავბედითი „საჩუქარი“.

ეს, რაც ეხება საბაჟოს ბიუროკრატიულ და გამომძალველ წესებს, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. საქმე იმაშია, თუ რას წარმოადგენს ამანათით გადმოგზავნილი წიგნები. ეს გახლავთ საინტელოგიური ლიტერატურა, ანუ სექტანტური მიმდინარეობის წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას სრულებითაც არ ესაჭიროება, რამდენადაც არავითარი მოთხოვნა მათზე არ არსებობს.

მართალია, ჩვენი ბიბლიოთეკები კანონის ძალით რელიგიურ დისკრიმინაციას არ ეწევიან, მაგრამ არც იმის უფლება აქვთ, ხარჯი გასწიონ იმგვარი წიგნების შექენისათვის, რომ-

ლებზეც თუნდაც ერთი მოთხოვნა მაინც არ არის. სხვათა შორის, ამანათებში ჩადებული ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ბიბლიოთეკები წიგნების მიღებისას. რაც მთავარია, ავალებენ მათ, დაუყოვნებლივ გაატარონ რეგისტრაციაში (ინვენტარიზაცია) მიღებული ლიტერატურა; აღრიცხონ, რამდენმა კაცმა წაიკითხა, როგორია გამომხაურება და სხვ.

რა თქმა უნდა, ასე მიღებული წიგნების ინვენტარიზაცია ჯობია სულაც არ მოვახდინოთ, მაგრამ რა გქნათ, როცა განბაჟების თანხა ამ წიგნებისათვის ბიუჯეტიდან არის გადახდილი და ბიბლიოთეკას რომ მოთხოვონ პასუხი იმაზე, თუ სად წავიდა ეს წიგნები, მაშინ? საერთოდ წესია, ყველანაირად მიღებული წიგნი ბიბლიოთეკაში კატეგორიულად აუცილებელია ინვენტარიზებულ იქნეს. ამგვარად, ფაქტობრივად, ნაგვიანდება ფონდი, რაშიც საკმაოდ ენობის თანხაა გადაყრილი.

ერთი საკითხიც: საიდან იციან დანიაში ყველა ჩვენი მიყრუებული რაიონის ბიბლიოთეკის მისამართი, ტელეფონის ნომერი და მოცულობა? ეს კითხვა იძლევა საფუძველს, დავემონწილოთ იმ აზრს, რომ დანია შეიძლება იყოს კვალდამფარავი რომელიმე სხვა ქვეყნისა, რომელიც დაინტერესებულია ქართული საეკლესიო მთლიანობის მოშლა-დანგრევით. ამიტომაც არის ეს მოვლენა კვალიფიცირებული როგორც რელიგიური დივერსია.

ხათუნა პაიჭაძის სტატია მრავალ რამეს ჰყენს შუქს, აგრეთვე პირდაპირ თუ არაპირდაპირ საჭოჭმანო კითხვას სვამს, რაც პასუხს მოითხოვს, აცნობიერებს ჩვენს მკითხველებს საინტელოგიურ მიმართულებაში, მაგრამ არ ეძიებს პასუხს იმაზე, თუ ყოველივე ამაში რა ან ვინაა დამნაშავე.

ვინაა დამნაშავე იმაში, რომ მის რესპონდენტს ეშინია თავის გამომჟღავნებისა? რატომ ირღვევა კანონი წიგნების გზავნილების განბაჟებიდან განთავისუფლების შესახებ, ვის აძლევს

ეს ხელს? ვინ და როგორ ეწევა წიგნების გაგზავნის ორგანიზაციას დანიიდან ყველა საჯარო ბიბლიოთეკისათვის?

დაბოლოს: მიდის თუ არა ყოველივე ეს ხელისუფლების ყურამდე და თუ მიდის, როგორია რეაგირება? თუ არ მიდის, რატომ არ მიდის?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს შედეგია საბიბლიოთეკო სისტემის მოშლის, საბიბლიოთეკო საქმეზე ყოველგვარი მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის უგულვებელყოფის. ჩვენებურ, მდაბიურ ენაზე რომ ვთქვათ, ეს უპატრონობის ბრალია, რომელსაც ხელისუფლება ბიბლიოთეკების მიმართ იჩენს. თუ რამე კეთდება, მხო-

ლოდ თვითდინებით, კერძო ინიციატივით, ობიექტური აუცილებლობის ძალით.

დარწმუნებული ვარ, ეს ასე რომ არ იყოს, ის ინიცინდენტი, რომელიც ახლა განვიხილეთ, არ მოხდებოდა და ასეთ უმსგავსო მოვლენებს ადგილი არ ექნებოდა.

ყველა დარგს ჭირდება ხელმძღვანელობა, მართვა, ზედამხედველობა და კონტროლი, ყოველ შემთხვევაში, ყურადღების მიპყრობა მაინც, რასაც თითქმის მთლიანადაა მოკლებული ჩვენი საბიბლიოთეკო საქმე.

კონწარა

ლია კობალაძე

მე და კომპიუტერი

საოცარი ძალით ვუტევე
ამ ჯადოქარ მანქანას.
გადამრია კოპმა, პასტმა,
ხან ამოჭრამ, ხანაც ჩასმამ.
მელანდება დღისით, მზისით
რენიემ თუ რეფლესიო.
დელეითმა, ენტერ-ქათიმ
მთლად წამართვეს არაქათი.
დამუქება, ხაზის გასმა,
ფერის ჩასხმა, იტალიკო,
წკაპა-წკუპი, წკაპა-წკუპი,
მარცხნივ კლიკი, მარჯვნივ კლიკი,

კონტროლ იქსი, კონტროლ ესი,
ჰიპერლინკი, წერტილ-შიმიე,
კურსორივით ყველაფერი
ყველგან თვალწინ მიციმციმებს.
მაგიწყდება რა რას ნიშნავს:
ედიტ-ენდი, ბორდერ-ბექი,
ვაი, ჩემს თავს, ასე შტერი
მაინც როგორ გამოვდექი?
აი, ასე ჯახირ-ჯახირ
გავიარე კურსი სრული,
დახმარება ვთხოვე ჰელფს და
„შევისწავლე“ ინგლისურიც.
ფაილ, ფოლდერ, ინსერტ, ტაბლე,
ვიზუთხავ და ძილშიც ვბოდავ,
ამ კონკურსის გადაამკიდე
მოვკვდები და არ ვარ ცოდვა?..

2009 წ.


რას წერდნენ ძველი ქართული საბირულ-იუმორ- ისტული ჟურნალ-გაზეთები და კრებულები

„თბილისში უსაქმო ინტელიგენტთა ბიურო ამით აცხადებს, რომ კვირა-უქმე დღეებში ქალაქის გამგეობის შენობაში დილის ათი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე საჯაროდ იმართება მუშტი-კრივი... პრინციპიალური საკითხების გამოსარკვევად“.

„კოლო“ (რუსულ-სომხურ-ქართული ჟურნალი), 1906.

„ვეძებთ მუშებს, რომლებიც უფროსებს არ შეაწუხებენ მოთხოვნებით: სამუშაოს ხანგრძლივობა – 24 საათი, სამუშაო არის წინასააღმდეგობისა და დასვენების დღეებშიც. ჯამაგირი – ეშმაკმა იცის. მისამართი – ა/კ რკინიგზის დეპო“.

„Петушок“, 1906.



საერთაშორისო სამართალი და დიპლომატიის საფუძვლები

„Фаланга“, 1880

„ – რომელი მიმართულების მომხრე ხარ?

– ჩემი რწმენა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ველაპარაკები: ავტონომისტთან – ავტონომისტი ვარ, სოციალ-დემოკრატთან – სოციალ-დემოკრატი, ფედერალისტთან – ფედერალისტი, მონარქისტთან – მონარქისტი, თუ ანარქისტი უამხვდა, წარმომდგინე – ანარქისტი“.

„ცნობის ფურცელი“, სურათებიანი დამატება

მიღებულია დიდი რაოდენობით პირსახვევები, უფრო სწორად, პირსაკრავები... უფრო სწორად, პირსაკეტები. სიტყვას იჭირს, ჭამას არ უშლის.

Петушок, 1906, №4

... როცა იბეჭდება წერილი წინასწარ-ჩვენო აბიტაციაზე, მართო იმას ნუკი წავიკითხავთ, რაც დაბეჭდილია, წარმომდგინეთ ამოგებული სტრიქონებიც...

ბატს ტენიან ვაშლით, გაზეთს – ჭურავით.

Свисток. 1906, №1


უცხო სიტყვათა ახსნა (შემოკლებით)

- მანეთი – თავსატეხი საგანი
- მიმიკა – სიტყვის თავისუფლება
- მილიონი – ვატარა ღმერთი
- მონა – თანამედროვე რუსეთის მოქალაქე
- მსაჯული – ჯალათი
- მუხრუჭი – პოლიტიკური ლაგამი
- მუშტი – პოლიტიკური სალაგი
- კლიტა-პირზე დასაღები საგანი
- კონდახი – რუსეთის მოქალაქის ზურგის მოსაფხანო
- კრუხი – რუსეთის ბიუროკრატია
- კუ – განმართავისუფლებული მოქროვა
- კურტანი – აღამიანის უნაგირი
- ლაპარაკი – აკრძალული ხილი
- ლაფი – ქუთაისური ქვაფენილი
- ლხინი – სამშობლოსათვის თავდადება
- მამული – ქართველ თავადაზნაურთა საქეიფო მასალა
- მარხვა – ღარიბების სადილ-ვახშამი.

ირეთელი

გაზ. შუამავალი. 1907, 2 მოქტომბერი, №8.


ახალი სასწავლო წელი




ვუბრუნდებით ჩვენს
ბიბლიოთეკას



„მა თვითონ!“



ჩვენ პირველები ვართ, მალე სხვებიც მოვლენ



„არ დავრჩები სახლში,
მეც მიწა სკოლაში!“



„წავიკითხოთ, სწავლის დაწყებამდე!“



მე რატომ არ მამზადებთ სკოლისთვის?



ახალი სასკოლო სახელმძღვანელო!



გიზლიოთეკა იგივე ჩვენი კლასია



თქვენ გგონიათ ჩვენ კომპიუტერის
ბამოყენება არ ვიცით?



ჯერ ღაიკო წამიკითხავს



სკოლაში წასვლამდე
ჯერ უნდა გავიზარდო!




ISSN 1512-0880




საქართველოს ბიბლიოთეკა

01. 2000




ISSN 1512-0880
№1 (38) 2010





2009

ქართული ნაბეჭდი წიგნის საბუბილეო წელი

პირველი კვარტალი ნაბეჭდი წიგნი - 1889
პირველი სემანი საბუბილეოში - 210



ISSN 1512-0880
№2 (39) 2010



2009

ქართული ნაბეჭდი წიგნის საბუბილეო წელი

პირველი კვარტალი ნაბეჭდი წიგნი - 1889
პირველი სემანი საბუბილეოში - 1709

